შევარდნაძის მემკვიდრე - პოლიტიკური ბრძოლის მთავარი მიზანი A3
სტილი B4-B5
ფოტოკონკურსი B8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ორშაბათი, 14 ოქტომბერი, 2002 წელი. №134

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## პოლიტიკა

### რატომ აღარ ითხოვს რუსეთი კორიდორს ჩეჩნეთზე თავდასხმის განსახორციელებლად

საზღვრის ერთობლივი პატრულირების შესახებ კიშინიოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება კვლავ საზოგადოების აქტიური მსჯელობის საგანია. ამ საკითხისთვის, თავის ყოველწლიურ მიმართვაში, გვერდი არც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს აუვლია.

A2

## ეკონომიკა

### „არესი" აქტიურად იკიდებს ფეხს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაცია დიდ იმედებს ამყარებს საწარმოში "არეს ექსპორტ-იმპორტის" შესვლაზე, რადგან მან არა მარტო კომბინატის ვალები უნდა დაფაროს, არამედ 130 მილიონი დოლარის ინვესტიციაც უნდა განახორციელოს.

A4

## საზოგადოება

### ტრადიციულობის მიჯნაზე

დღეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საქართველოს პრეზიდენტი და კათოლიკოს-პატრიარქი ხელს მოაწერენ კონსტიტუციურ შეთანხმებას სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ეს პრეცედენტი არის საქართველოს ახალ სახელმწიფოსა და მის ტერიტორიაზე მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების გარკვევის დასაბამი.

A6

## სამართალი

### რუსეთსა და საქართველოში ტერორისტებს მაღალჩინოსნები მფარველობენ

რუსეთის სპეცსამსახურებმა, ტერორისტებთან კავშირის გამო, რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავეს. საქართველოში სტუმრად მყოფი, რუსეთის უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილე უფრო დეტალური ინფორმაციის მოწოდებისგან თავს იკავებს, სამაგიეროდ ამბობს, რომ ტერორისტებთან ალიანსში მყოფი მაღალჩინოსნები საქართველოსაც ჰყავს.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | |
| ქუთაისი | 29 | |
| ბათუმი | 28 | |
| სოხუმი | 28 | |
| ფოთი | 29 | |
| თელავი | 22 | |
| ზუგდიდი | 30 | |
| გორი | 22 | |
| ახმეტა | 22 | |
| ჭიათურა | 25 | |
| გაგრა | 27 | |
| სამტრედია | 28 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1670 |
| ევრო | 2.1382 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3872 |
| რუბლი | 0.0684 |

# როცა კაცები ირჯებიან, გამარჯვება, თურმე, საქართველოსაც შეუძლია!



შეხვედრის დაწყების წინ, საქართველოს ჰიმნის შესრულებისას.

აკა ტონია

დიდი მადლობა ლევან ცაბაძეს, იგივე "ლეონსიოს"! იმისათვის, რომ საქართველოს ჰიმნის მოსმენისას ცრემლებს ღვრიდა! დიდი მადლობა რაგბის ეროვნულ ნაკრებს იმისათვის, რომ საქართველოს გამარჯვება, თავმოყვარეობა და, რაც მთავარია, საკუთარი თავის იმედი დაუბრუნა!

წარმატების მისაღწევად, ფინანსურ დახმარებასთან ერთად, შემართებაა საჭირო. ამას ქართველები სხვაგვარად "ჯიგარსაც" ეძახიან. გულშემატკივარი ნაწყენია, გულნატკენია, შეურაცხყოფილია, იმიტომ, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენებს, ფინანსებთან ერთად, სწორედ ეს შემართება, "ჯიგარი" აკლიათ. ფინანსური პრობლემები გუშინდელ მატჩსაც ახლდა თან, საქართველოს რაგბის კავშირს, უკვე მერამდენედ, გუნდის შესაკრებად საჭირო თანხებიც კი არ გააჩნდა. დახმარების ხელი რაგბისტებს გულშემატკივრებმა და რიგითმა მოქალაქეებმა გაუწოდეს. მართალია, შეუძლებელი იყო, რომ სპეციალურად დადგმულ ყულაბებში რაგბისტებისათვის აუცილებელი 64 ათასი დოლარი ორ კვირაში შეგროვებულიყო - ამის იმედი, ალბათ, არც თავად რაგბის კავშირს ჰქონდა - მაგრამ აქციას სხვა მიზანი ჰქონდა, მიზანი, რომელსაც გუშინ, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შეესხა ხორცი. საქართველომ დამსახურებულად გაიმარჯვა. გაიმარჯვა იმიტომ, რომ ჩვენს ნაკრებს სწორედ ის საზოგადოება ედგა გვერდით, რომელიც კაპიკ-კაპიკ უგროვებდა ფულს საკუთარ გუნდს. საქართველომ გაიმარჯვა იმიტომ, რომ თითოეულმა რაგბისტმა დააფასა საკუთარი გულშემატკივარი. ფული არც ახლა გვქონდა, მაგრამ, საბედნიეროდ, გუშინდელ მატჩში რაგბისტებმა კიდევ ერთხელ დაგვანახეს ის, რის გამოც ისინი ასე ძალიან შეიყვარა ქართველმა გულშემატკივარმა – მონდომება, ჟინი, გამარჯვების წყურვილი...

წარმატება იოლად არასოდეს მოდის, სპორტის არც ერთ სახეობაში, მითუმეტეს – რაგბში. საქართველოს რაგბის ნაკრების გამარჯვებები სამი წლის წინ დაიწყო და გუშინ, მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებით დასრულდა. მთელი ამ დროის მანძილზე განუწყვეტლივ გვესმოდა ქართველი რაგბისტების უამრავი პრობლემის შესახებ - ის, რომ მათ ასფალტის მოედნებზე უხდებოდათ ვარჯიში, გუნდის მომზადებისათვის საჭირო ელემენტარული თანხებიც კი არ გააჩნდათ. არადა, მაინც გავიმარჯვეთ... **ალბათ, იმიტომ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, ბიძინა გეგიძემ, მატჩამდე ორი კვირით ადრე, ჩვენი გაზეთის რედაქციაში სტუმრობისას, წარუმატებლობის შემთხვევაში საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა; ალბათ, იმიტომ, რომ საქართველოს ჰიმნის მოსმენისას "ლეონსიოს" ცრემლები სდიოდა; ალბათ, იმიტომ, რომ ბიჭებს "ჯიგარი" აქვთ. და ბოლოს - იმიტომ, რომ მათ გვერდით იმედგაცრუებული, შეურაცხყოფილი, მაგრამ გაუტეხელი და ნაღდი საქართველო იდგა.**

## იგი გუშინაც შეცდა

თამარ ხორბალაძე

"75 წლის კაცს ასე არ უნდა მიმართავდეთ..." - ტრიბუნას დაყრდნობილი, შეურაცხყოფისგან აკანკალებული, ჭკუას არიგებდა პარასკევს დარბაზში დარჩენილ დეპუტატებს ქვეყნის მოხუცი პრეზიდენტი, რომელსაც ბოლო წლებში არჩევანის ალღომ აშკარად უღალატა.

თხუთმეტიოდე წლის წინ საქართველოს პრეზიდენტს თამამად შეეძლო, თავისი არჩევანით ეამაყა. მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა არჩევანი გააკეთა მომავალზე და, მიუხედავად იმისა, რომ ამ მომავალში მაინც ძველი წესებით ცხოვრება სცადა, თავად არჩევანი უდავოდ სწორი გახლდათ.

ედუარდ შევარდნაძეს მაშინ ნამდვილად არ უჭირდა გამარჯვებულის ცნობა და არ ესწავლებოდა მის მხარეს დადგომა. ასე აღმოჩნდა იგი დასავლეთის გვერდით, ასე აღმოჩნდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა სატელევიზიო სტუდიაში, ცნობილი გკჩპ-ს დროს, ასე აღმოჩნდა საქართველოში...

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოში პრივატიზება და თაღლითობა ერთი და იგივე ცნებებია

### ასეთი დასკვნა გამოაქვს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს

მაია ურუშაძე

პრივატიზაცია – თაღლითობასთან არ უნდა ასოცირდებოდეს. თაღლითობასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს აქციონირებას, ვაუჩერიზაციას, ტენდერს, აუქციონს, აქციებს, ფასიან ქაღალდებს, საფონდო ბირჟის გარიგებებს... ეს ტერმინები ბიზნესსა და ეკონომიკაში აბსოლუტურად გამჭვირვალე პროცესებსა და ცნებებს აღნიშნავენ და "შავი საქმოსნების" ფრაზეოლოგიას არ წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, საქართველოში საქმე სხვაგვარადაა. აქ თაღლითობის სრული ენციკლოპედია შეიძლება დაიწეროს იმ კორუფციული სქემებისა და მექანიზმების საფუძველზე, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფო ქონება, 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე, სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკთა ხელში აღმოჩნდა... აქციონირების, ვაუჩერიზაციის, აუქციონების, აქციების, ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟის გარიგებათა საშუალებით.

**"სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე ტიპიურ დანაშაულობებს წარმოადგენენ სახელმწიფო ქონების ქურდობა და მითვისება, მექრთამეობა, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ფინანსური თაღლითობა,** – წერია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებულ მოხსენებაში პრივატიზების სფეროში არსებული სამართალდარღვევებისა და მისი გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსეთთან შეთანხმებაზე მეტად, საქართველოს დიდთოვლობის იმედი უნდა ჰქონდეს

ჯეიმსტაუნის ფონდის მთავარი ექსპერტი ვლადიმირ სოკორი დსთ-ს სახელმწიფოების ცნობილი სპეციალისტია. მისი სტატიები რუსეთისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ურთიერთობების შესახებ ხშირად იბეჭდება დასავლეთის ყველაზე გავლენიან გაზეთებში. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

შოთა უტიაშვილი

**- საქართველო-რუსეთის საინფორმაციო ომის დროს თქვენი სტატიები, რომლებიც "უოლ-სტრიტ ჯორნელსა" და სხვა გამოცემებში იბეჭდებოდა, განსაკუთრებით კეთილგანწყობილი იყო საქართველოსადმი. თქვენ ამტკიცებდით, რომ რუსებს ფარული მიზნები აქვთ. მაინც, რისი მიღწევა უნდა რუსეთს?**

- ვფიქრობ, ტაქტიკურ საკითხებს თავი უნდა დავანებოთ და ყოველთვის გვახსოვდეს რუსეთის სტრატეგიული მიზანი: საქართველოს დამორჩილება. კრემლს სურს, დაუმტკიცოს ყველას, რომ საქართველო არასტაბილური, ადვილად ასაფეთქებელი და რუსეთის მხრიდან ადვილად მანიპულირებადი ქვეყანაა. მოსკოვი საქართველოს უყურებს, როგორც კასპიის ნავთობისა და გაზის კარიბჭეს. შესაბამისად, თუ იგი მოახერხებს მის დესტაბილიზაციას ან თუნდაც მისთვის არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნას, ეს საფრთხის ქვეშ დააყენებს მილსადენების პროექტებს.

გაგრძელება A5 გვერდზე



ვლადიმირ სოკორი


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სტილი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# რატომ აღარ ითხოვს რუსეთი კორიდორს ჩეჩნეთზე თავდასხმის განსახორციელებლად

*საზღვრის ერთობლივი პატრულირების შესახებ კიშინიოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება კვლავ საზოგადოების აქტიური მსჯელობის საგანია. ამ საკითხისთვის, თავის ყოველწლიურ მიმართვაში, გვერდი არც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს აუვლია. თუმცა, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა კვლავ გაიმეორა, რომ საქართველო არ აპირებს, მოიწვიოს რუსეთი პანკისის ხეობაში სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად. მაგრამ როცა ლაპარაკია საზღვრის ერთობლივ პატრულირებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროების პარარელურ ოპერატიულ რეჟიმში მუშაობაზე, ხოლო საქართველოს უშიშროების სამინისტრო, პირველად ათი წლის განმავლობაში, რუსი კოლეგებისგან საჩუქრად სპეცტექნიკას იღებს, ძნელი არ არის იმის განჭვრეტა, თუ რატომ მოიხსნა დღის წესრიგიდან კორიდორის თემა.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისათვის"

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი იმპერიის საზღვრებს კარგა ხანს ერთპიროვნულად რუსი მესაზღვრეები აკონტროლებდნენ. ცოტა მოგვიანებით, ვითარება შეიცვალა, საზღვრებზე ჯერ შერეული მორიგეობა დაიწყო, შემდეგ კი ესტაფეტა მთლიანად ეროვნულ სასაზღვრო უწყებებს გადაეცა. ასე იყო საქართველოს შემთხვევაშიც, სადაც საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე რუსი მესაზღვრეები თითქმის 1998 წლის ბოლომდე დარჩნენ.

ასე რომ, საქართველოსა და რუსეთს საზღვრის ერთობლივი დაცვის ტრადიცია ნამდვილად აქვთ და ამიტომ, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ კიშინიოვის სამიტის წინა დღეს გაკეთებული განცხადება, ერთი შეხედვით, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორები. ჯერ ერთი, რომ იმხანად რუსი და ქართველი სამხედროები საზღვრის ერთ მხარეზე იდგნენ და თურქეთთან ბრძოლას არავინ აპირებდა. ჩეჩნეთის მონაკვეთის შემთხვევაში კი, რომლის სიგრძე დაახლოებით 80 კოლომეტრს შეადგენს, საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთობლივ რაზმს, თუკი იგი მართლაც შეიქმნება, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება ძალაუნებურად მოუწევს. დამოუკიდებელი რუსი სამხედრო მიმომხილველის პაველ ფელგენგაუერის მოსაზრებით, თუკი თანამშრომლობის ასეთ ფორმაზეა საუბარი, მაშინ ეს, შესაძლოა, რუსეთის წინაშე გარკვეულ დათმობაზე წასვლას ნიშნავდეს:

პაველ ფელგენგაუერი: **"მოსკოვი დიდხანს ცდილობდა, მიეღწია იმისათვის, რომ რუს მესაზღვრეებს ჰქონოდათ უფლება, იარაღით ხელში გადასულიყვნენ საქართველოს მხარეზე და დადევნებოდნენ ბოევიკებს, დაეპატიმრებინათ ან გაენადგურებინათ ისინი. ეს რუსეთის დიდი ხნის იდეაა, რომელსაც აქამდე შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა საქართველო. ასე რომ, ჩემთვის ცოტა გაუგებარია, თუ სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი დათმობა თბილისის მხრიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული რუსეთთან კონფრონტაცია."**

თუმცა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საპირისპიროს ამტკიცებენ. ყველა, ვისაც სახელმწიფო უშიშროებაზე პასუხისმგებლობა ევალება, არ იღლება იმის განმეორებით, რომ ერთობლივი პატრულირება საქართველოს ინტერესებში შედის და თანამშრომლობის ეს ფორმა სულაც არ ნიშნავს, რომ რუსი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედების უფლებას მიიღებენ.

გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე: **ესენი (**რუსები-კ.ლ.**) პატრულირებას ახორციელებენ თავიანთ ტერიტორიაზე. ჩვენ - ჩვენს ტერიტორიაზე. ვუთანხმებთ დროს ერთმანეთს, ვცვლით ინფორმაციებს სიხშირეების შესახებ, დათქმული გვაქვს ადგილი საზღვრის მონაკვეთზე, სადაც შევხვდებით და ინფორმაციას გავცვლით იმის თაობაზე, თუ რა დარღვევები აღმოვაჩინეთ პატრულირების დროს."**

როგორც საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ასევე ესმის ერთობლივი პატრულირების იდეა რუსეთის მხარესაც. ამასვე ადასტურებს ოქმი, რომლის პროექტი რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებმა გენერალ-ლეიტენანტმა გენადი ლოგინოვმა და გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრ მანილოვმა წარმოადგინეს და რომელსაც ხელი 17 ოქტომბერს უნდა მოეწეროს.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ასეთი მჭიდრო კონტაქტები ქართველ და რუს მესაზღვრეებს შორის ადრეც არსებობდა და იგი, რუსეთის მხარის ინიციატივით, ცალმხრივად შეწყდა ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, რომ მხარეები ხშირად უმალავდნენ ერთმანეთს ოპერატიულ ინფორმაციას და მეორეც: ასეთი თანამშრომლობა, თუ ის მხოლოდ საზოგადოების თვალის ახვევას არ ემსახურება, მაინც საჭიროებს შეთანხმებულ ძალისმიერ მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ საზღვრის დარღვევა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ჯგუფის მიერ განხორციელდება. ასეთი აუცილებლობა კი ჩეჩნეთის საზღვრის მონაკვეთზე, სადაც ოპერატიული ვითარება ძალზე რთულია, შესაძლოა, არც თუ იშვიათად შეიქმნეს. მით უფრო, რომ თითქმის 80-კილომეტრიან სასაზღვრო მონაკვეთს მხოლოდ ოთხი ქართული საგუშაგო აკონტროლებს.

გარდა ამისა, სხვა ფაქტებიც მოწმობენ, რომ საქმე უბრალოდ ინფორმაციების გაცვლით არ ამოიწურება. ოფიციალური ცნობით, სულ მალე რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახური საქართველოს შესაბამის უწყებას ძვირადღირებულ ოპერატიული დანიშნულების სპეციალურ აღჭურვილობას გადმოსცემს. ნიშანდობლივია, რომ იგორ გიორგაძის მინისტრობის შემდეგ, ეს რუსეთის მხრიდან პირდაპირი დახმარების პირველი შემთხვევაა.

თუმცა, ამ შემთხვევაში არც პიროვნებებისა და არც პოლიტიკური ორიენტაციის კუთხით ზუსტი ანალოგიები არ უნდა ვიგულისხმოთ. უფრო სავარაუდოა, რომ ანტიტერორისტული ხაზით კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში იქმნებოდეს გარკვეული სამკუთხედი - ვაშინგტონი-მოსკოვი-თბილისი და მოსკოვის ეს კონსტრუქციული ჟესტი, შესაძლოა, სწორედ ამ სამმხრივი თანამშრომლობის პირველი გამოძახილი იყოს. ჩვენთან საუბარში საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ მიანიშნა:

**"ჩვენ ამ თემატიკას არ ვეხებოდით, ისევ მონაწილე მხარეების თხოვნით. მაგრამ მე უნდა ვთქვა, რომ სპეცსამსახურებს შორის სამმხრივი თანამშრომლობა უკვე კარგა ხანია დაწყებულია. ასე რომ, ამ მიმართულებით ჩვენ ჩამორჩენა ნამდვილად არა გვაქვს. ხოლო ის, თუ რა რისი გამოძახილია, უკვე სხვა საუბრის თემატიკაა."**

ასე რომ, საქართველოსა და რუსეთის ძალოვან სამინისტროებს შორის უფრო ფართო თანამშრომლობა იწყება და თუკი იგი შედეგიანი იქნება პირველ ეშელონზე - საზღვრის დაცვისა და სპეცსამსახურების ხაზით - ბუნებრივია, რომ საქმე არ უნდა მივიდეს ერთობლივ სამხედრო ოპერაციაზე. ეს კარგად ესმის რუსეთს და ამიტომ აღარც ითხოვს კორიდორს ჩეჩნეთზე სახმელეთო იერიშების წამოსაწყებად. საკითხავი ის არის, თუ რატომ კეკლუცობს საქართველოს ხელისუფლება და არ სურს, რომ ყველაფერს თავისი სახელი უწოდოს.

## მოკლედ

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო სერიოზულად არის შეშფოთებული იმ აქტიური სამხედრო დახმარების გამო, რომელსაც აშშ და ნატო-ს სხვა ქვეყნები საქართველოს უწევენ. ამის შესახებ 11 ოქტომბერს განაცხადა სოხუმის მთავრობის პირველმა ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა რაულ ხაჟიმბამ.

"საქართველოს არმია იარაღდება თანამედროვე ტექნიკით, ყველა დონის ოფიცერი მომზადებას გადის დასავლეთში. ნატო-ს სამხედრო ინსტრუქტორები ატარებენ სწავლებებს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები", - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. ხაჟიმბას აზრით, "ყველა ეს მოქმედება საომარი მოქმედებების განახლების საშიშროებას აძლიერებს".

"ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების გამოჩენიდან ადგილი აქვს რევანშისტული განწყობილებების მკვეთრ ზრდას საქართველოს მმართველ წრეებში. გამორიცხული არ არის, რომ თბილისმა აფხაზეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყება შესაძლებლად ჩათვალოს", - აღნიშნა მან. თავდაცვის მინისტრის აზრით, ასეთ ვითარებაში აფხაზეთისათვის ნომერ პირველ ამოცანას წარმოადგენს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ჩამოვიდა რუსეთის შს სამინისტროს სამუშაო ჯგუფი. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა განუცხადა, ჯგუფი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია შსს სამმართველოების ხელმძღვანელებით, საქართველოსთან ერთად რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს.

მინისტრმა ამ ძირითად სამუშაო მიმართულებებად დაასახელა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, ინტერნაცინალური ბანდიტური დაჯგუფებების საქმიანობის აღკვეთა.

რუსული მხარე აპირებს, ქართველ სამართალდამცავებს გადასცეს ძებნაში მყოფი პირების სიები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკმა მიწისძვრის შედეგად დაზიანებული 100 სკოლისა და 22 საბავშვო ბაღის აღსადგენად 5 მილიონი დოლარი გამოყო. როგორც საქართველოს განათლების სამინისტროში აცხადებენ, ამ ფულის ათვისება და სარემონტო სამუშაოები ნოემბერში დაიწყება.

ქართველ სპეციალისტთა შეფასებით, სამუშაოების პირველი ეტაპისათვის აუცილებელია 6,04 მილიონი დოლარი. მსოფლიო ბანკის მოთხოვნით, აღნიშნული ობიექტები მთლიანად უნდა შეკეთდეს და მოეწყოს.

სარემონტო სამუშაოებს თვალს ადევნებს მონიტორინგის ჯგუფი სკოლების დირექტორების და ჟურნალისტების შემადგენლობით. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველოს მასშტაბით სკოლების სარეაბილიტაციოდ 350 მილიონი დოლარია საჭირო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ვიცე-პრემიერის ახმედ ზაკაევის აზრით, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ვითარების გამწვავება "აბსოლუტურად რეალურია".

რაც, მისი თქმით, იმით ახსნება, რომ რუსეთი საქართველოს დანგრევის იდეაზე უარს არ ამბობს და ქვეყნის სხადასხვა მხარეში კონფლიქტური ეპიზოდების პროვოცირებას ეწევა, რაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უკვე განხორციელდა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე ერევნის მოსკოვთან აქტიური თანამშრომლობა კავკასიურ ინტერესებს არ პასუხობს.

ახმედ ზაკაევი ასევე თვლის, რომ სამცხე-ჯავახეთში, შესაძლოა, ყარაბაღის კონფლიქტის მსგავსი სცენარი გათამაშდეს, რის შედეგადაც აზერბაიჯანი თავისი ტერიტორიის ნაწილს ვერ აკონტროლებს.

ანალოგიური შეიძლება მოხდეს თბილისსა და სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით, - თვლის იგი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხვალ თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დევნილთა სახალხო პარტიის პირველი ყრილობა გაიმართება. სავარაუდოდ, სპორტის სასახლეში სამი ათასამდე დევნილი მოიყრის თავს.

როგორც ყრილობის ერთ-ერთი ორგანიზატორი პარლამენტარი ბორის კაკუბავა აცხადებს, ყრილობის მუშაობაში საქართველოს ყველა რეგიონში განსახლებული დევნილები მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარება, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზები, პარტიის საორგანიზაციო საკითხები, პარტიის პროგრამის მიიღება – ეს ის საკითხებია, რომლებზეც ყრილობის მონაწილეები იმსჯელებენ.

კაკუბავას თქმით, დევნილთა სახალხო პარტიის ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად მან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები და ის პოლიტიკური პარტიები მიიწვია, რომლებიც "შევარდნაძის დაკრულზე არ ცეკვავენ და ნამდვილ ოპოზიციას წარმოადგენენ".

კაკუბავას განცხადებით, ყრილობის ჩატარებიდან ერთ თვეში დევნილთა სახალხო პარტია პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით აქციებს დაიწყებს. კაკუბავა დარწმუნებულია, რომ ამ მოთხოვნას სხვა პარტიებშიც გამოუჩნდებიან გულშემატკივრები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით განსაზღვრას "აფხაზეთთან დაკავშირებით თბილისის მორიგ გაუაზრებელ ნაბიჯად" აფასებს.

როგორც შამბა აცხადებს, საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრით ქართულმა მხარემ "საბოლოოდ დაუსვა წერტილი აფხაზური მხარის მიერ ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვის შესაძლებლობას".

შამბას თქმით, აფხაზური მხარე არასოდეს დაეთანხმება საქართველოს შემადგენლობაში რაიმე ფორმით შესვლას.

"აფხაზეთის სტატუსის თაობაზე აფხაზური მხარე არავისთან, მათ შორის ქართულ მხარესთან მსჯელობას არ აპირებს" - აცხადებს შამბა, რომელიც საქართველოს მიერ აფხაზეთისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას იმ "უტოპიურ იდეად" აფასებს, რომელიც აფხაზეთის საკითხისადმი ქართული მხარის "არარეალისტურ მიდგომებს ასაზრდოებს".

საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი 10 ოქტომბერს 167 ხმით განსაზღვრა. ამ საკითხის გადაჭრას წელიწადზე მეტ ხანს საპარლამენტო ფრაქციები "აფხაზეთი" და "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატი" ითხოვდნენ. საქართველოს ხელისუფლება კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას იმ მოტივით აჭიანურებდა, რომ სოხუმის ხელისუფლებისაგან "თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯნვის შესახებ" ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვის დაწყებას ელოდა.

სერგეი შამბა მიესალმება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას აფხაზეთთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების თაობაზე და იმედოვნებს, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე აფხაზური მხარე მიიღებს პასუხს შეკითხვაზე, რატომ არ აქვს უფლება აფხაზეთს, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს. **ინტერ-პრესი**




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# შევარდნაძის მემკვიდრე - პოლიტიკური ბრძოლის მთავარი მიზანი

## პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლის პოლიტიკური აქცენტები

ბადრი კოპლატაძე



პრეზიდენტ შევარდნაძის საპარლამენტო გამოსვლა პოლიტიკურმა წრეებმა და, საერთოდ, საზოგადოებამ უარყოფითად შეაფასა. თითქმის ყველა უკმაყოფილო დარჩა მოხსენების სტილით და შინაარსით. შეუძლებელია, არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ დღეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვდა, მაგრამ შევარდნაძემ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა. ამიტომაც ისღა დაგვრჩენია, საფუძველად ისევ და ისევ მისი ვრცელი სიტყვა ავიღოთ და, მასში გაბნეულ რამდენიმე მნიშვნელოვან მოსაზრებაზე დაყრდნობით, შევეცადოთ იმის გარკვევას, თუ რა სურს და რისი გაკეთება აქვს განზრახული პრეზიდენტს.

**"ჩემს შემდეგ ვინც მოვა, ის უნდა იყოს საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი, მან უნდა გააგრძელოს და დაასრულოს ათი წლის ნაწვალები საქმე!"** - პრეზიდენტმა ეს სიტყვები სხდომის მიწურულს, ნახევრად ცარიელ დარბაზში წარმოთქვა, რამაც ამ ფრაზას განსაკუთრებული დატვირთვა მიანიჭა. გამოსვლის ამ პატარა მონაკვეთშიც კი კარგად ჩანს შევარდნაძის სურვილი, რეალური გავლენა მოახდინოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან აქამდე პრეზიდენტი ამაზე საჯაროდ არ საუბრობდა და ხშირად იმეორებდა, რომ ეს საკითხი ხალხის გადასაწყვეტი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხალხს გადაწყვეტილების მიღებაში ახლა თვითონაც დაეხმარება.

მთავარი საკითხი კი, რომელიც პრეზიდენტის და საზოგადოების წინაშე დგას, არის ის, თუ როგორი ტიპის პოლიტიკოსი შეცვლის შევარდნაძეს.

დღეისათვის ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ორი კატეგორიის ლიდერების ჯგუფია გამოკვეთილი: პირველს მიეკუთვნებიან პოლიტიკური ლიდერები ანუ ადამიანები, რომლებიც საჯარო პოლიტიკით არიან დაკავებულნი. მათთვის მთავარ ორიენტირს საჯარო პოლიტიკური პროცესი წარმოადგენს. მათი საბრძოლო არსენალი, მეტ-ნაკლებად, შემოიფარგლება დემოკრატიულ საზოგადებაში მიღებული პოლიტიკური ხერხებით. ლიდერთა მეორე ჯგუფში კი ე.წ. სახელისუფლო ლიდერები შედიან, რომლებიც დრომ, სიტუაციამ და პრეზიდენტის სურვილმა უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე მოახვედრა. ედუარდ შევარდნაძეს ორივე ტიპის ლიდერებთან ურთიერთობის საკამოდ ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ბოლო ათი წლის განმავლობაში ის მუდმივად ცდილობდა, მისი მთავრობა სხვადასხვა ტიპის მოღვაწეებით ყოფილიყო გაჯერებული, რაც მუდმივ დაპირისპირებებს და შიდა ინტრიგებს იწვევდა. ეს ფონი შევარდნაძისათვის ყოველთვის ხელსაყრელი იყო - საბოლოო გადაწყვეტილებას ის იღებდა და, აქედან გამომდინარე, ბერკეტებიც მის ხელში იყო.

სიტუაცია რადიკალურად მაშინ შეიცვალა, როდესაც პოლიტიკურმა ლიდერებმა სახელმწიფო პოსტები დატოვეს. ამის შემდეგ პრეზიდენტის გარშემო უკვე მთლიანად ჩინოვნიკური წარმომავლობის მოღვაწეებმა მოიყარეს თავი, რამაც პრეზიდენტის გავლენა პოლიტიკურ პროცესზე საგრძნობლად შეასუსტა.

საპარლამენტო გამოსვლის წინ, შევარდნაძე შეეცადა, კვლავ აღედგინა ამ ორი ჯგუფის გამაწონასწორებლის ფუნქცია. სწორედ ამით იყო განპირობებული ის სატელეფონო ზარები (ჟვანიასთან და გამყრელიძესთან), რომლებიც შევარდნაძემ ახსენა. თუმცა, პოლიტიკურმა ლიდრებმა, როგორც ჩანს, საბოლოო გადაწყვეტილება მიიიღეს და შევარდნაძეს მისთვის სასურველი თამაშის განახლების საშუალება არ მისცეს. სწორედ ამან გააღიზინა ყველაზე მეტად შევარდნაძე. ის პირველად აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც მოვლენები მის კონტროლს აღარ დაექვემდებარა. მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, სხდომის ბოლოს პრეზიდენტის გამოსვლაში აღელვება თვალშისაცემი იყო. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის საკმაოდ გულახდილი ფრაზა, რომელიც სტატიის დასაწყისში იყო ციტირებული. თუ ამ სიტყვებს პოლიტიკური ენიდან ჩვეულებრივ ენაზე გადმოვთარგმნით, სიტუაცია ასეთი იქნება: პრეზიდენტმა პოლიტიკურ ლიდერებს პირდაპირ განუცხადა, რომ მსგავსი დაუმორჩილებლობის შედეგი იქნება ის, რომ თვითონ შევარდნაძე ღიად ჩაერთვება მომავალ საარჩევნო კომპანიებში და - არა მათ სასარგებლოდ.

სხვათაშორის, თუ თვითონ გამოსვლის ტექსტს გადავხედავთ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ შევარდნაძეს ამ მიმართულებებით უკვე პირველი ნაბიჯებიც განსაზღვრული აქვს. მის მიერ გახმოვანებულ სენატის იდეას პოლიტიკურმა ლიდერებმა თურქმენიზაციის პროცესი უწოდეს და ამასაც თავისი ლოგიკა აქვს. მაჟორიტარებისაგან, ანუ, ქართული რეალობიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში, ხელისუფლებასთან დაკავშირებული ადამიანებისაგან შემდგარი სენატი უნდა გახდეს სახელისუფლო (არაპოლიტიკური) ლიდერების მთავარი დასაყრდენი. სწორედ სენატმა უნდა დააბალანსოს პარლამენტის ქვედა პალატაში თავმოყრილი პოლიტიკური ძალების გავლენა. სენატის შექმნაზე საუბრის დაწყება მაშინ, როდესაც, ფაქტობრივად, კვლავ გადაუწყვეტელია ტერიტორიული მოწყობის საკითხი და პარტიების რეგიონული განშტოებები არც თუ ისე ძლიერია, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ძალების დასუსტებისკენ არის მიმართული. საფიქრებელია, რომ შევარდნაძე პარლამენტში უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრებებით მივიდა - მან თავისი არჩევანი კიდევ ერთხელ გააკეთა. სწორედ ეს იყო იმ დემარშის რეალური მიზეზი, რომელიც პარლამენტში ვიხილეთ.

ამ მხრივ, რამდენადაც მოულოდნელი უნდა იყოს, ედუარდ შევარდნაძის საპარლამენტო გამოსვლა ქართული პოლიტიკისათვის მართლაც საეტაპო აღმოჩნდა. წილი უკვე ნაყარია, ერთი მხარეს იქნებიან პოლიტიკური ძალები და მეორე მხარეს - შევარდნაძე და მისი მემკვიდრის ტიტულის მაძიებელნი.

პოლიტიკური ძალებისთვის უმთავრეს პრობლემას დღეს შიდა ურთიერთობების მოწესრიგება წარმოადგენს. მათ მხოლოდ ერთიანი და კოორდინირებული მოქმედების შემთხვევაში აქვთ შანსი. ამიტომაც, შემთხვევითი არც ის არის, რომ კულუარებში უკვე მიმდინარეობს საუბრები ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატის წამოყენების შესახებ. ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნება, რადგანაც ასეთი ტიპის საკითხები ქართველი პოლიტიკოსებისათვის ყოველთვის ძნელი გადასაწყვეტი იყო. მით უფრო ძნელი იქნება ამის გაკეთება ახლა, როდესაც პოლიტიკურ ლიდერთა უმრავლესობას აქვს ამბიცია, რომ სწორედ ის იყოს ასეთი ადამიანი.

არ არის გამორიცხული მეორე სცენარიც - პოლიტიკური ლიდერები, განხეთქილების თავიდან ასაცილებლად, ისეთი უპარტიო კანდიდატურის ძიებას შეუდგნენ, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება. ეს მიდგომა საკმაოდ კარგად არის აპრობირებული სხვადსხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრეცედენტი საქართველოშიც იყო - ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა სწორედ მსგავს გარემოებებში მოხდა.

პოლიტიკურ ძალები ამის პარალურად პროგრამული საკითხებითაც უნდა დაკავდნენ, ანუ შეიმუშაონ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გადასადგმელ ნაბიჯთა კონკრეტული ნუსხა. თუ პოლიტიკურმა ლიდერებმა მათ წინაშე მდგარი ეს ორი ძირითადი ამოცანა წარმატებით დაძლიეს, მათი პერსპექტივები ბევრად უფრო რეალური იქნება, რა თქმა უნდა, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ რომელიმე მათგანს კრიტიკულ სიტუაციაში კვლავ ხელისუფლებასთან შეთამაშება არ მოუნდება. მოკლევადიან პერსპექტივაში კი, პოლიტიკური ლიდერების აქტიურობის მაღალ ხარისხს უნდა ველოდოთ. ცხადია, რომ ისინი, მთავრობაზე იერიშის მისატანად, არც ერთ შემთხვევას არ გაუშვებენ ხელიდან.

კანდიდატურასთან დაკავშირებული პრობლემებია მეორე ფრონტზეც, თუმცა, შევარდნაძის ფაქტორის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებას ამ ბანაკში უფრო ადვილად მოახერხებენ. ჯერჯერობით, მიუხედავად სახელმწიფო მინისტრის მყარი პოზიციებისა, ძალზე ძნელია იმის პროგნოზირება, რომელი სახელისუფლო ჯგუფები გადაწონიან. მით უფრო, რომ არჩევანი აქაც საკმაოდ მრავალფეროვანია (სხვათაშორის, პარასკევს, მათ შორის, ვინც სხდომა დატოვა, ვაჟა ლორთქიფანიძეც იყო, თუმცა, უკვე შემდგომ პრესკონფერენეციაზე ის აღარ გამოჩენილა. ლორთქიფანიძე, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, კანცელარიის ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ. ამიტომაც, როგორც ჩანს, მას დემარშისათვის განსხვავებული მოტივაცია ჰქონდა), მაგრამ კანდიდატთა წრე საკმაოდ შეთხელდება, თუ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს გავითვალისწინებთ. ამ ბანაკის კანდიდატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ხელისუფლების მოღვაწეობის უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზება ან მისგან დისტანცირება იქნება. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ესეც საკმაოდ რთული ამოცანაა.

არ არის გამორიცხული ორივე ბანაკის მხრიდან საერთო კანდიდატურის ძიების მცდელობაც.

სწორედ ამ ორი ჯგუფის დაპირისპირება გახდება უახლოესი მომავლის ქართულ პოლიტიკაში განმსაზღვრელი, მათ გარშემო მოიყრიან თავს მეტნაკლებად გავლენიანი ძალები. არჩევანის გაკეთება კი ყველა ჩვენგანს მოუწევს.

# იგი გუშინაც შეცდა

პირველი გვერდიდან

ქართულ პოლიტიკურ ძალებთან თამაშშიც იგი ბოლო მომენტამდე ცდილობდა, არ გაემჟღავნებინა რეალური არჩევანი და შედეგად, პოლიტიკურ ბალანსს ინარჩუნებდა, თან ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

ბოლო ხანს, პოსტშევარდნაძისტული ეპოქის ნიშნით მიმდინარე ბრძოლაში ჩართულმა პარტიებმა ედუარდ შევარდნაძე არაერთხელ აიძულეს, არჩევანი გაეკეთებინა და მანაც შეცდომა შეცდომაზე დაუშვა:

ყველაზე სულსწრაფი მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც შევარდნაძეს მოსთხოვა აერჩია - ან კორუმპირებული კლანები, ან რეფორმატორები. სააკაშვილმა პრეზიდენტს მაღალჩინოსნების სახლების სურათები თვალწინ უფრიალა და შევარდნაძეს, რომელსაც დასავლეთი უკვე დაჟინებით სთხოვდა კორუფციასთან შებრძოლებას, მისცა საშუალება, ოჯახის მზარდი მადა დაეცხრო, მოპოვებულით დაეკმაყოფილებინა, მათი შეზღუდვა რეფორმატორებისთვის დაებრალებინა და ეთქვა: "მორჩა, რაც მოიხვეჭეთ, შეირგეთ, ახლა უნდა წახვიდეთ..." იმ ეტაპზე პრეზიდენტს ასეთი განცხადების გაკეთება გმირობად ჩაეთვლებოდა და, შესაძლოა, ამას ბევრი ცოდვა მოეწმინდა მისთვის.

შევარდნაძემ მაინც კლანები აირჩია.

განდგომილმა სააკაშვილმა კი შექმნა მოძრაობა, რომელმაც თბილისის არჩევნებში საგრძნობი, ბევრისთვის შემაშფოთებელი წარმატება მოიპოვა.

საკმაოდ დიდხანს წელა დრო და პრეზიდენტის გვერდით ყოფნის გამო საკმაოდ ბევრი "ოპოზიციური ქულაც" დაკარგა ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც უკვე ამ წლის დასაწყისში პრეზიდენტი აიძულა, არჩევანი გაეკეთებინა: ან პრინციპულად შეეცვალიიყო ქვეყნის მმართველობის სტრუქტურა, ან კვლავაც დაყრდნობოდა ძირიდან თავამდე კორუმპირებულ ვერტიკალს.

მაშინ საქართველოს პრეზიდენტს შეეძლო ეთქვა, რომ დემოკრატიისკენ სავალი გზა მას მყარად აქვს არჩეული, კორუფციასთან ბრძოლაც ქვეყანაში გარდაუვალია და არსებული ვითარება, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიცვალოს, მაგრამ... მან კორუმპირებული და ადვილად მართვადი სახელისუფლებო ვერტიკალი არჩია.

ზურაბ ჟვანიას გუნდი კი, პრეზიდენტის პარტიიდან განკვეთილი, ერთ-ერთ მარგინალურ პარტიას მიეკედლა და ნასესხები სახელით ადგილობრივ არჩევნებში 8-პროცენტიანი ბარიერი წარმატებით გადალახა.

საქართველოს პრეზიდენტს შეეძლო, ულიდეროდ და უიდეოდ დარჩენილი "მოქალაქეთა კავშირისთვის" ზურგი ექცია და აქცენტი გაეკეთებინა "ახალ მემარჯვენეებზე", რომლებიც პრეზიდენტს თავს მონდომებით სთავაზობდნენ. ეს პარტია იმ დროისთვის პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდა და ჯერ კიდევ არ იყო დამძიმებული სახელისუფლებო პასუხისმგებლობის ტვირთით.

მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა საბოლოო არჩევანი, გაურკვეველი პერსპექტივისა და უდაბლესი რეიტინგის მქონე "მოქალაქურ" ნარჩენებზე გააკეთა.

მისატოვებლად და მოსატყუებლად განწირულმა "ახლებმა" კი თბილისში ამომრჩეველთა 11 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვეს და რეგიონებშიც საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს...

ზაფხულში პრეზიდენტს კიდევ ერთხელ ჰქონდა საშუალება, რომ უკვე ოპოზიციაში გადასულ პოლიტიკოსებთან საერთო ენა გამოენახა. აგვისტოში, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ოპოზიციამ სცადა კიდეც დიალოგი საქართველოს პრეზიდენტთან, მაგრამ შეხვედრიდან უაღრესად აღშფოთებული და შეურაცხყოფილი გამოვიდა. "მას ჩვენი მოსმენაც არ უნდა..." - აცხადებდა მაშინ ოპოზიცია, რომელსაც პრეზიდენტი ვეტოს უფლების გამოყენებით დაემუქრა.

გასულ პარასკევს ოპოზიციამ პრეზიდენტს ზურგი თავად შეაქცია.

შევარდნაძის გვერდით კი დარჩნენ საარჩევნო გამოცდაში "ჩაჭრილი" ძალები: 2-პროცენტიანი "მოქალაქეების", 1,3-პროცენტიანი "სოციალისტებისა" და წვრილმან გარიგებებზე დახურდავებული, 8-პროცენტიანი "მრეწველების" სახით, რომელთა ლიდერი პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას უკვე თავად საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტში სტუმრობის დროსაც გაურბის.

საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ამ ძალებით აპირებს დღეს ფონს გასვლას. ამ ძალებმა შაბათს საფეხბურთო მოედნის განათება და სტადიონიდან პრეზიდენტის თავაწეული გასვლაც ვერ უზრუნველყვეს. ის ხალხი კი, ვის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური ძალები პრეზიდენტმა ერთმანეთის მიყოლებით უარყო, შაბათს მას სტვენით მიაცილებდა.

"შენ ჩვენ ბავშვობა და ფეხბურთიც წაგვართვი..." - ზურგში მისძახოდა ქვეყნის პირველ პირს შაბათს ახალგაზრდობა.

გუშინ რაგბისტების საგულშემატკივროდ საქართველოს პრეზიდენტი სტადიონზე აღარ მისულა.

ესეც ედუარდ შევარდნაძის არჩევანი გახლდათ...

# დაპირება, რომელიც პრეზიდენტმა არ შეასრულა

*"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა ხელისუფლების პრიორიტეტული ამოცანაა. ასეთი არჩევნები უნდა ჩატარდეს და უნდა ჩატარდეს უმაღლეს დონეზე. იგი ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს მიერ ნაკისრი ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებათაგანია. ეჭვი არ მეპარება, რომ მორიგი ადგილობრივი არჩევნები იქცევა არა მარტო ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსის დადასტურებად და, ამ თვალსაზრისით, თვისობრივად ახალ ეტაპად, არამედ საქართველოს ახლად დაფუძნებული სახელმწიფოს განმტკიცების, საერთო-ეროვნული და ადგილობრივი ინტერესების ჰარმონიული შერწყმის, ერთიანი სახელმწიფოს ძლევამოსილების კიდევ ერთ პირდაპირ დემონსტრირებად." - ეს სიტყვები პრეზიდენტ შევარდნაძეს ეკუთვნის, რომელიც პარლამენტის წინაშე შარშან წარმოთქვა. მაშინ, როდესაც პარტიები უკვე წინასაარჩევნო მზადებაში იყვნენ, ქვეყანაში კი პოლიტიკურ ძალთა ხელახალი გადანაწილების პროცესი იწყებოდა...*

თამარ მჭედლიშვილი

წელს პრეზიდენტი შევარდნაძე პარლამენტის წინაშე უკვე აღარ საუბრობს ადგილობრივ არჩევნებზე, რადგან სათქმელი და თავის მოსაწონი არც არაფერი აქვს. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის მიერ აღებული ვალდებულება "დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის პრიორიტეტულობის" თაობაზე მხოლოდ შეუსრულებელი დაპირება აღმოჩნდა – ხელისუფლებამ არც არჩევნების დემოკრატიულობა უზრუნველყო და არც იმისთვის იზრუნა, რომ ქვეყანაში თვითმმართველობა ჩიხში არ შესულიყო.

საკრებულოების არჩევნების ასეთი დასასრული, პირველ რიგში, ხელისუფლების "დამსახურებაა." ჩინოვნიკურმა ელიტამ საარჩევნო კანონით გათვალისწინებული ელემენტარული მოთხოვნებიც კი არ შეასრულა – ბიუჯეტიდან დროზე არ გამოიყო არჩევნების გასამართად საჭირო თანხა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი ამომრჩეველთა მხოლოდ სავარაუდო რიცხვი მიაწოდა ცესკოს, რაც საარჩევნო სიებით მანიპულირებისთვის პირდაპირ წაქეზებად იქცა და ა. შ. ცალკე საუბრის თემაა ხელისუფლების ვაჭრობა-გარიგებები პარტიებთან.

შედეგი კი სავალალოა - ქვეყნის უმსხვილესი ქალაქები თვითმმართველობის გარეშე დარჩენის რეალური საშიშროების წინაშე დგას, საქართველოს დედაქალაქში მერიის სახით ერთპიროვნული მმართველობაა, საარჩევნო ადმინისტრაციები კვალავ პოლიტიკურად ანგაჟირებულები არიან. უმაღლესი ხელისუფლება კი ამ პრობლემებს, უბრალოდ, ვერ ხედავს.

ეს ის რეალობაა, რომლისთვისაც პრეზიდენტ შევარდნაძეს თვალის გასწორება არ სურს, არადა მას ზუსტად ერთი წლის წინ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ***"ადგილობრივი არჩევნები იქცევა არა მარტო ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსის დადასტურებად და, ამ თვალსაზრისით, თვისობრივად ახალ ეტაპად, არამედ საქართველოს ახლად დაფუძნებული სახელმწიფოს განმტკიცების, საერთო-ეროვნული და ადგილობრივი ინტერესების ჰარმონიული შერწყმის, ერთიანი სახელმწიფოს ძლევამოსილების კიდევ ერთ პირდაპირ დემონსტრირებად..."***

ევროკავშირის წინაშე აღებული ერთ-ერთი ვალდებულება არ შესრულდა. ადრე თუ გვიან ამაზე პასუხს აუცილებლად მოგვთხოვენ.

# მოსკოვში საქართველოს საელჩო დარბევას გადაურჩა

## ფეხბურთის რუსი გულშემატკივრები პროვოკაციულ მოწოდებას არ აყვნენ

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

როცა თბილისის სტადიონზე შუქი გამორთეს, რუსეთის ტელევიზიის პირველი, სამთავრობო არხი ეთერში სპეციალური გამოშვებით ორჯერ გავიდა, ხოლო დიქტორის გამოსვლის ტექსტში მსგავსი ფორსმაჟორული სიტუაციისადმი ნიშნისმოგება იგრძნობოდა, რაც არახალია, მაგრამ ამჟამადაც საწყენი. თბილისში მომხდარი ინციდენტის პირველსავე წუთებში რუსეთის მას-მედიის რეაქცია ერთგვაროვანი იყო: მეტს რას ელოდით საქართველოსაგან. დაუყოვნებლივ გადაიცა თბილისის სტადიონზე ანტირუსული გაზეთის გავრცელების ფაქტიც. მოგვიანებით კი ინტერნეტში რუსულ ფორუმზე გაჩენილმა ფრაზამ მოსკოვში საქართველოს საელჩო და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები ფეხზე დააყენა: **"რუსული ფეხბურთის ფანატებს მოგიწოდებთ, წავიდეთ და საქართველოს საელჩო დავარბიოთ!"** – ასეთი მოწოდება გაჩნდა თბილისის მოვლენების ამსახველ ერთ-ერთ ჩათში. ყველამ მშვენივრად იცის, რომ ამგვარ ფორუმებს ცხელ კვალზე სწორედ ქვეყნის სპეცსამსახურები უწევენ კორექტირებას. მადლობა ღმერთს, იგივე ფორუმის რამდენიმე მონაწილე შეეცადა, შეეხსენებიათ ფანატებისათვის, რომ საქართველოს საელჩოს დარბევა ვიღაც "სამხრეებიანის" იდეაა და პროვოკაციას არ უნდა წამოეგონ. მადლობა ღმერთს, რომ ფეხბურთის რუსმა ფანატებმა ღამე საკუთარ კომპიუტერებთან გაატარეს. ხოლო რა ხდებოდა საქართველოს საელჩოსთან, ამის შესახებ "24 საათს" უამბო რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს სრულუფლებიანმა და საგანგებო დესპანმა თეიმურაზ გამცემლიძემ:

**თეიმურაზ გამცემლიძე**: – ეს ინფორმაცია ჩვენ უმალ ამოვიღეთ ინტერნეტიდან და შესაბამისი რეაგირებაც გვქონდა; საქართველოს საელჩოს გაძლიერებულად იცავენ ადგილობრივი მილიციის წარმომადგენლები. იმ ღამეს საელჩოს დასარბევად არავინ მოსულა და არც ასეთი მუქარის შემდეგაც. ჯერჯერობით, სიწყნარეა. არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე, რადგანაც ყველას ესმის, რომ ეს არის სპორტი და რეაქციაც ისეთი უნდა იყოს, როგორც სპორტს შეეფერება. ამიტომ არა მგონია, რომ ეს ინციდენტი ორი ქვეყნის ურთიერთობებს ხელს შეუშლის. მომხდარისადმი თავისი დამოკიდებულება გაგვიზიარა რუსეთში საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა.

**ივერი ფრანგიშვილი:** – ეს არის ის, რომ ქართველებს არ გვიმართლებს. ეს ჩვენი,ქართველების ბედია. მე ამ ფაქტში დივერსიას ვერ ვხედავ. საერთოდ, ჩვენ უიღბლო ერი ვართ, რადგანაც ასეთ მნიშვნელოვან მატჩში შუქი გამოირთო, ანუ ეს იყო უბრალო საინჟინრო შეცდომა. ამბობენ, რომ "დინამოს" სტადიონი და "ლოკომოტივი" ერთმანეთში შუღლობენ. შეიძლება, მართლა კაბელმა ძაბვას ვერ გაუძლო? არა, ტერორისტული აქტი არ არის, არც აპოკალიფსი, როგორც ამას რუსული გაზეთები წერენ. თუმცა, ამაზე ცუდი რა უნდა მომხდარიყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში? თუმცა, ალბათ კიდევ ერთხელ შეხვდებიან და, შეიძლება, მოვიგოთ კიდეც.

თავისი აზრი გაგვიზიარა აჭარის ლიდერის წარმომადგენელმა, აჭარის საგანგებო დავალებათა მინისტრმა ლეონარდო დევდარიანმაც, რომელიც თვლის, რომ, თბილისის ლოკომოტივის სტადიონზე მომხდარი სამარცხვინო ფაქტი "შევარდნაძის მორიგი ინტრიგაა".

თქმა არ უნდა, რუსეთის მედიისათვის საფეხბურთო ინციდენტი ამ კვირის მორიგი პოლიტიკური თემა გახდება.

# ჩინეთში ცხრა ავიაკომპანია გაერთიანდა

უპრეცედენტო გაერთიანება მზადდება ჩინეთში. აქ ერთმანეთს უნდა შეერწყას 9 უდიდესი ავიაკომპანია, რის შედეგადაც შეიქმნება 3 ავიაგიგანტი. ესენია: "ეარ ჩაინა," "ჩაინა საუზერნ ეარლაინზი" და "ჩაინა ისტერნ ეარლაინზი." ისინი შიდა ბაზრის 80 პროცენტს გააკონტროლებენ და, თითქმის, მთლიანად აითვისებენ საერთაშორისო რეისებს, მათ შორის ყველაზე მსხვილი - "ეარ ჩაინას" აქციები კი მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე გაიყიდება.

ჩინეთის ავიასექტორი ახლა აღმავლობას განიცდის. მას 11-მა სექტემბერმაც ვერაფერი დააკლო. ის კი არა, კომპანიები ძლივს აუდიან მრავალრიცხოვანი მგზავრების მომსახურებას და მუდამ სრული დატვირთვით მუშაობენ. თუმცა, პეკინმა მიიჩნია, რომ ავიაკომპანიები უფრო ეფექტურად კონსოლიდაციის შედეგად იმუშავებენ. საამისოდ მთავრობა თვეების განმავლობაში მუშაობდა შერწყმის პროექტზე.

"ეარ ჩაინა," გარიგების პირობების მიხედვით, "ჩაინა საუსვესტ ეარლაინზსა" და "ჩაინა ნეშენალ ევიეიშენს" ჩაყლაპავს. შედეგად წარმოიქმნება კომპანია, რომლის ქონების ღირებულება შვიდ მილიარდ დოლარს მიაღწევს, თანამშრომელთა რიცხვი კი - 22 ათასს. "ეარ ჩაინას" 118 ლაინერი ეყოლება, რომელიც 307 რეისს მოემსახურება. 2010 წლისათვის კომპანიას ლაინერთა რაოდენობის 200-მდე გაზრდა აქვს დაგეგმილი.

## მოკლედ

**თბილისი.** "თბილგაზისა" და "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ 16 ოქტომბერს "თბილგაზის" აქციონერთა კრებაზე ისაუბრებენ. როგორც "კავკას-პრესისთვის" გახდა ცნობილი, ამ ეტაპზე ერთობლივი საწარმოს შექმნა მხოლოდ მსჯელობის საგანია, თუმცა - სავსებით შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ "გაზის საერთაშორისო კორპორაციისა" და "თბილგაზის" ერთობლივ მუშაობაზე მოლაპარაკებები ორიოდე წლის წინ, "თბილგაზის" პრივატიზებამდეც იხილებოდა, მაგრამ **ამ კომპანიის** მერიის დაქვემდებარებაში გადაცემის შემდეგ შეწყდა. "გაზის საერთაშორისო კორპორაციაში" აცხადებენ, რომ ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ პროექტი, ჯერჯერობით, არ მუშავდება. რუსულ "იტერასთან" მოლაპარაკებების შეწყვეტის შემდეგ, "თბილგაზზე" შეფობის აღებას სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროც აპირებს.

გარდა აღნიშნული საკითხისა, კრებაზე, სხვა უამრავ საკითხს განიხილავენ და დასახავენ იმ გზებს, რომლითაც "თბილგაზი" ზამთარში უწყვეტ გაზმომარაგებას განახორციელებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო პერიოდში საქართველოში განბაჟებული ნავთობპროდუქტების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის განცხადებით, თუ ადრე თვეში, საშუალოდ, 17 ათასი ტონა ბენზინის, დიზელის საწვავის, მაზუთისა და ნავთის განბაჟება ხდებოდა" ახლა ეს ციფრი 35-40 ათას ტონას აღწევს.

მინისტრის განცხადებით, კონტრაბანდასთან ბრძოლის გარდა, საფინანსო ორგანოები ჩაერთვნენ ადგილობრივ უკანონო წარმოებასთან ბრძოლაში. მისი ცნობით, მოხერხდა რამდენიმე უკანონოდ მოქმედი ნავთობგადამამუშავებელი იატაკქვეშა საამქროს დახურვა, სადაც მზადდებოდა დაბალი ხარისხის ნავთობპროდუქტები. "ასევე დავხურეთ რამდენიმე უკანონო მინი-ნავთობქარხანა," - აღნიშნა მან.

გოგიაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სიგარეტის კონტრაბანდასთან ბრძოლას, თუმცა, არ დაუზუსტებია, ამგვარ ღონისძიებებს მოჰყვა თუ არა რაიმე შედეგი. "ასევე, ვაპირებთ ომი გამოვუცხადოთ ფქვილის კონტრაბანდას, რომელიც რამდენიმე ადამიანის ხელშია. მისი ძირითადი ნაკადი კი აჭარიდან და ერგნეთიდან მოდის," - დასძინა მან. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები მოამზადა, რომელიც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ინვესტორთა შეღავათიანი რეჟიმით დაბეგვრას ითვალისწინებს. ინვესტორები ჰიდროელექტროსადგურებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და დანადგარების იმპორტისას - საბაჟო გადასახადისაგან, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას კი დღგ-საგან გათავისუფლდებიან.

როგორც "ინტერ-პრესს" პარლამენტის ენერგეტიკის ქვემოკიტეტის თავმჯდომარემ რევაზ არველაძემ განუცხადა, აღნიშნული ცვლილებების მიღების შემთხვევაში, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა 20 პროცენტით გაიაფდება, რაც ინვესტორთა დაინტერესებას გაზრდის. საგადასახადო შეღავათები ტარიფზეც იმოქმედებს, რადგან ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურში მშენებლობის ნაკლები ხარჯები ჩაიდება, - განმარტა მან.

ჰესების მშენებლობით დაკავებული ინვესტორებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესების შესახებ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ყოველწლიურ მოხსენებაშიც განაცხადა. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მშენებლობის გადასახადებისაგან გათავისულება ენერგოსექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს და რამდენიმე წელიწადში საქართველოს ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობაც მიეცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქონების მართვის სამინისტრო, სააქციო საზოგადოება "თეცის" აქციათა პაკეტის პრივატიზებასთან დაკავშირებით, "საქგაზთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას ცდილობს.

როგორც "ინტერ-პრესს" ქონების მართვის სამინისტროს გენერალურ ინპექციაში აცნობეს, ხელშეკრულებაში ჩადებული ზოგიერთი პირობა "საქგაზს" საინვესტიციო ვალდებულებებისაგან თითქმის მთლიანად ათავისუფლებს.

ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან იმ შემთხვევაში თავისუფლდება, თუ მომხმარებლისაგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 75 პროცენტზე ნაკლები იქნება. "სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხი არ უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან სამინისტრო ინკასატორი არ არის და ვერც ამოღების მაჩვენებელზე აგებს პასუხს," - განუცხადა "ინტერ-პრესს" ქონების მართვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა გურამ გაბუნიამ.

მისი თქმით, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების პროცესში სერიოზული შეცდომებია დაშვებული, რაც ინვესტორების შერჩევასა და გაფორმებული ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესრულებას უკავშირდება. "მათ შორის, სახელმწიფოს კუთვნილი "თეცის" აქციათა პაკეტის 90 პროცენტის გაყიდვაზე გადაწყვეტილება მაშინ იქნა მიღებული, როცა საწარმო ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო და საბალანსო მოგება გააჩნდა," - აღნიშნა გაბუნიამ.

"საქგაზმა" "თეცის" აქციათა 90 პროცენტი 1999 წელს პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძინა, თუმცა, ქონების მართვის სამინისტროსა და "საქგაზს" შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შვიდი თვის დაგვიანებით - 2000 წლის აპრილში გაფორმდა. ამჟამად "საქგაზი" სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად "თეცის" მიერ გამომუშავებული თბო და ელქტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალ მაჩვენებელს ასახელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი მიესალმება პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივას 30-მდე მაკონტროლებელი უწყების ოპტიმიზაციისა და კონტროლის პალატასთან მათი შერწყმის თაობაზე.

როგორც "ინტერ-პრესს" პრეზიდენტის ამ ინიციატივის კომენტირებისას მოლაშვილმა განუცხადა, შევარდნაძე არა მაკონტროლებელი სტრუქტურების კონტროლის პალატასთან გაერთიანებას, არამედ მათ გაუქმებასა და პალატისათვის მათი რამდენიმე ფუნქციის გადაცემას გულისხმობდა.

"ჯერჯერობით, ყველაფერი ინიციატივის დონეზე რჩება. კონკრეტულად რომელი ფუნქციები დაემატება პალატას, უშუალოდ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობის დროს გაირკვევა. ერთი კი ცხადია, მეწარმეები 30-მდე მაკონტროლებელი უწყების "მზრუნველობისაგან" უნდა გათავისუფლდნენ," - განაცხადა მან.

მეწარმეების მაკონტროლებლებისგან გათავისუფლების სურვილით ახსნა საკუთარი ინიციატივა პრეზიდენტმა შევარდნაძემაც : "30-ზე მეტი მაკონტროლებელი სტრუქტურა მეწარმეს ზედმეტ ტვირთად აწევს," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 8 - 14 ოქტომბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6402 | 0.6322 | 0.0052 |
| US$ | 1.562 | | 0.9876 | 0.0081 |
| €uro | 1.5811 | 1.0126 | | 0.0082 |
| ¥en | 193.66 | 124.08 | 122.47 | |

### 2002 წლის 14 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1382 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3872 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4621 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1670 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3250 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1748 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0684 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4425 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2375 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0649 ლარი |

# „არესი" აქტიურად იკიდებს ფეხს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში

*რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაცია დიდ იმედებს ამყარებს საწარმოში "არეს ექსპორტ-იმპორტის" შესვლაზე, რადგან მან არა მარტო კომბინატის ვალები უნდა დაფაროს, არამედ 130 მილიონი დოლარის ინვესტიციაც უნდა განახორციელოს.*

სოფო კვინტრაძე

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს, რომელიც სამართავად იტალიურ კომპანია "არეს ექსპორტ-იმპორტს" ახლახან გადაეცა, 108 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანება აქვს. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასახდელი თანხა 34 მილიონ ლარს შეადგენს, მუშა-მოსამსახურეთა სახელფასო დავალიანება – 4 მილიონ ლარს, ბანკების ვალი - 750 ათას აშშ დოლარს, არასაბიუჯეტო გადასახადების დავალიანება 900 ათასი ლარია, ხოლო ბუნებრივ აირის დავალიანება - 28 მილიონ დოლარზე მეტი. საწარმო 1996 წლიდან ზარალზე მუშაობს, საშუალო წლიური ზარალი კი 15-18 მილიონ ლარს შეადგენს. იტალიურმა კომპანიამ თავის თავზე აიღო აღნიშნული ვალების დაფარვა, რაც მან, კონტრაქტის თანახმად, 2017 წლამდე უნდა განახორციელოს.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მსხვილი კრედიტორები საკმაოდ ცნობილი კომპანიები და ბანკები არიან; საკმარისია, დავასახელოთ გაზის მომწოდებელი კომპანიები: "იტერა", "მოსტრანსგაზი", "გაზკომპლექტიმპექსი", აგრეთვე "თბილკრედიტბანკი", "გაერთიანებული ქართული ბანკი", "აბსოლუტბანკი", "ივერთბანკი", "ენერგობანკი", თურქული კომპანია "ჩუქუროვა" და სხვ.

როგორც კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია აცხადებს, იტალიელები შემოიტანენ პროდუქციის დასამზადებლად საჭირო, თანამედროვე მოწყობილობას, მოახდენენ მილსაგლინავი აგრეგატების მოდერნიზაციას და შექმნიან საკუთარი ელექტრომომარაგების ბაზას. საწარმოს რეაბილიტაცია ოთხ წელიწადში უნდა დასრულდეს. ცხადია, ყოველივე ამის სანაცვლოდ იტალიელები თავისას ითხოვენ – რამდენიმე წელიწადში რუსთავის მეტალურგიული კომბინატი მათ მფლობელობაში გადავა. ირაკლი ჟორდანიას განცხადებით, ხელშეკრულებაში ჩადებულია ბერკეტები, რომლის თანახმადაც, თუ "არესი" ვერ შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს, ვერ შეძლებს კომბინატის ვალების გადახდას და ინვესტიციების განხორციელებას, მას რუსთავის მეტალურგიული კომბინატი არ გადაეცემა, ანუ ხელშეკრულება მოიშლება; ამასთანავე, იტალიელები არც იმ თანხებს მიიღებენ უკან, რის ინვესტირებასაც მოახდენენ. კონტრაქტში ჩადებულია ის მიზეზებიც, რის გამოც ინვესტორს შეუძლია, გაუფრთხილებლად შეწყვიტოს კონტრაქტი ქართულ მხარესთან: კერძოდ, თუ დაიწყება კომბინატის ლიკვიდაციის პროცესი, შეწყდება პროდუქციის წარმოება ან მხარეთა შორის გაიმართება სასამართლო პროცესი, "არესს" უფლება ეძლევა, კონტრაქტი ერთპიროვნულად გააუქმოს. ასე რომ, ქართულ მხარეს, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ოპტიმისტურად ხვდება ახალი ინვესტორის გამოჩენას, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. პირველ რიგში, მან უნდა უზრუნველყოს იმ რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციის – მილების წარმოება, რასაც მისგან ინვესტორი მოითხოვს. ეს უკანასკნელი კი საწარმოს ნედლეულით მოამარაგებს.



*ირაკლი ჟორდანია (მარცხნიდან პირველი) უარყოფს "არესის" კავშირს მეორე იტალიურ კომპანია - "ლუკინისთან", რომელიც მანამდე რუსთავის ქარხნით იყო დაინტერესებული*

კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია კვლავ უარყოფს "არესისა" და ცნობილი იტალიური მეტალურგიული კომპანიის - "ლუკინის" შორის არსებულ რაიმე კავშირს. მისი თქმით, კომბინატისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დგას იტალიელი ინვესტორის უკან. მეტიც, ჟორდანია აცხადებს, რომ კომბინატის საზეიმო გახსნაზე ჩამოსული იყო გაცილებით დიდი ორი კომპანია, ვიდრე "ლუკინია". თუმცა, სახელდობრ რომელი კომპანიები უმაგრებენ "არესს" ზურგს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ აკონკრეტებს.

# საქართველოში პრივატიზება და თაღლითობა ერთი და იგივე ცნებებია

პირველი გვერდიდან

პრივატიზაციის პროცესის პოსტ ფაქტუმ გაანალიზების შემდეგ, ანუ იმის მერე, რაც ურემი უკვე გადაბრუნდა და მთელი სახელმწიფო ქონება უგზო-უკვლოდ განიავდა, ამ სექტორში არსებული განუკითხაობისა და მოჭარბებული თაღლითობის მიზეზები იმ შუბად იქცა, ხალთაში რომ ველარ დაიმალება. **"ფორსირებული წესით განხორციელებული პრივატიზების კონცეფცია წარმოადგენდა პრივატიზების მაღალი კრიმინოგენული პოტენციალის ერთ-ერთ მიზეზს. დაჩქარებული პრივატიზება, ფაქტობრივად, საწარმოთა უკონტროლო აქციონირებად იქცა, როდესაც თავისუფლად განისაზღვრებოდა სააქციო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალი, ხდებოდა საწარმოთა დაქუცმაცება შპს-ებად, რაც ყოველთვის როდი იყო ეკონომიკურად გამართლებული,"** – წერია მოხსენებაში.

მოკლედ, სახელმწიფომ პრივატიზაციის პოლიტიკა თავიდანვე არასწორად დაგეგმა, აწარმოა, ზურგი არ გაუმაგრა საკანონმდებლო ბაზით და ახლა შედეგს ქვეყნის ეკონომიკა იმკის: გაჩერებულია პრივატიზებულ საწარმოთა დიდი ნაწილი, მრავალმა საწარმომ კი პრივატიზების შემდგომ პროფილი იცვალა და, პროდუქციის წარმოების ნაცვლად, საოფისე ტერიტორიის გაქირავებითაა დაკავებული.

არც პრივატიზების პროცესის დასაწყისში არსებობდა და არც ახლა არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოიცავდა ამომწურავ ინფორმაციას სახელმწიფო ქონების შესახებ და, აი, რატომ: პრივატიზაციის პროცესის საწყის ეტაპზე, ე.წ "ვაუჩერული პრივატიზაციისას" გავლენიანმა სახელმწიფო მოხელეებმა და საპრივატიზებო საწარმოთა ხელმძღვანელებმა სახელმწიფო ქონება, რეალურ ღირებულებასთან შედარებით, მიზერულ ფასად ჩაიგდეს ხელში.

**"პრივატიზებული ქონების ობიექტების მიხედვით, შეიძლება გამოიყოს დანაშაულობათა შემდეგი ძირითადი ჯგუფები: სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზების სფეროში, პრივატიზებულ საწარმოებში საკუთრების სახელმწიფო და მუნიციპალური წილის მართვის სფეროში, საბინაო ფონდის პრივატიზებაში, მიწის პრივატიზებაში და საპრივატიზებო ბარათებთან დაკავშირებით,"** – მიიჩნევს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.

იმ თანამდებობის პირთა მიერ, რომელთა მოვალეობაში პრივატიზების საკითხების გადაწყვეტა შედიოდა, მოხსენიებულია კონკურსებისა და აუქციონების პირობების მიზანმიმართული დარღვევის შემთხვევები, რის შედეგადაც შეღავათებით სარგებლობდნენ დაინტერესებული პირები – ანუ იგივე თანამდებობის პირები ან მათთან დანაშაულებრივად დაკავშირებული ჯგუფები. **"ხდებოდა იმ ფულადი სახსრების მითვისება, რომელიც მიღებული იყო პრივატიზებიდან,"** - ნათქვამია დოკუმენტში.

რაც შეეხება პრივატიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელების დანაშაულებებს, უმთავრესად საწარმოთა ძირითადი და საბრუნავი საშუალებების შეგნებული შემცირებაა მიჩნეული, რათა შემდგომში ქონება შემცირებულ ფასად ჩაეგდოთ ხელში. **"ხდებოდა საწარმოთა შეგნებული გაკოტრება და შემდგომ მათი პრივატიზება შემცირებულ ფასად (ამ პროცესებში, ხელისუფლების გავლენიან ჯგუფებთან ერთად, კრიმინალური ელემენტებიც მონაწილეობდნენ); იმ ობიექტების პრივატიზება ან იჯარით გაცემა შემდგომ გამოსყიდვის უფლებით, რომელთა პრივატიზებაც კანონით აკრძალულია, საიჯარო ხელშეკრულებების გაყალბება,"** - ჩამოთვლილია დოკუმენტში.

საპრივატიზებო ქონების მყიდველთა სამართალდარღვევებს შორის საბიუჯეტო ოფისს ყველაზე გავრცელებულად კონკურსებში **ცრუნაცვალი პირების მონაწილეობა** მიაჩნია. ისინი ჯერ მინიმალურ ფასს სთავაზობენ, ხოლო შემდგომ უარს აცხადებენ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებაზე, რის შედეგადაც ქონება უკვე შემცირებული ფასით გადადის კონკურსის მომდევნო (სასურველ) მონაწილეზე. **"იქმნებოდა ფიქციური სააქციო საზოგადოებები ან ყალბი ხელშეკრულებები შრომით კოლექტივებთან ერთობლივი საქმიანობის შესახებ... ზოგჯერ ისეთი კომერციული სტრუქტურები იქმნებოდა, სადაც თავს იყრიდა საწარმოთა სახსრები, რომლებიც შემდგომში კონკურსებზე და აუქციონებზე ობიექტების შესყიდვისთვის გამოიყენებოდა,"** – წერია მოხსენებაში.

საინვესტიციო პროგრამების შეუსრულებლობა, იჯარით აღებული შენობების გამოსასყიდად ქრთამის აღება და მიცემა, ხელშეკრულებების გაყალბება აქციათა მყიდველების მიერ... ეს და სხვა მრავალი სამართალდარღვევები, რომლებზეც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოხსენებაშია საუბარი, უკვე საკმარისია იმისთვის, რომ პრივატიზება საქართველოში თაღლითობასა და კორუფციასთან ასოცირდებოდეს.

პრივატიზების პროცესს მჭიდროდ დაუკავშირდა ფულის შოვნის საშუალებათაგან ერთ-ერთი ყველაზე იოლი – ჯართის ბიზნესი. პრივატიზებულ საწარმოთა ახალ მფლობელთაგან ბევრმა აღმოაჩინა, რომ მოძველებული საწარმოს შენობა კომერციულად გაცილებით მომგებიანია (მაგალითად, მაღაზიის, რესტორნის ან სამორინეს გასახსნელად), ვიდრე თავად წარმოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები. ამის გამო, ისინი ამ მანქანა-დანადგარების დემონტაჟსა და ჯართად გაყიდვას შეუდგნენ. ბუნებრივია, აქვე დამუშავდა ფულის გათეთრების ახალი სქემებიც.

ამ ფონზე, ბუნებრივია, რომ პრივატიზაცია და თაღლითობა ჩვენთან ერთმანეთისგან განუყოფელ ცნებებად იქცა. სავარაუდოა, რომ ამ პრაქტიკას უკვე ვერაფერი დაარღვევს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქვეყანაში თაღლითობისთვის ჯერ არავინ დასჯილა, მეორე კი იმიტომ, რომ ქვეყანაში საპრივატიზებო საწარმო, რომლის პრივატიზებაც, შესაძლოა, "სწორად" ჩატარდეს, პრაქტიკულად, აღარ დარჩა.

# რუსეთში ფულს აღარ ათეთრებენ?

*11 ოქტომბერს, პარიზში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან არსებულმა ფინანსურ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფმა (FATF – Financial Action Task Force on Money Laundering) რუსეთი "ფულის მათეთრებელი" ქვეყნების სიიდან ამოიღო. სიაში ახლა თერთმეტი ქვეყანა დარჩა. მათ შორისაა: კუკის კუნძულები, ეგვიპტე, გვატემალა, გრენადა, ინდონეზია, მიანმა, ნაურუ, ფილიპინები, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, ნიგერია და უკრაინა. 1989 წელს "დიდი შვიდეულის" ქვეყნების მიერ დაფუძნებული FATF-ის შავი სიიდან, რუსეთთან ერთად, კიდევ სამი ქვეყანა – ნიუე, მარშალის კუნძულები და დომინიკანების რესპუბლიკა ამოიღეს.*

მაია ურუშაძე

როგორც წესი, FATF-ის "შავ სიაში" ხვდებიან ქვეყნები, რომებიც "არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნით". FATF-ის მონაცემებით, დანაშაულებრივი შემოსავლების "გათეთრების" მოცულობა მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად 590 მილიარდი დოლარიდან 1,5 ტრილიონ დოლარამდე მერყეობს. "შავ სიაში" შესული ქვეყნებიდან პირველი, რომლის წინააღმდეგაც გასული წლის დეკემბერში ფინანსურ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფმა თავისი სანქციები აამოქმედა, ნაურუ იყო. ამ ქვეყანაში დარეგისტრირებულ საკრედიტო ორგანიზაციებს, რომელთაც ეს სანქციები უშუალოდ შეეხო, დღემდე უჭირთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში თავისი ფილიალების გახსნა. აქ 10 ათას სულ მოსახლეზე ოთხასი ბანკია დარეგისტრირებული. ამ ქვეყნის ბანკების ყველა ტრანსაქციები მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. "წესიერი" ქვეყნები ნაურუს არასაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაშიც კი გაათმაგებულ სიფრთხილეს იჩენენ.

აი, ასეთ "შავ სიაში" მოხვდნენ 11 ოქტომბერს უკრაინა და ნიგერია. მათ წინააღმდეგ FATF-ის საჯარიმო სანქციები წლევანდელი 15 დეკემბრიდან ამოქმედდება. თუმცა, "თუ ამ ქვეყნებმა საკუთარ კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებები შეიტანეს, მათ, შესაძლოა, თავი აარიდონ ამ სანქციების ამოქმედებას," – იტყობინება რუსული საინფორმაციო სააგენტო AK&M-ი.

რაც შეეხება რუსეთს, ის FATF-ის "შავ სიაში" 2000 წლის ივნისში მოხვდა, თუმცა, ეკონომიკური სანქციები მის წინააღმდეგ არ შემოუღიათ. სანქციების შემოღებით FATF-ი რუსეთს მხოლოდ 2001 წლის 24 ივნისს დაემუქრა და მას ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონის მიღება მოსთხოვა. პუტინმა სასწრაფოდ მოაწერა ხელი კანონს "არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ". ამის გამო FATF-მა, მართალია, რუსეთი "შავ სიაში" დატოვა, მაგრამ სანქციები აღარ შემოუღია. 2002 წლის მარტში FATF-მა რუსეთის მიმართ მოთხოვნები კიდევ უფრო გაამკაცრა და კანონმდებლობის "საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა" მოითხოვა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ რეფორმების აუცილებლობა საგადასახადო და სამართალდამცავი სექტორების წინაშეც დადგა.

2002 წლის სექტემბერში რუსი ჩინოვნიკების აღშფოთებამ პიკს მიაღწია. მათ მიიჩნიეს, რომ ქვეყანამ ყველაფერი იღონა საამისოდ, რათა, გრენადისა და ნაურუს გვერდით, "შავ სიაში" აღარ ყოფილიყო. მოსკოვმა მოიწვია FATF-ის კომისია, რომლის ვიზიტისას სასწრაფოდ მოეწერა ხელი "არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ" კანონში დამატებითი ცვლილებების შეტანას და ექვსასი ათას რუბლად შეფასებული ყველა გარიგება სავალდებულო კონტროლს დაექვემდებარა. მოკლედ, რუსებმა მოიგეს FATF-ის გული და, შედეგად, "შავი სიიდან" ამოშლასაც მიაღწიეს.

დღეს რუსეთის ფინანსთა მინისტრი ალექსანდრ კუდრინი აცხადებს, რომ **"ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან ურთიერთობის გზაზე."**

ასეა თუ ისე, FATF-ის სიიდან "გასაქრობად" რუსეთს საერთაშორისო კანონმდებლობასთან ადაპტაციისთვის სერიოზული და ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდა.

**"კარგია, რომ იმ ქვეყნების "შავი სია", სადაც კანონმდებლობა არის, მაგრამ არ სრულდება, FATF-ს, ჯერჯერობით, არა აქვს,"** – ილიმებიან რუსი ჟურნალისტები.

# ინდონეზიის ტერაქტმა 184 ადამიანი იმსხვერპლა



ინდონეზიის საკურორტო კუნძულ ბალიზე გუშინწინ ღამით მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა უკვე 184-ს მიაღწია. დაჭრილია კიდევ 213 ადამიანი, რომელთაგან ბევრი კრიტიკულ და მძიმე მდგომარეობაშია. ინდონეზიის პრეზიდენტის - მეგავატი სუკარნოპუტრის თქმით, დაღუპულთა უმრავლესობა უცხოელია.

ბალი ინდონეზიის ყველაზე პოპულარულ და წყნარ კურორტად ითვლებოდა, სადაც დამსვენებელთა უმრავლესობას ავსტრალიელი, ბრიტანელი, ფრანგი, გერმანელი და შვედი ტურისტები შეადგენდნენ. დაღუპულებს შორისაც სწორედ ამ ეროვნებების ადამიანები სჭარბობენ.

დაახლოებით შუაღამისას ღამის კლუბ "სარი"-ს მახლობლად დატოვებული ავტომანქანის აფეთქებამ ძლიერი ხანძარი გამოიწვია. ამ დროს ღამის კლუბის სტუმრების რიცხვი მაქსიმუმს აღწევდა. ათობით სახანძრო მანქანამ დილამდე ვერ მოახერხა ხანძრის ჩაქრობა. ღამის კლუბში მომხდარი აფეთქება ინდონეზიაში ერთადერთი არ ყოფილა – შედარებით მცირე მასშტაბის აფეთქებები მოხდა ბალის ცენტრში განლაგებულ ქალაქ დენპასარში ამერიკის საკონსულოსთან და ქალაქ მანადოში ფილიპინების საელჩოსთან.

ტურისტები გუშინ აეროპორტს მიაწყდნენ და ცდილობდნენ, ნებისმიერი მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავებში მოხვედრილიყვნენ, რათა თავი დაეღწიათ ხელახალი ტერაქტებისათვის.

კუნძული ბალი ინდუიზმის მიმდევრებითაა დასახლებული, განსხვავებით დანარჩენი ინდონეზიისაგან, სადაც მუსლიმი მოსახლეობა სჭარბობს. ბოლო ხანს გაჩნდა ცნობები, რომ ოსამა ბინ ლადენის ტერორისტული ქსელი "ალ ქაიდა" ინდონეზიაში – მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ სახელმწიფოში შეღწევას გეგმავდა.

კუნძულ ბალიზე მომხდარი ტერორისტული აქტი თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვა იემენსა და ჰელსინკიში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს. (სულ ახლახანს დაადგინეს, რომ იემენში ფრანგული ტანკერის აფეთქება ტერორისტული აქტის შედეგი იყო) უნდა ითქვას, რომ, ჯერჯერობით, სამიდან არც ერთი ტერორისტული აქტის მოტივაცია არ არის ცნობილი. ბალის ტერაქტებთან დაკავშირებით ჯერ მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ. აგრეთვე უცნობია, თუ რა მოტივები ამოძრავებდა 20 წლის ფინელ სტუდენტ-ქიმიკოსს, რომელმაც შაბათს ჰელსინკის გარეუბანში სავაჭრო ცენტრის შენობა ააფეთქა.

## მოკლედ

**ყაზანი.** გუშინ ყაზანის თავისუფლების მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც 450 წლის წინ რუსების მიერ ყაზანის დაპყრობისას დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა. მიტინგში მონაწილეობა ათასამდე ადამიანმა მიიღო. აქციის ორგანიზატორად გამოვიდა სრულიად თათრეთის საზოგადოებრივი ცენტრი. მიტინგის შემდეგ მსვლელობა ყაზანის კრემლისაკენ გაემართა, სადაც მუსლიმმა სასულიერო პირებმა ნამაზი შეასრულეს, 450 წლის წინ რუსებთან ბრძოლაში დაღუპული შეხიდების (მუსლიმი მებრძოლების) სულის მოსახსენებლად. ყაზანის სახანოს დაპყრობა-შემოერთება ივანე მრისხანემ 1552 წლის ოქტომბერში დაასრულა. რუსების მიერ ყაზანის აღების მსხვერპლთა მოსახსენებელი ღონისძიებები თათრეთის დედაქალაქში წელს უკვე მეთორმეტედ ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ აქციაში მონაწილეობა არ მიუღია თათრეთის არც ერთ ოფიციალურ პირს.

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** კონსერვატორ ქრისტიან მქადაგებელს ჯერი ფოლველს საჯარო ბოდიშის მოხდა დასჭირდა იმის გამო, რომ წინასწარმეტყველ მუჰამედს ტელეკომპანია "სი-ბი-ესის" გადაცემაში "ტერორისტი" უწოდა. "ვფიქრობ, მუჰამედი ტერორისტი იყო. მე მისი ცხოვრების შესახებ იმდენი კი მაქვს წაკითხული, რომ მივმხვდარიყავი - იგი მოძალადე ადამიანი იყო". ამ კომენტარმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუსლიმების აღშფოთება გამოიწვია. ფოლველის კომენტარებს შეტაკებები მოჰყვა ვესტ-ინდოეთში, ხოლო ქაშმირსა და ნიუ-იორკში საპროტესტო გამოსვლები გაიმართა.

■ ■ ■

**სერბია.** კვირას სერბიაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს იუგოსლავიის ახლანდელი პრეზიდენტი ვოისლავ კოშტუნიცა და სერბიის მთავრობის ვიცე-პრემიერი მიროლუბ ლაბუსი დაუპირისპირდნენ. ნაციონალისტი კოშტუნიცა და ლიბერალი ეკონომისტი ლაბუსი ერთად ებრძოდნენ სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმს და დიდი წვლილი შეიტანეს ორი წლის წინ ყოფილი პრეზიდენტის დამხობაში. დამკვირვებლები შიშობენ, რომ სერბი ამომრჩევლების უმრავლესობამ, შეიძლება, უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე. არჩევნების ჩატარების ბედი და წინასწარი შედეგები ორშაბათ დილით გახდება ცნობილი.

■ ■ ■

**კიევი.** უკრაინის დედაქალაქში ჩავიდნენ ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები, რომლებიც უკრაინის მიერ ერაყისათვის შეიარაღების უკანონო გადაცემის საქმეს გამოიძიებენ. ორიოდე კვირის წინ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ უკრაინის მთავრობას და პირადად პრეზიდენტ კუჩმას ბრალი დასდო სადამ ჰუსეინისთვის პასიური თვალყურის დევნების რადარების - "კოლჩუგას" გადაცემის გამო. ამერიკის ეს ბრალდება უკრაინაში პოლიტიკური ვითარების გამწვავების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იქცა. ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები რადარების შენახვისა და დამზადების ცენტრებს მოინახულებენ.

■ ■ ■

**ერევანი.** რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის ბორის ელცინის აზრით, თურქეთმა უნდა აღიაროს 1915 წელს სომხებისათვის მოწყობილი გენოციდი. "დადგა დრო, თურქეთმა აღიაროს სომხების გენოციდი," – ამგვარი ჩანაწერი დატოვა ბორის ელცინმა ერევნის მახლობლად მდებარე ციცერნაკაბერდის მემორიალურ კომპლექსში შთაბეჭდილებათა წიგნის შევსებისას. ელცინი, მეუღლესთან ერთად, უკვე მეორე დღეა, ერევანში იმყოფება, სომხეთის პრეზიდენტის მიწვევით. მან უკვე მიიღო მონაწილეობა ერევნის დაარსების 2748-ე წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებებში.

# რუსეთთან შეთანხმებაზე მეტად, საქართველოს დიდთოვლობის იმედი უნდა ჰქონდეს

პირველი გვერდიდან

საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანის მომავლისთვისაც. თუ საქართველო დაეცემა, აზერბაიჯანი, ალბათ, მაშინვე რუსეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება, ისევე როგორც ცენტრალური აზიის ქვეყნები.

**- ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მოსკოვის მხრიდან საქართველოზე ზეწოლა უკავშირდება რუსეთის საშინაო პოლიტიკას, განსაკუთრებით, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებს.**

- რა თქმა უნდა, იმის თქმა, რომ რუსეთში ყველა აბსოლუტურად ერთნაირი აზრისაა, არასწორი იქნება, მაგრამ მოსკოვის დღევანდელი პოლიტიკა გაცილებით უფრო კოორდინირებული და ცენტრალიზებულია, ვიდრე ელცინის დროს. ვფიქრობ, ნათელია, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკა ერთიანია და ეს პოლიტიკა ხელისუფლების ყველაზე მაღალი ეშელონიდან - პუტინისა და მისი უახლოესი გარემოცვისაგან მოდის. ამ პოლიტიკის მიზანია, საქართველო იყოს სუსტი, დანაწევრებული და არასტაბილური.

**- რამდენად უპირისპირდება რუსეთის ამგვარ პოლიტიკას აშშ?**

- ამერიკის პოლიტიკა ერთიანი და თანმიმდევრულია საქართველოს დაცვაში.

უნდა აღვნიშნო ერთი პარადოქსი. საბოლოო ჯამში, კასპიის ნავთობისა და გაზის მომხმარებლები დასავლეთ ევროპის ქვეყნები იქნებიან და არა აშშ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის აშშ საქართველოში ყოველწლიურად ათეულობით მილიონ დოლარს ხარჯავს, ახორციელებს "წვრთვნისა და აღჭურვის" პროგრამას. დასავლეთ ევროპელები ისე კარგად ვერ ხედავენ კასპიის მნიშვნელობას, როგორც ამერიკელები. არადა, კასპიის ნავთობმა უნდა შეამციროს მათი ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე.

**- ამჟამად დასავლეთ ევროპა ენერგეტიკულად ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. საერთო აზრით, ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაღრმავდება. რამდენად სურთ ევროპელებს ამ კავშირის შესუსტება?**

- ევროკავშირის პრობლემა ის გახლავთ, რომ მას არა აქვს ერთიანი საგარეო პოლიტიკა. მისი წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეორე პრობლემა ის არის, რომ რაც მეტად იქნება ევროპა რუსეთზე ენერგეტიკულად დამოკიდებელი, მით უფრო ნაკლებ როლს შეასრულებს იგი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

ამჟამად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი კონტექსტი ამერიკელების მიმართ წინააღმდეგობაა. ეს ბავშვური თამაშია და ადეკვატურ რესურსებს არ ემყარება. ევროპის საგარეო პოლიტიკა აშკარად დადამბლავებულ მდგომარეობაშია.

**- მართალია, რუსეთის გეგმა, ერაყი საქართველოში გაეცვალათ, ვერ განხორციელდა, მაგრამ არ წყდება მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, რომ ერაყის ომმა საქართველოზე, შეიძლება, უარყოფითი გავლენა მოახდინოს.**

- ვფიქრობ, საფრთხე საქართველოსთვის, შეიძლება, იმ შემთხვევაში გაჩნდეს, თუ ომი ერაყში ამერიკელებისათვის არცთუ ისე კარგად წავა. მაშინ უკვე რუსეთის "ჩუმი თანხმობის" ფასი დიდად გაიზრდება. ამიტომ, რუსები უფრო მეტად მოითხოვენ მათთვის საქართველოს დათმობას. წავა ამაზე ამერიკა? არა მგონია.

მაგრამ აქ პრობლემა იმდენად გაცვლა-გამოცვლა არ გახლავთ. ერაყის ომის გაჭიანურების შემთხვევაში, ამერიკის ყურადღება საქართველოს მიმართ, რა თქმა უნდა, შემცირდება. ნიშანდობლივია 1956 წლის მაგალითი, როდესაც საბჭოთა კავშირის მიერ უნგრეთში ჯარების შეყვანა საფრანგეთ-ინგლისის მიერ სუეცის კრიზისში ჩართვას დაემთხვა. მაშინ ამერიკამ ვერ შეძლო, ერთდროულად მოევლო ორი კრიზისისათვის. მან ყურადღება ახლო აღმოსავლეთზე გადაიტანა, რამაც რუსებს საშუალება მისცა, უნგრეთში შეიარაღებული ინტერვენცია დაუსჯელად განეხორციელებინათ.

**- თუ ერაყში ვითარება გართულდა, რუსებმა, შეიძლება, საქართველოს ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე დაარტყან?**

- იმის საფრთხე, რომ რუსები მაქსიმალურად შეეცდებიან, საქართველოზე ზეწოლა გააძლიერონ, რეალურია.

**- თუ რუსეთ-საქართველოს ინტერესები იმდენად ურთიერთგამომრიცხავია, როგორც თქვენ ბრძანეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ შეთანხმების მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**

- ამჟამად ორ ქვეყანას შორის დიალოგი არც მიმდინარეობს. მოლაპარაკებები ბაზებისა და ჯარების გაყვანის შესახებ შეჩერებულია. ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობა, რომელსაც ქართული მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რუსული მხარის მიერ ასევე შეჩერებულია. რუსები არც აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიდიან მოლაპარაკებებზე. კიშინიოვში პანკისზე მოლაპარაკებები არც ყოფილა, იქ "დადებითი ატმოსფერო სუფევდა", რაც მისასალმებელია, მაგრამ მხარეებმა მნიშვნელოვან კონკრეტულ შედეგებს ვერ მიაღწიეს.

მე ზამთრისა და თოვლის იმედი უფრო მაქვს, ვიდრე მოლაპარაკებების. თოვლი საქართველოს უშიშროებას რამდენიმე თვის განმავლობაში უზრუნველყოფს. იმედია, პუტინი ზამთრის თვეებს იმისათვის გამოიყენებს, რომ რეპუტაცია გადაირჩინოს და პანკისის თემა დღის წესრიგიდან მოხსნას.

**- თუ რუსეთის ინტერვენცია მაინც განხორციელდა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას?**

- სრული კოშმარი საქართველოსათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართული არმია რუსების შეჩერებას მოახერხებს. ამას მოჰყვება ჯაჭვური რეაქცია ჯავახეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ აფხაზეთზე. შეიძლება, ასლან აბაშიძე თბილისთან ურთიერთობებში უფრო მომთხოვნი გახდეს, საერთაშორისო ინვესტორების სიფრთხილე გაიზრდება. საქართველოს არა აქვს არანაირი ფინანსური რესურსები თუნდაც მცირემასშტაბიანი ომისათვის.

ვფიქრობ, პანკისი სხვა რეალურ საფრთხეს შეიცავს. რუსები ცდილობენ, ქართველებსა და ჩეჩნებს შორის უთანხმოება ჩამოაგდონ, მათ სურთ, რომ სისხლი დაიღვაროს და მერე სისხლის აღებების მთელი ციკლი დაიწყოს. კავკასიაში ვენდეტების შეჩერება, როცა იგი უკვე დაწყებულია, შეუძლებელია. გახსოვთ, სერგეი ივანოვი როგორი დაჟინებით მოითხოვდა, მისთვის ჩეჩნების გვამები ეჩვენებინათ? მეორეგან კი კითხულობდა, ეს რა ოპერაციაა, როდესაც სისხლი არ იღვრებაო. აშკარაა, რომ რუსებს სისხლი და გვამები სურთ.

**- 8 ჩეჩნის ექსტრადირებამ თუ შეიძლება საქართველო-ჩეჩნეთის კონფლიქტში კატალიზატორის როლი შეასრულოს?**

- მე მოვისმინე მასხადოვისა და გელაევის განცხადებები, სადაც ისინი ამბობდნენ, რომ გაბრაზებულები არიან თბილისზე და, შეიძლება, შური იძიონ. ეს საკმაოდ ბუნდოვანი განცხადებები იყო. მათზე დაყრდნობით ვერ იტყვი, აპირებენ თუ არა შურისძიებას იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენების გადაცემაც განხორციელდა. მაგრამ, მათ გარდა, კიდევ ბევრი დაჯგუფება არსებობს. ჩვენ არ ვიცით, სად არიან ისინი ან ვისგან იღებენ ბრძანებებს. ასე რომ, მე სულაც არ გამოვრიცხავ, დანარჩენების ექსტრადირების შემთხვევაში, რუსებმა ჩეჩნების პროვოცირება მოახერხონ.

მე არ ვიცი, რა იურიდიულ საფუძველზე მოხდა 5 ჩეჩნის გადაცემა, მაგრამ ჩემთვის გასაოცარია ის, რომ იგორ გიორგაძის გადმოცემის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. როდესაც რუსები ჩეჩნების გადაცემას მოითხოვდნენ, თბილისში კაციშვილი არ სვამდა გიორგაძის გადმოცემის საკითხს. ეს ჩეჩნები უბრალო, პოლიტიკისაგან შორს მდგომი ადამიანები იყვნენ, მაშინ, როდესაც გიორგაძეს უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სად არის აქ ორმხრივი დიალოგი?

**- ხომ არ არის მოსალოდნელი ამერიკული დახმარების შემცირება?**

- აქამდე ამერიკის მხარდაჭერა საქართველოსადმი, ევროპელებისაგან განსხვავებით, საკმაოდ დიდი გახლდათ. ჩემი აზრით, აშშ-ს მხარდაჭერა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც საქართველო მოსკოვის აგრესიისაგან იხსნა. რუსეთის ჯარებსა და საქართველოს შორის მხოლოდ ამერიკა დგას – ეს აშკარაა. ჩემთვის ასევე აშკარაა ისიც, რომ შევარდნაძემ უნდა დაასრულოს პრეზიდენტობის კონსტიტუციური ვადა. უპასუხისმგებლობა იქნებოდა ვინმესგან მისი გადადგომის მოთხოვნა ან ამის მხარდაჭერა. კონსტიტუცია კონსტიტუციაა და მისი ნორმები უნდა დაიცვათ.

**- შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ვინ იქნება დასავლეთისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატი?**

- მე ორი პასუხი მექნება. ჯერ კიდევ თითქმის სამი წელია დარჩენილი და პროგნოზების გაკეთება ნაადრევია. ვფიქრობ, პრეზიდენტისთვისაც ნაადრევია, საჯაროდ განაცხადოს თავისი შესაძლო მემკვიდრისა და ძალაუფლების გადაცემის სცენარის შესახებ.

მეორე, საქართველოს პოლიტიკური ელიტა, თითქმის, მთლიანად პროდასავლურია. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა პოლიტიკოსი პროდასავლურ კურსს უჭერს მხარს. რუსეთს აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ დაეყრდნოს ძველ და ძალზე დისკრედიტირებულ პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებსაც ძალზე მცირე მხარდაჭერა აქვთ, როგორებიც არიან ჯუმბერ პატიაშვილი ან ასლან აბაშიძე. ეს უკანასკნელი მხოლოდ ლოკალური ლიდერია და ეროვნულ ლიდერად ქცევის შანსი არა აქვს.

ვფიქრობ, სერიოზული პრორუსული პოლიტიკური ფიგურის არარსებობა ძალზე დადებითი მოვლენაა. სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა აზერბაიჯანშიც.

**- ესე იგი, რუსები კვლავაც დესტაბილიზაციის მეშვეობით შეეცდებიან თავიანთი მიზნების მიღწევას?**

- ნათელია, რომ სანამ შევარდნაძე ხელისუფლებაშია, რუსები დესტაბილიზაციის მცდელობებს გააგრძელებენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ დესტაბილიზაცია მხოლოდ საშუალებაა, მიზანი საქართველოს რუსეთის ორბიტაზე დაბრუნებაა, უფრო კონკრეტულად კი - თბილისის პროდასავლური პოლიტიკური კურსის შეცვლა, მილსადენების საბოლოო დასამარება, ნატო-ს კარზე დაკაკუნების აღკვეთა, ქვეყანაში ეთნიკური ფრაგმენტაციის გაღრმავება და აქ რუსული სამხედრო ბაზების სამუდამოდ დატოვება. დესტაბილიზაცია მიზანი არ გახლავთ და ამას ისინი გასართობად არ აკეთებენ, თუმცა, ვფიქრობ, მოსკოვში ზოგიერთი ამისაგან სიამოვნებასაც იღებს.

**- დასავლურ დახმარებას რომ დავუბრუნდეთ, სამწუხაროდ, მისი ეფექტი არც ისე დიდია. რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხის აღსაკვეთად, ალბათ, ორივე მხრიდან მეტის გაკეთებაა საჭირო**

- რუსეთის მხრიდან ძირგამომთხრელი ქმედებების აღსაკვეთად, პირველ რიგში, აუცილებელია მთავრობის გაწმენდა, კორუფციასთან ბრძოლა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ბიუჯეტი ჰქონდეს, რაც დღეს, ფაქტობრივად, არ აქვს. ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური რეფორმები და ხელისუფლების მოქმედებების ეფექტურობის ამაღლება. ეს ისევე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, როგორც სამხედრო და უსაფრთხოების პოლიტიკა. თუ ეს რეფორმები არ განხორციელდა, მაშინ ამერიკული დახმარების შემცირების საკითხიც, შეიძლება, რეალურად დადგეს. აქედან კი დამოუკიდებლობის დაკარგვამდე უკვე შორი აღარ იქნება.

დსთ-ს ყველა ქვეყანაში რუსეთის გავლენა კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის პირდაპირპროპორციულად იზრდება. რუსები კორუმპირებულ გარემოში თავს კარგად გრძნობენ, ისინი მას თავად არიან შეჩვეული. ხალხის მოქრთამვის მეშვეობით, მათ იოლად შეუძლიათ თავიანთი ინტერესების გატარება.

**- თქვენ ჯავახეთი ახსენეთ. ჯერჯერობით, ერევანი არ უჭერს მხარს რეგიონში სეპარატიზმის გაღვივებას და საკმაოდ კონსტრუქციულია. თუ ფიქრობთ, რომ რუსეთის გავლენა მას პოზიციის შეცვლას აიძულებს?**

- სომხეთის მთავრობა ამ საკითხში მართლაც ქებას იმსახურებს, მაგრამ დიასპორა, და განსაკუთრებით, დაშნაკცუტიუნი, მზად არის ჯავახეთში არეულობის დასაწყებად. მართალია, კოჩარიანს სჭირდება დაშნაკების დახმარება საშინაო პოლიტიკაში და არჩევნებში გამარჯვების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ჯავახეთში იგი დაშნაკების პოლიტიკას არ ემხრობა. გასაგებია, რატომაც, - საქართველო სომხეთისათვის სიცოცხლის გზაა. სამაგიეროდ, სომხეთი მხარს უჭერს ახალქალაქში რუსული სამხედრო ბაზის შენარჩუნებას.

**- ბოლო ხანს თითქოს რაღაც ძვრები ხდება აფხაზეთში. რუსეთის პრეზიდენტმა ამ საკითხში პირადი წარმომადგენელი დანიშნა, შესამჩნევად გააქტიურდნენ ამერიკელები და ინგლისელები. რა შედეგს შეიძლება ველოდოთ?**

- ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ერთადერთი მეტ-ნაკლებად გამოსადეგი ანალოგი დნესტრისპირეთის კონფლიქტია და ისიც სულაც არ არის იმედის მომცემი. ორი წლის წინ პუტინმა მაღალი რანგის ემისარი დანიშნა კონფლიქტის მოგვარების საკითხებში. მისი პირადი წარმომადგენელი გახდა ევგენი პრიმაკოვი, რომელიც დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ვიაჩესლავ ტრუბნიკოვმა, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ და "კაგებეს" ყოფილმა გენერალმა შეცვალა. ანალოგიური ნაბიჯები გადადგეს უკრაინამ და მოლდოვამ. თუმცა, ეს მხოლოდ ბიუროკრატიულ ნაბიჯებად დარჩა და რაიმე პროგრესი არ მოჰყოლია. ასე რომ, არა მგონია, პერინას მზარდმა დაინტერესებამ ან დიდი ბრიტანეთის მიერ ბრაიენ ფოლის მოვლინებამ შედეგი გამოიღოს.

რა თქმა უნდა, აფხაზებს მაქსიმალური სტიმული უნდა მიეცეთ, რათა თბილისთან მოლაპარაკებებზე წავიდნენ. გაცილებით უკეთესია, პირდაპირ ელაპარაკო აფხაზებს, ვიდრე რუსებს მისცე საშუალება, მათი სახელით ილაპარაკონ. ცხადია, რუსეთის გარეშე კონფლიქტი არ მოგვარდება, მაგრამ იდეალური ვარიანტი იქნება, თუ თბილისი და სოხუმი შეთანხმებას მიაღწევენ, მაშინ მოსკოვისთვის ძნელი გახდება მისი დაბლოკვა.

**- და ბოლო შეკითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ რუსეთის მიდგომა დსთ-ს ქვეყნებში არსებული კონფლიქტების მიმართ, რომელიც თითქმის ერთნაირია ყარაბაღში, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში, შეიძლება, უფრო პოზიტიური გახდეს?**

- პირიქით, მათი მიდგომა სულ უფრო უარესი ხდება. მოლდოვაში ისინი აშკარად უარს ამბობენ სტამბოლის სამიტზე აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. ისინი ვალდებულები იყვნენ, 2002 წლის 31 დეკემბრამდე მთლიანად გაეყვანათ მოლდოვადან ჯარები, მაგრამ ჯერ ერთი ჯარისკაციც კი არ გაუყვანიათ. პირიქით, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა ევნევიჩმა და ხსენებულმა ტრუბნიკოვმა განაცხადეს, რომ ისინი "სამშვიდობო ძალების" მანდატით ჯარის დატოვებას განუსაზღვრელი ვადით აპირებენ, იმის მიუხედავად, რომ, ჯერჯერობით, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მათ ამგვარ მანდატს არ აძლევს. შესაძლოა, რუსებმა მანდატის მიღება დსთ-დან სცადონ ან "თვითმარქვია სამშვიდობოებად" დარჩნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, არც საქართველოში და არც მოლდოვაში რუსები ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებენ. ეს კი ცუდის ნიშანია.



ვლადიმირ სოკოლი

კონკორდატი

# ტრადიციულობის მიჯნაზე

## რელიგიური გაერთიანებების დახარისხების პროცესი დაიწყო

*დღეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საქართველოს პრეზიდენტი და კათოლიკოს-პატრიარქი ხელს მოაწერენ კონსტიტუციურ შეთანხმებას სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ეს პრეცედენტი არის საქართველოს ახალ სახელმწიფოსა და მის ტერიტორიაზე მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების გარკვევის დასაბამი.*


გიგი წერეთელი


ნუგზარ პაპუაშვილი


თინათინ ხიდაშელი


ვასილ მაღლაფერიძე


თემურ ბიბილური

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი გახელაძე

*"24 საათის" რედაქციის სტუმრებმა იმსჯელეს სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობაში საკვანძო საკითხებზე: თანასწორობის, სამართლიანობისა თუ შემწყნარებლობის არსსა და რეალურ გამოვლინებებზე ჩვენს საზოგადოებაში.*

**- რამდენად აქტუალურია სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების გაფორმება?**

***გიგი წერეთელი,*** *საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე:* ორი წელი პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი თავაუღებლად მუშაობდა ამ საკითხზე. სასიხარულოა, რომ საქართველოში მოქმედი ყველა ტრადიციული კონფესიის წარმომადგენლები სრული გაგებითა და მხარდაჭერით მოეკიდნენ ამ კონსტიტუციური შეთანხმების აუცილებლობას. ყოველი მათგანი საკუთარი ლეგიტიმაციის დაჩქარებას ხედავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის დროულ გარკვევაში.

გასაგებია და დასამალიც არ არის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემები სხვადასხვა კონფესიებთან. მაგრამ, ერთობლივი ძალისხმევით ეს საკითხები მოგვარდება, მით უფრო – თანამშრომლობის სურვილი და მზადყოფნა არაერთხელ დადასტურებულა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას აქამდე კონტურებიც არ გააჩნდა. არადა, ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

***ვასილ მაღლაფერიძე,*** *საქართველოს პარლამენტის წევრი:* მთლიანობაში პარლამენტისა და ჩვენი ფრაქციის განწყობა ასახულია კონსტიტუციური შეთანხმების პროექტში. პარლამენტის უდიდეს ნაწილს ამჟამად მიაჩნია, რომ სახელმწიფო ანალოგიურად უნდა მიუდგეს სხვა ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებსაც საქართველოში. ამასთან დაკავშირებით, 1-ელ ეტაპზე იმუშავებს კომისია, რომელმაც უნდა დაადგინოს და შეაფასოს სარესტიტუციო (დასაბრუნებელი) ქონება. ამ მიდგომის წინააღმდეგი მაინცდამაინც ბევრი არ ჩანს.

**- როგორ მოხდება ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება მატერიალური მემკვიდრეობის საუკუნოვანი გადანაწილება-აღრევის პროცესის შემდეგ?**

***ვასილ მაღლაფერიძე:*** მე-19-20 საუკუნეებში ეკლესიისა და საერთოდ რელიგიის განსაკუთრებულად დევნა-შევიწროვების შედეგად ქონების უმეტესი ნაწილი ნაციონალიზებული იყო. დღეს, სახელმწიფო, როგორც ამ ქონების მფლობელი, აღიარებს მის სამართლიან მესაკუთრეს – ეკლესიას. აქვე აღნიშნულია, რომ ქონების შესაძლებელი, ნაწილობრივი დაბრუნება მოხდება ეტაპობრივად.

რაც შეეხება ახალშექმნილ ღირებულებებს, ის უპირველესად შემქმნელისა თუ შემძენის საკუთრებაა, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, და აქ გაუგებრობებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

***თემურ ბიბილური,*** *დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი:* ძალიან კარგია, რომ ახალი ეკლესიები შენდება. მაგრამ ხშირად აბსურდამდე მივდივართ. მცხეთის შემოგარენში 99 პროცენტი აბსოლუტურად შეუთანხმებელი პროექტებით შენდება. მაგალითად, ძეგვში კი ეკლესიის აღდგენისას დაანგრიეს მე-10 საუკუნის ქრისტიანული სამაროვანი. ღვთის სახლის მშენებლობას ღვთის შვილების საძვალე ხომ არ უნდა გადავაყოლოთ? სვეტიცხოვლის ტერიტორიაზე ხომ საერთოდ აბსოლუტურ იგნორირებას გვიწევენ.

***ნუგზარ პაპუაშვილი,*** *ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:* ეს ხდებოდა ხელშეკრულების გაფორმებამდე. თუმცა, ამ შეთანხმებით ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის მესაკუთრედ ეკლესია ცხადდება და შესაძლებელია თვითნებური, მეცნიერულად გაუმართლებელი, ქმედებები გახშირდეს.

***თინათინ ხიდაშელი,*** *"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" პრეზიდენტი:* არც ასე ცუდად არის საქმე. მაგალითად, მესაკუთრის ვინაობისა და სურვილის მიუხედავად, ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაცია კანონით განსაზღვრული წესით უნდა მოხდეს. ეს წესები არსებობს და თუ მას ვინმე არღვევს, თუნდაც მესაკუთრე, პასუხიც მოეთხოვება.

***თემურ ბიბილური:*** აქ დგება კიდევ ერთი პრობლემა – როგორი ქმედებაა წახალისებული კანონით. დღეს ძეგლის აღსადგენად საქველმოქმედოდ გამოყოფილი თანხა იბეგრება. ამ შეთანხმებით კი, არ დაიბეგრება მხოლოდ ახალი ტაძრების მშენებლობა. გამოდის, რომ რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება ქველ ადამიანს "არ ულირს".

***თინათინ ხიდაშელი:*** არსებობს შემოვლითი გზა – თუკი ქველმოქმედი სარესტავრაციო თანხას გაიღებს როგორც შემოწირულობას, მაშინ ის არ დაიბეგრება.

***გიგი წერეთელი:*** მიმაჩნია, რომ ქონების, მემკვიდრეობისა თუ ეკონომიკური ურთიერთობების განხილვა ცოტა მოგვიანებით უნდა შედგეს. სჯობს ვაცალოთ მუშაობა კომისიას, რომელიც შეთანხმების თანახმად უნდა შექმნას პრეზიდენტმა. სწორედ, ამ კომისიამ უნდა დაადგინოს, თუ რა ქონება დაექვემდებარება დაბრუნებას, როდის და რა ფორმით. დარწმუნებული ვარ, თითოეულ ჩვენგანს საკუთარი არგუმენტების წარმოსადგენად იქ სრული საშუალება მოგვეცემა. თანაც, ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ საჭიროა საერთო კონსესუსი.

სხვა ტრადიციული კონფესიების სტატუსი მით უფრო მალე გაირკვევა, რაც უფრო კონსტრუქციული იქნება მართლმადიდებელ ეკლესიასთან რესტიტუციის საკითხის მოგვარების პროცესი.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ტრადიციულ და არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობათა გამიჯვნის პროცესი. ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს ასეთი დიფერენციაცია. ზოგან არსებობს "აღიარებული" და "არაღიარებული" კონფესიები. მაგალითად, იტალიაში სამსაფეხურიანი სისტემაა. თავისთავად, რანჟირებაში მე პრობლემას ვერ ვხედავ.

***თინათინ ხიდაშელი:*** მაგრამ, დაუშვებელია რაიმე რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციისას მისი პრევენციული (წინასწარი) აკრძალვა, თუკი იგი წესდებითვე არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას. დასჯადი ქმედებებისთვის არსებობს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის წინაშე ყველა ერთნი ვართ.

***გიგი წერეთელი:*** უბრალოდ, ამის მიხედვით ისაზღვრება სახელმწიფოს მიმართების ხარისხი თითოეული გაერთიანებისადმი. მე ვფიქრობ, რომ შემდგომ მისაღები დოკუმენტი უნდა იყოს მოკლე, სხარტი. იგი უნდა საზღვრავდეს ტრადიციულ და არატრადიციულ კონფესიებს, ადგენდეს მათ სტატუსსა და რეგისტრაციის წესებს. მაგალითად, ამ შეთანხმებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის საჯარო სამართლის სუბიექტი და, ალბათ, სხვა შემთხვევაშიც ასე მოხდება.

**- ასეთ დოკუმენტზე მუშაობა დასაჩქარებელია?**

***გიგი წერეთელი:*** რაც მალე მივიღებთ, მით უკეთესი. პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი არ დაშლილა. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას.

# გიორგი ანდრიაძე: კონსტიტუციური შეთანხმება გააძლიერებს ეკლესიის როლს სახელმწიფო მშენებლობის პროცესში

*ბევრ პარლამენტარსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელს დღემდე არ სჯერა, რომ შევარდნაძე შეთანხმებას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხელს მოაწერს. მათი სკეპტიციზმი 11 ოქტომბრის პარლამენტის სხდომამ ნაწილობრივ გააქარწყლა, როცა პრეზიდენტმა საჯაროდ გვამცნო, რომ 14 ოქტომბერს შეთანხმება გაფორმდება. შევარდნაძის გამოსვლამდეც საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანმა გიორგი ანდრიაძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტის დამოკიდებულება შეთანხმებისადმი დადებითია და იგი დოკუმენტზე ხელის მოწერას აპირებს.*

ვერიკო თევზაძე

შეთანხმების თანახმად, ორი სუბიექტი - ეკლესია და სახელმწიფო ურთიერთობებს არეგულირებს. რაც მთავარია, საქართველოს სამოციქულო ეკლესია იძენს იურიდიული პირის სტატუსს, რაც მას დღემდე არ გააჩნდა. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ეკლესიას დაუბრუნოს წინა საუკუნეებში ჩამორთმეული ქონება. როგორ და რა ფორმით, ჯერჯერობით გაურკვეველია. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ცალკე საკანონმდებლო ბაზის მომზადებას მოითხოვს.

საპატრიარქოს პოზიცია წინასწარვეა ცნობილი და იგი საკმაოდ ზომიერია. ეკლესია თავიდანვე უარს ამბობს კუთვნილი ქონების იმ ნაწილზე, რომელმაც, შეიძლება, დავა გამოიწვიოს (ეს, პირველ რიგში, ეხება სიმდიდრეებს, რომლებიც უკვე კერძო საკუთრებაში იმყოფება). ამ ეტაპზე ეკლესია დიდ მიღწევად მიიჩნევს თავად ფაქტს, რომ სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს წინა საუკუნეებში მისთვის (ეკლესიისთვის) მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. ბუნებრივია, ეკლესია წინ იხედება და, საბოლოოდ, მხოლოდ კეთილ პოლიტიკურ ნებას, კუთვნილი ქონების დაბრუნების მარტოოდენ სამართლებრივ ფორმულირებას არ სჯერდება. ქონების დაბრუნებით ეკლესია აპირებს მოსახლეობის სოციალურ მომსახურებას, რაც დღეისთვის მას ქადაგებაზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნია.

საზოგადოების განსაკუთრებული ვნებათა ღელვის საგანი გახდა ეკლესიისათვის სიწმინდეების გადაცემის საკითხი. ბევრ ოპონენტს დღესაც ვერ მოუნელებია ხელმოსაწერი შეთანხმების ის მუხლი, რომელიც სახელმწიფო დაცვის ქვეშ არსებულ საგანძურს ეკლესიის საკუთრებად აცხადებს. ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ნოდარ ლომოური დღემდე (და, ალბათ, ბოლომდე) იტოვებს თავის "პიროვნულ და მოქალაქეობრივ უფლებას, ეკლესიისთვის სიწმინდეების გადაცემას არ დაეთანხმოს." ბატონი ლომოური მეტისმეტად ღელავს: **"დღეს ეკლესიაში სხვადასხვა დაჯგუფებები და დაპირისპირებებია. მე არ მაკმაყოფილებს პატრიარქის დაპირება... დღეს ეკლესია მზად არ არის, მოუაროს ამ განძს."**

შეთანხმების მხარდამჭერები აცხადებენ, რომ საზოგადოებას შეუძლია, მშვიდად იყოს - საეკლესიო სიწმინდეებს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. **"მათ ეკლესიისთვის გადაცემას სამართლიანობა მოითხოვს, ანუ ეს არის სამართლებრივი საკითხი, პოლიტიკურ რანგში აყვანილი. გაუთავებელი დავა ამ საკითხთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებულია. არსებობს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. იგი მესაკუთრის მხრიდან გარკვეულ ვალდებულებებს ითვალისწინებს. მესაკუთრეს ფიზიკურად მხოლოდ მას შემდეგ გადაეცემა კულტურული მემკვიდრეობის ესა თუ ის ნიმუში, როცა მას თავისი ვალდებულებების აღსრულება შეეძლება,"** - განუცხადა "24 საათს" ფრაქცია "ნაციონალების" წარმომადგენელმა კობა დავითაშვილმა.

საპატრიარქოს განცხადებით, იგი იძულებული იყო, კომპრომისზე წასულიყო და დათანხმებოდა, რომ ეკლესიის კუთვნილებაში გადასაცემი სიწმინდეების სარგებლობის რეჟიმი მოქმედ კანონმდებლობას დაქვემდებარებოდა. **"ეს იყო ძალიან დიდი კომპრომისი ეკლესიის მხრიდან,"** - აცხადებს გიორგი ანდრიაძე.

შეთანხმების მიხედვით, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არ ცხადდება. იურისტ კობა დავითაშვილის აზრით, **"სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქვეყანაში მონარქიული ელემენტების არსებობას მოითხოვს. გარდა ამისა, ამას მოჰყვება სახელმწიფოს სერიოზული ჩარევა ეკლესიის ცხოვრებაში. თუ გავითვალისწინებთ, როგორ კორუმპირებულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ვეჭვობ, ამან ეკლესიას სიკეთე მოუტანოს."**

საპატრიარქოს პოზიცია განსხვავებულია. იგი თეორიულად დასაშვებად მიიჩნევს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, მაგრამ დღეისთვის ამ საკითხს არ აყენებს. **"ეს კათალიკოს-პატრიარქის პრეროგატივაა, ჩვენ არ გვაქვს უწმინდესის კურთხევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით",** - ასეთია საპატრიარქოს საპარლამენტო მდივნის მწირი კომენტარი.

**"დღევანდელ ეტაპზე წარმატებად მივიჩნევთ იმას, რომ გაძლიერდება ეკლესიის ფუნქცია სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში",** - საბოლოო ჯამში, საპატრიარქო დიდი მნიშვნელობას ანიჭებს შეთანხმებას, რომელსაც, ალბათ, ხვალ ხელი მოეწერება.

გახსენება

# საინტერესოდ ცხოვრების ნიჭი

## დაგვიანებული მილოცვა მომავალი იუბილესათვის

*ნიჭი პროტექციას კი არა, შესაბამის გარემოს საჭიროებს, რომლის მთავარი კომპონენტი ნიჭის ადეკვატურად დამნახავი და დამფასებელი ადამიანია. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ადამიანები ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თსუ სოციოლოგიის კათედრის გამგის, სოციოლოგიის დარგში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის ბ-ნ ედუარდ კოდუას ცხოვრებაში ბევრი არ ყოფილა...*

იაგო კაჭკაჭიშვილი

### მასწავლებლებზე ზრუნვის მოთხოვნილება

მათ შორის, ვისაც ედუარდ კოდუასი ბოლომდე სჯეროდა, გამორჩეული ადგილი მაინც კოტე ბაქრაძეს – ედუარდ კოდუას მასწავლებელს და უფროს მეგობარს, უკავია. ის, რომ დღეს არსებობს კოტე ბაქრაძის მრავალტომეული, რომელშიც შესულია ქართველი ფილოსოფოსის მთელი შემოქმედება, ისიც, რომ კოტე ბაქრაძის სახელი მუდმივ "განახლებას" და "კვლავწარმოებას" განიცდის, ძირითადად, ედუარდ კოდუას დამსახურებაა. მასწავლებლის მემკვიდრეობაზე მადლიერი მოწაფის ზრუნვა მხოლოდ იმ სანიმუშო პროფესიული წვრთნით მოტივირებული არ არის, რასაც კოტე ბაქრაძის "სკოლა" უზრუნველყოფდა, მას სხვა, უფრი ინტიმური და მშობლიური საფუძველიც აქვს.

თუ მასწავლებლებზე ზრუნვის გამოცდილებას "სუბიექტური სისუსტეების" გაუთვალისწინებლად, შედარებით ფართო ჰორიზონტიდან შევხედავთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქართველ მკვლევარს არ გაუკეთებია იმდენი ქართული ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური მემკვიდრეობის დასაცავად და გამოსამზეურებლად, რაც ბატონმა ედუარდმა გააკეთა. ამ სულისკვეთებით დაუბრუნა მან ქართული მეცნიერების საგანძურს არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთლის, კონსტანტინე კაპანელის, კიტა მეგრელიძის, დიმიტრი უზნაძის და სხვათა ნააზრევი. მისი, როგორც სამეცნიერო მემკვიდრეობის "მცველის", ფუნქცია ხშირად მისთვის "უცხო" მეცნიერების (ისტორია, გეოლოგია, ეკონომიკა...) სახელოვანი წარმომადგენლების ნააზრევსაც გასწვდა. საკმარისია, დავასახელოთ ივანე ჯავახიშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, გერონტი ქიქოძის, ლიდა პაპასკირის, ბიძინა ბარათაშვილის სახელები.

### "ინტერესის საყოველთაობა"

ნიჭიერი ადამიანის თვისებას უთუოდ წარმოადგენს ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ე.წ. "ინტერესის საყოველთაობა". ბატონ ედუარდ კოდუას პიროვნება ამის საუკეთესო ინდიკატორი იყო. ყველგან შეეძლო მიეღწია იმისთვის, რასაც ენტონი გიდენსი "შემეცნების (ცოდნის) უნარიანობას" (knowledgeability) უწოდებს. განსაცვიფრებელ მეხსიერებასთან ერთად, ედუარდ კოდუა ფლობდა ინფორმაციით მანიპულირების შესაშურ უნარს, რაც მას ორატორობისა და პოლემიკის თავისუფალ ასპარეზს აძლევდა. ვისაც ბატონი ედუარდი კათედრასთან უნახავს, გულში მაინც ულიარებია, რომ ღია კამათი ასეთ ადამიანთან სარისკოა: ყოფილა შემთხვევა, რომ თითქოს წამგებიან სიტუაციებში ედუარდ კოდუა გამარჯვებული გამოსულა.


ედუარდ კოდუა

ლევან ხერხეულიძის ფოტო

### შრომისმოყვარეობა

ნიჭიერება ედუარდ კოდუას ხელს არ უშლიდა სანიმუშო შრომისმოყვარეობაში. ტრადიციული ფორმულა: "ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი" (რომელსაც ქართველები, თვითშესაფასებლად და, ხშირად, საკუთარი უგვანობის საკომპენსაციოდ, ნაყოფიერად იყენებენ), აშკარა ფალსიფიკაციას განიცდის მასთან მიმართებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, როგორ ასწრებდა იგი ამდენს.

### ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე

ედუარდ კოდუას წიგნებით იწყება საქართველოში, სულ მცირე, ისეთი ფუნდამენტური პრობლემების თუ, ზოგადად, დისციპლინის სისტემატური მეცნიერული კვლევა, როგორიცაა ისტორიის ფილოსოფია და სოციოლოგია (ისტორიის ფილოსოფიის სფეროში შესრულებულ ფუნდამენტურ ნაშრომს - "ისტორიის საზრისის საკითხისათვის" - საუნივერსიტეტო პრემიას (1975 წ.) ანიჭებენ). მართალია, სოციოლოგიის კათედრა საქართველოში 1968 წლიდან არსებობს და სოციოლოგიური დისკურსის "შემოსვლა" ქართულ საგანმანათლებლო კულტურაში ვენორ ქვაჩახიას სახელს უკავშირდება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების სრულფასოვანი "რეაბილიტაცია" და საუნივერსიტეტო სწავლებაში სოციოლოგიური ცოდნის აქტუალიზაცია ედუარდ კოდუას დამსახურებაა. ორი ათეული წელი სოციოლოგიის "შენობა" საქართველოში ედუარდ კოდუას "მხრებზე" იდგა.

### "განუზრახველი" ოპტიმიზმი

არ შეიძლება, არ აღინიშნოს მისი ფარული, "განუზრახველი", თუმცა, ყოვლისმომცველი ოპტიმიზმი. არავის შეუძლია თქვას, რომ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ედუარდ კოდუა უნახავს. არადა, საამისო წანამძღვრები მის ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ნამდვილად არსებობდა: შვილის დაკარგვა, ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობა, საიდანაც თავის "დაძვრენას", საბოლოო ჯამში, შვიდი (?!) ოპერაციის გადატანა დასჭირდა... მას (იქნებ, სამწუხაროდ!) ადამიანების უფრო სჯეროდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტკივილების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების წინაშე არაერთხელ მდგარა.

### თანამედროვეობა

ედუარდ კოდუას თანამედროვეობასა და ქართული სოციუმისათვის ახალი, თუმცა, მარადიული ღირებულებებისადმი ერთგულებაზე რეაქცია ზოგჯერ კურიოზულად არაადეკვატური და აგრესიული იყო. ყველას გვახსოვს, როგორ მონათლეს ის "იეღოველად" (ხოლო, სოციოლოგიის კათედრა "სექტანტების თავშესაფრად") მხოლოდ იმიტომ, რომ ბ-ნ ედუარდის (და თამაზ ბუაჩიძის) ხელმოწერით გავრცელდა დოკუმენტი, სადაც ისინი იეღოველთა მიმართ წაყენებულ სრულიად აბსურდულ ბრალდებებს აქარწყლებდნენ. ამოქმედდა მარტივი დედუქცია: თუ უმცირესობის უფლებებს იცავ, მაშასადამე, მისი წევრი ან დამქაში ხარ და, აქედან გამომდინარე, ერის ინტერესების შემლახავიც.

როგორც ჩანს, ჩვენში ჯერ კიდევ ძნელია ერის და ლიბერალიზმის ინტერესების შეჯერება. ედუარდ კოდუა ქართული საზოგადოების იმ მცირერიცხოვან ნაწილს ეკუთვნოდა, ვისაც ეს სიძნელე დაძლეული აქვს.

# რუსეთსა და საქართველოში ტერორისტებს მაღალჩინოსნები მფარველობენ

## ამტკიცებს რუსეთის უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილე

*რუსეთის სპეცსამსახურებმა, ტერორისტებთან კავშირის გამო, რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავეს. საქართველოში სტუმრად მყოფი, რუსეთის უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილე უფრო დეტალური ინფორმაციის მოწოდებისგან თავს იკავებს, სამაგიეროდ ამბობს, რომ ტერორისტებთან ალიანსში მყოფი მაღალჩინოსნები საქართველოსაც ჰყავს.*

სოფიკო ჩხაიძე

**"რუსეთ-საქართველოს სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობას დიდი ხნის ისტორია აქვს და ამას კონკრეტული შედეგებიც არაერთხელ მოჰყოლია. მაგალითად ურეკში ჩატარებული სპეცოპერაციაც შემიძლია მოვიყვანო, რომლის დროსაც რუსეთის ფედერაციაში ძებნილი ადამ დეკუშევი იქნა დაპატიმრებული. ურთიერთთანამშრომლობის სხვა არაერთი შედეგიც არსებობს, რომელთა დასახელებისგან ახლა თავს შევიკავებ",** — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ, რომელიც რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების კიშინიოვის შეთანხმების შემდეგ, ტერორიზმთან და დანაშაულთან საბრძოლველად ორი ქვეყნის ძალოვანი სამინისტროების ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებას უწევს კოორდინირებას. რუსეთის მხრიდან მსგავს ფუნქციას ფედერალური უშიშროების სამსახურის შეფი ნიკოლაი პატრუშევი ითავსებს. რამდენიმე დღის წინ ორ კოლეგას შორის მოსკოვში ჩატარებულ შეხვედრებს თბილისში პატრუშევის მოადგილის - ვლადიმირ პრონიჩევის ჩამოსვლა და ორი ქვეყნის სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელების სამუშაო შეხვედრები მოჰყვა.

თავად ყოფილი მესაზღვრე პრონიჩევი, რომელსაც საბჭოთა პერიოდში საქართველოში მუშაობის დიდი გამოცდილება აღმოაჩნდა, საქართველო-რუსეთის საზღვარზე ერთობლივი ღონისძიებების გატარებას ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესად მიიჩნევს; მეტიც, ამბობს, რომ მსგავსი თანამშრომლობის პრაქტიკა ყველა ნორმალურ მოსაზღვრე ქვეყანას აქვს მას ვალერი ხაბურძანიაც ეთანხმება:

**"მუხლი, რომელიც გაგებულ იქნა, როგორც რუსეთ-საქართველოს საზღვრის ერთობლივი პატრულირება და ამის გამო აჟიოტაჟი ატყდა, სინამდვილეში გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე უბრალოდ პატრულირებაა. ეს არის ერთობლივი კონტროლი, რაც საზღვრის მონიტორინგს, ინფორმაციის გაცვლასა და სხვა ღონისძიებებს გულისხმობს",** ვლადიმირ პრონიჩევის თქმით,კი "სხვა ღონისძიებების" რაობა უშუალოდ კონკრეტულ ამოცანებზე იქნება დამოკიდებული. კონკრეტული ამოცანები კი ერთი საერთო პრობლემის კონტექსტში მოიაზრება, როგორიცაა უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებების საზღვარზე გადაადგილება. ორი ქვეყნის ძალოვან უწყებათა ძალებიც სწორედ იქითკენ იქნება მიმართული, რომ არ დაუშვან ბოევიკთა ჯგუფების მიერ საზღვრის ორგანიზებული დარღვევები, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ტერიტორიებიდან.

რუსეთ-საქართველოს სპეცსამსახურებს შორის უკვე მიღწეულია გარკვეული შეთანხმებები. საზღვრის დამცველთაგან განსხვავებით, რომლებიც შეთანხმებას ერევანში 17 ოქტომბერს მოაწერენ ხელს, უშიშროების სტრუქტურათა ხელმძღვანელების შემდეგი შეხვედრის კონკრეტულ თარიღზე და განსახილველ საკითხებზე მხოლოდ მას შემდეგ იქნება საუბარი, როცა პრონიჩევი საქართველოში ვიზიტის შედეგებს თავის უშუალო ხელმძღვანელობას მოახსენებს. მანამდე, კი იგი უკვე მიღებულ კონკრეტულ შთაბეჭდილებებზე საუბრობს; ვალერი ხაბურძანიასა და დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, მან ღამით ვერტმფრენით გადაუფრინა რუსეთ-საქართველოს საზღვრის პრობლემატურ – ჩეჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის მონაკვეთებს. გარდა ამისა, იმავე შემადგენლობით მანქანებით პანკისის ხეობაშიც იმოგზაურა. ბირკიანიდან მოყოლებული ხეობის სიღრმეში ბლოკპოსტების დათვალიერებას რუს სტუმარზე გარკვეული შთაბეჭდილება მართლაც დაუტოვებია.



*ვალერი ხაბურძანია და ვლადიმირ პრონიჩევი ერთობლივ ღონისძიებებს გეგმავენ*

**"პანკისის მოსახლეობა ჩვეულებრივი რიტმით ცხოვრობს, . გარდა ამისა, მე ვნახე, რომ ბლოკპოსტებზე რეალური ძალა დგას",**— ამბობს რუსეთის უშიშროების შეფის მოადგილე, თუმცა კი, არ გამორიცხავს, რომ ხეობის იმ ნაწილში, რომლის გაკონტროლებაც ქართული მხარის მიერ ვერ ხერხდება, შესაძლოა, სერიოზული ტერორისტ-კრიმინალები იმალებოდნენ. მეტიც, პრონიჩევის განცხადებით, თვით "ალ ქაიდას" წევრი ტერორისტებიც, გარკვეული ინფორმაციის თანახმად, მარტო საქართველოში, პანკისის ხეობას კი არა, რუსეთში, ჩეჩნეთის ტერიტორიასაც აფარებენ თავს; მათ ხელშემწყობებად კი ორივე ქვეყანაში ზოგიერთი მაღალჩინოსანი გვევლინება. **"რუსეთში ასეთები კიდეც დავაკავეთ, თუმცა, ჯერ არ გეტყვით — ვინ",** — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვლადიმირ პრონიჩევმა.

# საფეხბურთო მატჩის ჩაშლას უშიშროების სამინისტრო საბოტაჟად აფასებს

ხათუნა ჭანგირაშვილი

თუ ორი დღის წინ მოულოდნელად ჩაბნელებულ "ლოკომოტივს" 2 800 პოლიციელი იცავდა, გუშინდელ შემდგარ და ქართველთა წარმატებით დამთავრებულ მატჩს რაგბში, ეროვნულ სტადიონზე 3 500 სამართალდამცველი დასტრიალებდა თავს. ამასობაში კი, უშიშროების სამინისტრო რუსეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის გამართული მატჩის ჩაშლის მიზეზებს სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე მოკვლევა ჯერაც არ დასრულებულა, მომხდართან დაკავშირებით, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა გუშინ უკვე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე საბოტაჟის მუხლით.

"ლოკომოტივის" სტადიონის მომსახურე პერსონალი თითქმის მთლიანად დაკითხულია, თუმცა, სტადიონზე შუქის გამორთვის უტყუარი მიზეზი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. როგორც "24 საათთან" საუბრისას უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელმა მალხაზ სალაყაიამ აღნიშნა, დაკითხულ თანამშრომელთაგან მხოლოდ ერთსა და იმავე პასუხებს ისმენენ – "არ ვიცი, ვერ ვხვდები, წარმოდგენა არ მაქვს". "იციან მხოლოდ ის, რომ შუქი ჩაქრა," – ამბობს სალაყაია, რომელმაც ინციდენტის დღესვე, სასწრაფოდ შექმნა საგანგებო საგამოძიებო ჯგუფი, ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არშემდგარი მატჩის დღესვე დაილუქა "ლოკომოტივის" სტადიონის ტრანსფორმატორი, რომელზეც, როგორც გაირკვა, იმ საღამოს სამი ალტერნატიული დენის წყარო იყო მიერთებული. ენერგოსპეციალისტებმა დეტალურად დაათვალიერეს და შეისწავლეს სტადიონის ენერგომომარაგების ტექნიკა, შეამოწმეს ტრანსფორმატორის თითოეული დეტალი და საბოლოოდ გაარკვიეს, რომ ჩაბნელების გამომწვევი მიზეზი სწორედ სტადიონის ელექტროგამანაწილებლის კვების ბლოკი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ გაუძლო დატვირთვას და მწყობრიდან გამოვიდა. თუმცა, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, ვის მოუვიდა აზრად ტრანსფორმატორზე სამი ალტერნატიული დენის სადენის მიერთება.

ჩვენი ინფორმაციით, ჩაბნელების წუთიდანვე მთელი მონდომებით ეძებდნენ ორ მექანიკოსს, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ და უზრუნველეყოთ სტადიონის ელექტრომომარაგება. თუმცა, ისინი მომხდარიდან კარგა ხნის შემდეგ საკმაოდ შეზარხოშებულ მდგომარეობაში უპოვიათ.

ერთი სიტყვით, არშემდგარი მატჩის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უშიშროების სამინისტრო იძიებს და დამნაშავის პოვნისა და დასჯის გარანტიასაც იძლევა. რაც შეეხება საბოტაჟს, როგორც მალხაზ სალაყაიამ გვითხრა, ჯერჯერობით, საბოლოოდ არც ამ მუხლის შესაბამისი დანაშაულია ბოლომდე გამოკვეთილი, თუმცაღა, საქმის გამოძიება სწორედ საბოტაჟის ბრალდებით წარიმართება.

"საქართველოს დასუსტების მიზნით სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა" – ასეთია საბოტაჟის მუხლის შინაარსი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება და, შესაბამისად, სამ წლამდე, სამიდან ათ წლამდე, რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

გამოიკვეთება თუ არა კონკრეტული დამნაშავე (ან დამნაშავეები), წინასწარ ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, "ლოკომოტივის" სტადიონის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხი, ალბათ, ნამდვილად დადგება.

# პიტერ შოუს კვალი პანკისის ტყეებისკენ მიდის

*საქართველო-რუსეთის ნაკრებებს შორის საფეხბურთო მატჩის ჩაშლა თავისი მნიშვნელობით სპორტულ სფეროს გასცდა და სამართალდამცველთა დაინტერესების საგნად იქცა, მაგრამ, გარდა ამ მოვლენისა, გასულ კვირაში, კრიმინალური თვალსაზრისით, შესაბამის ორგანოებს სხვაც ბევრი ჰქონდათ თავსატეხი.*

ინგა ალავიძე

გასულ კვირას ძალოვანმა მინისტრებმა კიდევ ერთხელ ისაუბრეს პანკისის ხეობის პრობლემაზე. უფრო ზუსტად, ხელისუფლებას პანკისური პრობლემის ბოლომდე მოუგვარებლობის უმთავრესი მიზეზი შეახსენეს – ცარიელი ბიუჯეტი, დაუფინანსებლობა. თუმცა, ანტიკრიმინალური ოპერაცია პანკისის ხეობაში კვლავ გრძელდება. ხეობას თავშეფარებული კრიმინალების დევნის ერთი თვის თავზე სამართალდამცველთა შედეგი ასე გამოიყურება – 9 დამნაშავის, რომელთაგან 3 მართლაც სერიოზული კრიმინალია, დაკავება. ძალოვანთა განცხადებებით, შსს-ს პოლიციური შენაერთები ახლა პანკისის სიღრმეებში გამაგრებული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წევრებს ეძებენ. ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს გატაცებულ მძევალთა გამოსახსნელადაც. არსებული ინფორმაციებით, ინგლისელი ბანკირის პიტერ შოუს ნაკვალევს ძალოვანები პანკისის მიუდგომელი ტყეებისკენ მიჰყავს. უშიშროებისა და პოლიციის თანამშრომლები გამტაცებელთა დასაკავებლად მუშაობენ. თუმცა, სპეცოპერაციის ჩატარების რამდენიმე მცდელობა, ჯერჯერობით, უშედეგოდ დასრულდა.

გასული კვირის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად დანიშნული უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორს ნიკოლაი პატრუშევს შეხვდა. ორი ქვეყნის სამართალდამცველი სტრუქტურის ხელმძღვანელებმა საქართველოსა და რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გეგმა შეიმუშავეს. საქართველოს უშიშროების სამინისტრო და რუსეთის უშიშროების სამსახური პანკისიდან გასული ჩეჩენი ბოევიკებისათვის საზღვრების ჩაკეტვაზეც ერთობლივად იმუშავებენ.

გასულ კვირას კვლავ აქტუალური იყო ექსტრადირებულ ჩეჩენ პატიმართა თემა. ორთაჭალის ციხიდან სტავროპოლის იზოლატორში გადაყვანილი 5 ჩეჩნიდან ერთ-ერთის სიკვდილის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ ახალი აჟიოტაჟი გამოიწვია. ითქვა, რომ ჩეჩენი ჰუსეინ აზიევი, თბილისის ციხეში სპეცრაზმთან მომხდარი შეტაკებისას მიღებული თავის ტრავმის შედეგად, სტავროპოლის იზოლატორში გარდაიცვალა. სკანდალს მეორე დღესვე გამოეხმაურნენ გენერალური პროკურორი და ციხის უფროსები. მათ კატეგორიულად უარყვეს პატიმრის გარდაცვალების ფაქტი. გენერალურმა პროკურატურამ უარყოფა რუსეთის გენერალური პროკურატურიდან გამოგზავნილი პასუხით გაამაგრა. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის მტკიცებით, სტავროპოლის იზოლატორში მყოფი ჩეჩნების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მათ უფლებებს საკუთარი სურვილით აყვანილი ადვოკატები იცავენ.

გასულ კვირას ქართველმა სამართალდამცველებმა ორთაჭალის ციხეში მყოფ 8 პატიმარს ვერდიქტი გამოუტანეს – გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებით, მათი რუსეთში ექსტრადიცია შეჩერდა. გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის პაატა მსხილაძის განმარტებით, ექსტრადიციის შეჩერება სტრასბურგიდან მოსული რეკომენდაციის საფუძველზე არ მომხდარა. **"რუსებს 5 პატიმარი გადავეცით, რადგან მათი ვინაობის იდენტიფიკაცია ჩატარდა და რუსეთის პროკურატურის მონაცემებს ზუსტად დაემთხვა. გადაწყვეტილება დარჩენილი 8 პატიმრის ექსტრადიციის შეჩერების შესახებ 2 ოქტომბერს მივიღეთ. დადგენილება გავატანეთ კიდეც 5 ოქტომბერს პატიმართა წასაყვანად ჩამოსულ რუს სამართალდამცველებს. შეჩერების მიზეზი გახდა ის, რომ მიმდინარეობს ბრალდებულთა ვინაობის იდენტიფიკაცია, რადგან დაკავების მომენტში რამდენიმე მათგანმა საკუთარი ვინაობა დამალა,"** - განაცხადა პაატა მსხილაძემ. არსებული ინფორმაციით, პროკურატურა ორი ტუსაღის – მარგოშვილისა და კოსტამაშვილის მოქალაქეობის დადგენაზე მუშაობს. რობიზონ მარგოშვილი, 1990 წელს გაცემული პასპორტის მონაცემებით, დუისელი ქისტია. ზეპირი ინფორმაციით, დუისელი ქისტია კოსტამაშვილიც, რომელსაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ მოეპოვება და როგორც საპასპორტო სამსახურიდან მიღებული მონაცემებით ირკვევა, არც არასდროს ჰქონია. რაც შეეხება მარგოშვილს, !990 წელს გაცემულ მის პირადობის დამადასტურებელ საბუთს ვადა აქვს გასული. ანუ, დღეისთვის, კანონით, არც მარგოშვილი ითვლება საქართველოს მოქალაქედ.

ექსტრადიციის შეჩერების თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ და პარლამენტარ ელენე თევდორაძის დუისში ვიზიტმა მოშიმშილე ჩეჩენ ლტოლვილთა აქცია დროებით შეწყვიტა. სამაგიეროდ, გენერალური პროკურატურის წინ ჩეჩენ ლტოლვილთა აქცია კვლავ გრძელდება და მანამდე გაგრძელდება, სანამ დაპატიმრებულთა ბედ-იღბალი, საბოლოოდ, მათ სასიკეთოდ არ გადაწყდება.

გასულ კვირას ერთმანეთის მიყოლებით თვითმკვლელობის რამდენიმე შემთხვევა მოხდა. თვითმკვლელობის ფაქტების გახშირებამ სამართალდამცველთა შეშფოთებაც გამოიწვია. სხვათა შორის, თუ წინათ თვითმკვლელობა დანაშაულის სტატისტიკურ მონაცემთა ნუსხაში არ შედიოდა, ახლა, მატების გამო, თვითმკვლელობის ფაქტების აღრიცხვაც ხდება.

# ჰუმანიტარული ტვირთი იყიდება

ჰუმანიტარული დახმარების სახით უცხოეთიდან შემოსული პროდუქტის გაყიდვასა და ამ გზით სხვადასხვა პირთა მხრიდან ხელის მოთბობის შესახებ საუბარი ბოლო ხანებში მინელდა. თუმცა, ამის მიზეზი მავანთა გამოსწორება კი არა, უბრალოდ, საქართველოსთვის ჰუმანიტარული ტვირთების მოწოდების მინიმუმამდე დაყვანაა. უკვე რამდენიმე წელია, ჰუმანიტარული ტვირთები საქართველოში თითქმის აღარ შემოდის. თუმცა, როგორც კი რაღაც რაოდენობა გამოჩნდა, მათი გაყიდვის მივიწყებული თემის წამოწევამაც არ დააყოვნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჰუმანიტარული მაკარონის გაყიდვის ფაქტი გამოავლინეს. გამოძიება ჯერ კიდევ ადგენს, რა დონეზე გადაწყდა ჰუმანიტარული ტვირთის რეალიზება და კონკრეტულად, ვინ მიიღო მონაწილეობა ამ დანაშაულში. ფაქტი კი უკვე სახეზეა: იტალიიდან ჰუმანური მიზნებით – მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებზე გასანაწილებლად - შემოსული მაკარონის ნაწარმის დიდი ნაწილი გაიყიდა. ჰუმანიტარული მაკარონი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს "დიდგორის" საწყობში ინახებოდა. ჯერჯერობით დაუდგენელ პირებს კი ეს მაკარონი სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ გაჰქონდათ. სამართალდამცველთა თქმით, უკვე გამოვლენილია 580 კგ. მაკარონის რეალიზაციის ფაქტი. სავაჭრო ქსელიდან ასევე ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული 228 ყუთი, სამ ტონამდე მაკარონი.

ჰუმანიტარული ტვირთის გაყიდვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და დამნაშავეებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ადგენს.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს იმ მოქალაქეების ნახევარს, რომლებიც სამოქალაქო სასამართლოებს მიმართავენ, მათი სამართლიანობის სწამს. სოციოლოგიური სამსახურის "გორბის" გამოკვლევამ აჩვენა, რომ, გამოკითხულთა 49 პროცენტის აზრით, მოსამართლეთა უმეტესობა წესიერი ადამიანია და თავის საქმეს პატიოსნად ემსახურება.

18 პროცენტს მიაჩნია, რომ მოსამართლეები მუშაობენ იმ პირობების შესაბამისად, რომელიც სახელმწიფომ შექმნა. 17 პროცენტს მოსამართლეთა ღირსეულობაში ეჭვი ეპარება, გამოკითხულთა 10 პროცენტი კი დარწმუნებულია, რომ, ქრთამის გარეშე, მოსამართლეს სამართლიანი განაჩენი არ გამოაქვს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** გაძარცვიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე გურჯაანის რაიონის პოლიციამ დააკავა შალიკაშვილების სახელობის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის ქურდობაში ეჭვმიტანილი, 20 წლის გურჯაანელი ოთარ ნატაშვილი, რომელმაც უკვე აღიარა ჩადენილი დანაშაული. შალიკაშვილების მუზეუმი 6 ოქტომბერს, დილის 4 საათზე გაიძარცვა. წაიღეს 16 მავთულბადე, 30 ყუთი საღებავი, 10 ქილა ემულსია და 6 ყუთი ხის ლაქი, რომლებიც მუზეუმის გარეთა სამუშაოებისთვის იყო განკუთვნილი.

მოპარული ნივთები ამოღებულია და მუზეუმის დირექციას გადაეცა, ოთარ ნატაშვილის მიმართ კი აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლით, რომელიც 3-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ძიებას შინაგან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს. რაც შეეხება ორ ქისტ ჯარისკაცს, რომლებიც იმ ღამით მუზეუმს იცავდნენ, მათ მიმართ, ჯერჯერობით, სადამსჯელო ღონისძიებები არ გატარებულა. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს სააქციო საზოგადოება „არგვეთას" ხელმძღვანელობა, რომელმაც 2000 წელს რუსეთის ფედერაციაში 513,065 ლარის 10 907 დეკალიტრი სპირტის რეალიზაცია მოახდინა.

საგადასახადო ინსპექციაში, მოგების გადასახადის ყოველწლიურ დეკლარაციაში კი დასაბეგრი თანხა 96 178 ლარი აჩვენეს, რითიც სახელმწიფო ბიუჯეტს 431 158 ლარის ზარალი მიაყენეს.

საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის მთავარი სამმართველოს 2002 წლის ბოლო ცხრა თვის მონაცემებით, საქართველოში ხე-ტყის უკანონო მოჭრის 3275 ფაქტია გამოვლენილი. შარშანდელთან შედარებით, სამართალდარღვევის ფაქტები სამასით მეტია. ამ პერიოდში აღიძრა სისხლის სამართლის 354 საქმე, რაც, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 56-ით მეტია.

9 თვეში სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 760364 ლარი შეადგინა. **"მედია-ნიუსი"**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი

# "იუნისეფის" ხელშეწყობით

*მეორე წელია, გაერო-ს ბავშვთა ფონდის, "იუნისეფის" ხელშეწყობით, საქართველოში იმართება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ჩემპიონატი საქართველოს პრეზიდენტის თასზე. ამ ხუთწლიან გარდამავალ საფეხბურთო ჩემპიონატს საფუძველი 2000 წელს ჩაეყარა. 2001 წლის 6 აპრილის სპეციალური განკარგულებით მას მხარი პრეზიდენტმა დაუჭირა. ტურნირის პირველი ციკლი გასული წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარდა. მასში მონაწილეობა საქართველოს 2028 სკოლის 46152-მა მოსწავლემ მიიღო. წლევანდელ ციკლში ქვეყნის 2000-ზე მეტი სკოლის 45 ათასი მოსწავლე მონაწილეობდა.*

მაკა ჭაიანი

ტურნირი კლასებს შორის შეჯიბრით იწყება; შემდეგ ერთმანეთს საskolo თამაშებში გამარჯვებულები ეჯიბრებიან; ამას რეგიონალური შეჯიბრი მოჰყვება, ბოლო შეხვედრა კი დედაქალაქში იმართება. ფინალურ ეტაპში მონაწილეობის მისაღებად უკვე შეირჩა საქართველოს 12 რეგიონის პირველ ტურში გამარჯვებული სკოლების 120 მოსწავლე, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში - 14-დან 18 ოქტომბრის ჩათვლით, ერთმანეთს საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად შეეჯიბრება. შარშანდელი გამოცდილების გათვალისწინებით, ეს სანახაობა უინტერესო არ იქნება.

ფინალური ეტაპი ჩემპიონატის არა მარტო ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს მედლების მფლობელებს, საუკეთესო მეკარეს, ბომბარდირს, ფეხბურთელსა და ყველაზე ტექნიკურ მოთამაშესაც გამოავლენს. გამარჯვებულები სპეციალური პრიზებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდებიან. როგორც ტურნირის ორგანიზატორები - გაერო-ს ბავშვთა ფონდი, იოსებ ნონეშვილის სახელობის საერთაშორისო ბავშვთა ფონდი, ფეხბურთის ფედერაცია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებენ, საქართველოს პრეზიდენტი მისივე სახელობის თასს გამარჯვებულს საკუთარი ხელით გადასცემს.

ორგანიზატორები 18 ოქტომბრისთვის საინტერესო საკონცერტო სანახაობასაც გვპირდებიან. მატჩი სპორტის სასახლეში 16 საათზე დაიწყება. მასზე დასწრება უფასოა. აქედან გამომდინარე, მაყურებელს სპორტული და შოუპროგრამის ნახვის კარგი შესაძლებლობა ეძლევა. მთლიანობაში, თავად ეს ჩემპიონატია კარგი შესაძლებლობა იმისა, რომ სპორტს, ჯანსაღ ცხოვრებას დაუბრუნდნენ ბავშვები. სამცხე-ჯავახეთში 30 წლის განმავლობაში ტურნირი არ ჩატარებულა, გასული წლიდან მოყოლებული კი, იქაურები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთით ცხოვრობენ.

ვერ გეტყვით, პრეზიდენტის სპეციალურმა განკარგულებამ იმოქმედა, თუ აზარტმა, გაერო-ს ბავშვთა ფონდის ინიციატივას ადგილობრივი ხელისუფალნი დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მართალია, პატარების გახალისების სურვილმა ჩვენს ბიზნესმენებს ჯიბისკენ ხელი ჯერ ვერ წაალებინა, მაგრამ ოფიციალური პირები ისე ცდილობენ, როგორც შეუძლიათ. თავი განსაკუთრებით პრეზიდენტის მშობლიურ მხარეში გამოუდიათ. იქ გამართულ შეხვედრებს, არც ჰიმნი დაჰკლებია, არც დროშა, არც სასწრაფო დახმარების და სახანძრო მანქანები და არც ორგანიზებული გულშემატკივრობა.

მომავალი წლიდან, გაერო-ს ბავშვთა ფონდი ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ჩემპიონატის საგანმანათლებლო კუთხით დატვირთვას აპირებს. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის მიზნით, რეგიონალური შეჯიბრების პარალელურად, მოსწავლეებს სემინარებიც ჩაუტარდებათ. ტურნირის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ დროს, 2005 წლამდე, უფროსები ბავშვებისთვის სტადიონებისა და სავარჯიშო პირობების მოწყობაშიც გამოიყენებენ. თუკი ამ ქვეყანაში ვინმე მომავალ თაობაზე მზრუნველის პრეტენზიით გამოდის, ამ აუცილებლობას გვერდი არ უნდა აუაროს.

საქართველოს
საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა – 2002წ. 30 ოქტომბერი

ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge




ემ·ბი·ჯი
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სესხებს
თქვენი ბიზნესისათვის

1,5% –დან

| პირობები | სესხები | | |
|---|---|---|---|
| | ექსპრესსესხი | მიკროსესხი | ინვესტსესხი |
| თანხა | 100-2000 ლარი | 1000-10000 აშშ. დოლარი | 10000–100000 აშშ. დოლარი |
| პროცენტი (თვეში) | 3-4% | 2-3% | 1,5-2% |
| ვადა | 12 თვემდე | 24 თვემდე | 36 თვემდე |

ფილიალების ქსელი

e-mail: mbg@mbg.com.ge
e-mail: vake@vake.mbg.com.ge
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge
e-mail: varketili@mbg.com.ge
e-mail: mbgk@mbg.com.ge
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge
e-mail: info@gori.mbg.com.ge
e-mail: info@batumi.mbg.com.ge
e-mail: mbgl@access.sanet.ge
e-mail: mbgp@internet.ge
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

ნაბიჯი წარმატებისკენ!

# დადის კაცი ქუჩებში

## ენციკლოპედია "თბილისი" მზადაა



ყველა ქუჩას თავისი ისტორია აქვს

თბილისის სხვადასხვა უბანში, უფრო სწორად, ყველა უბნის კუთხე-კუნჭულში გაჩნდა კაცი: სწრაფად მოძრაობს, ქუჩის დასაწყისსა და ბოლოში ჩერდება, უყურებს გაშლილ პატარა რუკას, რაღაცას მონიშნავს და გზას აგრძელებს. უბნების მიყრუებულ ადგილებში სიხარულით ხვდებიან, განსაკუთრებით, პენსიონერები – თვალები გაუბრწყინდებათ და იმედიანად ეკითხებიან:

- პენსია მოგვიტანეთ?
- არა, ბატონო.
- მაშ, ინკასატორი ბრძანდებით? გინდათ, შეამოწმოთ, როგორ გვიჭირს დენის ფულის გადახდა?
- არა, ბატონო. მე ქუჩებს ვამოწმებ.
- რაო, რაოო?
- დიახ, აი ასე, - და აგრძელებს გზას.

დღეში 20-30 კილომეტრს გადის და ამას 6-7 საათს ანდომებს. მერე სამსახურშიც მიდის, თანაც საკუთარ ოჯახსაც არ აკლებს მზრუნველობას.

8 ოქტომბერს დაამთავრა თბილისის შემოვლა და კმაყოფილებით ამოისუნთქა - წერტილი დასმულია.

მაინც, რამ ჩაადენინა ასეთი უცნაური საქციელი? როგორც მისი თანამშრომელი და მეგობარი, ქალბატონი მელიტა ბაქრაძე ამბობს: "საქმის უდიდესმა სიყვარულმა, მისდამი პატივისცემამ. სწორედ აქედან მოდის ამგვარი თავდადება, რომ აღარაფერი ვთქვათ კაცობაზე, ღირსებასა და პატიოსნებაზე."

მაინც, ვინ არის? ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის სწავლული მდივანი, ზურაბ ჭელიძე თავს დატრიალებს ენციკლოპედია "თბილისს", რომელიც ესეს არის "დაიბადება".

საოცარი წიგნია "თბილისი". დიდძალი საინფორმაციო მასალა ყოველი მხრიდან წარმოაჩენს თბილისს, როგორც საქართველოს ქალაქსა და დედაქალაქს.

აი, ამ წიგნის ერთ-ერთი თავია "თბილისის ქუჩები". ამ ქუჩებში მოსიარულე კაცი განათლებით მათემატიკოსია, პროფესიით კი უკვე ლექსიკოგრაფიც გახდა. მას ყველაფერში სიზუსტე უყვარს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ქუჩის ისტორიისა თუ მდებარეობის შესახებ ინფორმაციას გამოცდილი რედაქტორები აწვდიან, ქალაქის ადმინისტრაციის მუშაობის სიზუსტეს ვერ ენდობა. ამიტომ, მხოლოდ მაშინ მოისვენა, როდესაც საკუთარი ფეხით "გაზომა" და საკუთარი თვალით ინახულა თბილისის ყოველი მოედანი, ქუჩა, აღმართ-დაღმართი, შესახვევი თუ ჩიხი.

"ან, როგორ ასწრებს? ჩვენთან ბევრი სამეცნიერო-დარგობრივი რედაქციაა, რომლებმაც დიდი რუდუნებით შეაგროვეს და მოაწესრიგეს თბილისის მასალა. მაგრამ მისი მახვილი თვალი ყოველ სიტყვას სწვდება, განსაკუთრებით კი - ილუსტრაციას", - გაკვირვებულია მელიტა ბაქრაძე.

ეს ადამიანი თანამშრომლებს გაბრაზებული ან წარბშეკრული არ უნახავთ. ყველაფერს ბავშვური ენთუზიაზმით აკეთებს. ამ პრაგმატულ დროსა და დაბეჩავებულ ქვეყანაში მას მთლად ადექვატურად ვერც აღიქვამენ. მთელ თავის ცხოვრებას ქართული ენციკლოპედიის შექმნას ახმარს და, თანამშრომელთა თქმით, "საყვარელი და საიმედოა ყველაფერში."

# ჩინელების დახმარების მიუხედავად, სახელმძღვანელოები არასაკმარისია

აფხაზეთის განათლების სამინისტროს 46 დევნილი საშუალო სკოლიდან უმრავლესობას საკუთარი შენობა არ გააჩნია და ადგილობრივ სკოლებში მეორე ცვლაში მუშაობს. აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილის ვახტანგ გასვიანის განცხადებით, სკოლებში ძირითადი პრობლემა სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარის უქონლობაა. ზუგდიდში დევნილთა ერთ-ერთ სკოლას 100 მერხი სჭირდება, სახსრები კი არც ადგილობრივ ხელისუფლებას და არც აფხაზეთის განათლების სამინისტროს არ აქვს. სასწავლო წლის დასაწყისში ჩინეთის საელჩომ საქართველოში აფხაზეთიდან დევნილთა თბილისის, ზუგდიდის, სენაკისა და ქუთაისის სკოლების 485 პირველკლასელი სახელმძღვანელოებითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით დაასაჩუქრა, მაგრამ ადგილობრივი მატერიალური ბაზის არარსებობის გამო უფროსკლასელთა უმრავლესობას სახელმძღვანელოები არა აქვს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განთავსებული დევნილთა სკოლების პედაგოგებს ხელფასებით განათლების ადგილობრივი სამინისტრო, ხოლო სკოლის ტექნიკურ მუშაკებს – აფხაზეთის განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს. წლეულს სექტემბრის ხელფასები არ დაურიგდათ სენაკის, ქუთაისისა და ზუგდიდის დევნილ პედაგოგებს. თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორმა ლიანა შეწირულმა 20-მდე კომპიუტერი წყნეთის დევნილთა სკოლას გადასცა, ხოლო ნახმარი წიგნები კოდორის ხეობის სამ საშუალო და 6 დაწყებით სკოლას გაუგზავნა. ***მედია-ნიუსი.***

# ინსპექციამ უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტები გამოავლინა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექცია სტომატოლოგიური საქმიანობის შემოწმებას შეუდგა. შედეგად, საქართველოში სამედიცინო დაწესებულებებში უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობის 242 ფაქტი გამოვლინდა, მათ შორის სტომატოლოგიური პროფილის დაწესებულებებში – 127. მხოლოდ თბილისში 65 არალიცენზირებული სტომატოლოგიური დაწესებულება და 19 არასერთიფიცირებული ექიმი სტომატოლოგი მუშაობს. აღირიცხა სტომატოლოგიაში გამოსაყენებელი მასალების ლიცენზიის გარეშე რეალიზაციის 5 ფაქტი. ბოლო პერიოდში ინსპექციამ ხელმეორედ შეამოწმა 27 ობიექტი, სადაც უკვე იყო დაფიქსირებული დარღვევები. აღმოჩნდა, რომ 15 ობიექტზე კვლავ დარღვევებია. აქედან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ხელმეორედ შედგა 11 ობიექტზე, 4 ობიექტს კი ლიცენზია ჩამოერთვა. ***მედია-ნიუსი.***

www.24hours.ge 24 B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

მარშრუტკის მგზავრად რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. ამ დალოცვილ სატრანსპორტო საშუალებაში კი ბევრს რასმე სულის მარგებელსა და გონების სავარჯიშოს გაიგონებს კაცი. ერთხელაც ვინმე ბერძენი დაგვემგზავრა ხელში იტალიური ენის სახელმძღვანელოთი. მის გვერდით კი ერთი შუახნის ქართველი კაცი იჯდა. მთელ მის გაუპარსავ იერს იმდენად ეტყობოდა ნაშრომ-ნაღვაწი და ქარ-წვიმისა თუ ლარიანი ჩამოსასხმელი ღვინის კვალი, კინაღამ ვიფიქრე, რომელიმე მამათა თაობაზე შეყვარებული ახალგაზრდა მწერლის მოთხრობიდან ჩამოვიდა-მეთქი. ეგ მშრომელი ჯერ დაინტერესდა, რა ენაზე იყო ბერძენის წიგნი, და როცა გაიგო, იტალიურიაო, ერთობ მოულოდნელ და საინტერესო მხარეს წარმართა დიალოგი:

— რამდენი ასოა იტალიურში?

— ოცდაერთი.

— ქართულში, თუ არ ვცდები, ოცდაცამეტია. ასე ვიცი. ეჰ, ჩვენი ენისნაირი არც ერთი არაა, — აქ ცოტა ხნით დადუმდა და განაგრძო. — რამდენ რამეში მთელი მსოფლიოს წინა ვართ და ე ადამიანური ცხოვრება არა და არ მოვიდა...

ესა თქვა საცოდავმა და ისე ამოიოხრა, ლამის გულ-ღვიძლი ამოაყოლა. წინ მჯდომარენი კი დაფრთხნენ — ალბათ, ამ ფილოსოფოსის მიერ ცოტა ხნის წინ ნაჭამ-დალეულისა შეეშინდათ...

მე კი ფიქრები ამეშალა და გამახსენდა ჩემი მეგობარი, სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია, რომელსაც ბევრჯერ უთქვამს, რომ ჩვენში დემოკრატია, დამოუკიდებლობა და კაი ცხოვრება რაღაც გაზაფხულის მაგვარი რამ ჰგონიათ, დანიშნულ დროს რომ უნდა მოვიდეს თავისით. თავისით კი არაფერი მოვა. თავისით, ჩვენგან დამოუკიდებლად, დიდი-დიდი კიშინიოვის ფარსისნაირი მოვლენები გათამაშდეს...

## მონომახის ქუდზე მძიმე ნაბადი

კიშინიოვის ხლართის ქართულ ძაფს "24 საათმა" არსებითად ბოლომდე მისდია და საკმაოდ ხეირიანადაც გამოიკვლია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დავინახოთ, თუ როგორ ეკიდება ერთმანეთს ერთი შეხედვით სრულიად დამოუკიდებელი მოვლენები. გასული კვირა სწორედ ასეთი მოულოდნელი და სასაცილო "გაიასნებების" კვირა იყო.

ყველაფერი იწყება შოთა უტიაშვილის სტატიით "დროებითი ზავი" (7 ოქტომბერი). ჩვენს თვალწინ იშლება პუტინისადმი მირთმეული საჩუქრების სია. მთავარ ადგილზეა რუსეთის მეფეთა მოსკოვური პერიოდის გვირგვინის, ეგრეთ წოდებული მონომახის ქუდის 10 მილიონ დოლარად დაზღვეული ზუსტი ასლი. მაგრამ წამახალისებელ პრიზს, "მსოფლიო ჟიურის სიმპათია" სულ სხვა ძღვენი იმსახურებს: შევარდნაძისგან ბოძებული ხუთი ჩეჩენი. ამის შემდეგ სტატიის ტექსტი ეთმობა ორი ლიდერის — პუტინისა და შევარდნაძის შედარებით დახასიათებასა და მათი შეხვედრის კონკრეტული კონტექსტის განხილვას. ამ პირველ ტექსტში ჩაგდებული მარცვალი სხვა ტექსტებში ხარობს, ამ პირველ სტატიაში გამოთქმულ ვარაუდებსა და შეფასებებს მოვლენების შემდეგი განვითარება ადასტურებს. ამიტომ მგონია, რომ სათაური "დროებითი ზავი", თუმცა საკმაოდ ზუსტია, მაინც უფრო მწვავე უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ავტორი არ ერიდება რუსეთის პრეზიდენტის ფსიქოლოგიური სისუსტეების დახატვას (როგორ უყვარს თავისი გოგო-ბიჭების პირდაპირ ეთერში დაწიოკება!) და არც საქართველოს სახელმწიფო ლიდერს აკლებს გესლიან შენიშვნებს (დახეთ, დახეთ, როგორ უნდა სიამოვნებდეს ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს "ბებერი მელას" მოთვინიერება!). გასაგებია, ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი ჯერ კიდევ შორსაა, ჯერ კიდევ ადრეა შეტევა, მაგრამ იქნებ ორი პრეზიდენტის ფოტოს სარკასტული მინაწერი მაინც გამოტანილიყო ქვესათაურად: "შეხვედრის მთავარი შედეგი: რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრები თბილისში ითამაშებს". განა ამ შედეგს ელოდა ჩვენი მარშრუტკის გულმოკლული მგზავრი? განა ასეთ ნუგეშს იმსახურებს მისი ალალი გული?

მაგრამ რატომ გამოდგა მთავარი შედეგი ასეთი უბადრუკი? ერთი რუსული ანდაზა არსებობს: **"милует царь, да не милует псарь"**. დიახ, მეფე მოწყალეა, მაგრამ არსებით საკითხებს სულ სხვა ხალხი წყვეტს. კერძოდ, სახელმწიფო საზღვრის მთავარი მცველი ვალერი ჩხეიძე...

"შევარდნაძე პუტინს დაჰპირდა იმას, რასაც ვერ შეასრულებს" — გვეუბნება 8 ოქტომბრის ნომერში ზაზა წულაძე და თან ერთობ არსებით ინფორმაციას გვაწვდის ჩვენი სასაზღვრო ძალების მეთაურის მეშვეობით: "რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 897,7 კილომეტრს შეადგენს, აქედან 105 კილომეტრია დაღესტნის მონაკვეთი, 61 კილომეტრი — ინგუშეთის და 81,4 — ჩეჩნეთის. დანარჩენი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე მოდის". ესეც ასე, ამ ყბადაღებული (ამჯერად, მართლაც ყბადაღებული) ერთობლივი პატრულირების მოწყობა ჩეჩნეთის ომის მოგების ტოლფასი ამოცანა ყოფილა! ვირი უფრო ადრე მოკვდება. იმედი მაქვს, ვირის პატრონიცო, — იტყვის ჩვენი მარშრუტკის გულმოკლული მგზავრი და ჩვენც მორცხვად და ტაქტიანად დავხრით თვალებს. ზუსტად ისე, როგორც მორცხვი ქალწული აკეთებს ამას XIII საუკუნის ერთ პატარა იტალიურ პოემაში.

ეს ქალწული და მასზე შეყვარებული ვაჟი ოთახში იმყოფებიან მარტონი. ვაჟი მის დაყოლიებას ცდილობს. ქალი პირობებს უყენებს, თან სრულიად შეუძლებელ საქმეებსა სთხოვს: ჯერ ზღვაზე პური მოიყვანეო, მერე კიდევ მთები მიწასთან გაასწორეო. მაგრამ ოთახიდან არ გამოდის, ისე ნებდება. ჩვენ ხომ ვიცით: როცა შეუძლებელს გთხოვენ, მხოლოდ გეთამაშებიან, გეკეკლუცებიან, საქმის არსი კი სულ სხვაგანაა. ასე რომ სტატიის სათაურად, ალბათ, ეს აჯობებდა: "შევარდნაძე პუტინს შეუსრულებელს დაჰპირდა". დავიჯეროთ, როცა ერთმა ერთობლივი ოპერაციების საკითხი დააყენა, მეორემ კი ჯერ სიტყვა ბანზე აუგდო და მერე სამიტზე უილბლო ჩეჩნებით ხელდამშვენებული გამოეცხადა, არც ერთმა არ იცოდა საქმის არსი? მაშინ რატომ განვითარდა მოვლენები ასე და არა სხვაგვარად?

ზაზა წულაძის სტატიაში არის ერთი მცირე, მაგრამ არსებითი დეტალი. პუტინის სიტყვების ქართულ თარგმანში მე მას შავი შრიფტით გამოვყოფ: "11 სექტემბრის განცხადებები, იმედი მაქვს, არ იქნება რეალიზებული, თუ შესრულდება ჩვენი შეთანხმებები **ედუარდ ამბროსის ძესთან**". სტატიის ავტორმა პატიოსნად თარგმნა რუსული **"Эдуард Амвросиевич".** ეს გასაგებია, მაგრამ პუტინმა საიდან იცის ჩვენი პრეზიდენტის მამის სახელი? ნუ ასწიეთ წარბები, ეს სულაც არაა სულელური შეკითხვა. ტონი ბლერს ხომ მამის სახელით არ მიმართავს, როცა ჯერ არყის ტყეში ასეირნებს და მერე არყის ჭიქას სთავაზობს ვახშამზე. არც არაფერი დააკლდება, რომ არ იცოდეს. რატომ? ინგლისელები ხომ მამის სახელით არ მიმართავენ ერთმანეთს. არც ქართველები. აჰა, — პირველნი მიხვდებიან და რისხვით ჩაიღიმებენ ჩვენი პატრიოტები — თავისი ჰგონია პუტინს საქართველო! არა, ბატონო, საქმე გაცილებით უფრო მარტივადაა: შევარდნაძე ჰგონია თავის მთავრობაში შემავალი ყოფილი ხელქვეითი და ამაში, მერწმუნეთ, გაცილებით ნაკლებად ცდება.

— აჰა, — გაიხარებს მარშრუტკის გულმოკლული მგზავრი, — მაშინ დაგვიდგება ადამიანური ცხოვრება, ისეთი მეთაური რომ გვეყოლება, რომლის მამის სახელი რუსეთის პრეზიდენტს არ ეცოდინება!

ამ იმედს მოგვიანებით გავუცრუებთ ჩვენს ალალსა და გულუბრყვილო მეგობარს, მანამდე კი ის უნდა ვთქვათ, რაც განცხადდა ორი სახელმწიფოს ლიდერთა შეხვედრაზე და როგორ შეიძლება წავიკითხოთ "24 საათის" შესაბამისი ინფორმაცია.

კიშინიოვში ერთმანეთს ორი ქვეყნის პრეზიდენტები არ შეხვედრიან: ეს შეხვედრა იყო რუსული ლიტერატურის ორ პერსონაჟს — სმერდიაკოვსა და პლიუშკინს შორის.

ერთი — სმერდიაკოვი-პუტინი, როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე "მოსკოვსკიე ნოვისტის" რედაქტორის მოადგილემ, მიხეილ შეველიოვმა თქვა, "არის კაცი არავინ და არსაიდან". დააკვირდით ქრონიკას: როგორ ფაციფუცითა და ამავე დროს საგულდაგულოდ იკრავს პიჯაკის ზედა ღილს სკამიდან წამოდგომისას: აშკარად ეტყობა, რომ სულ ახლახან განუმარტეს, რომ კარგად აღზრდილი ბიჭები ასე იქცევიან. ამიტომაც საკუთარ თავს უარს ვერ ეუბნება, ხანდახან ტელეკამერის წინ გაჯოროს ისინი, ვისაც ბავშვობაში მასზე მეტი ჰქონდა თეთრი პური და კარაქი. სამწუხაროა, რომ ვერასოდეს ვნახავთ ტელევიზორში, შინ, სარკის წინ როგორ იზომებს დაბადების დღეზე ნაჩუქარ მონომახის ქუდის ასლს.

მეორე — პლიუშკინი-შევარდნაძე დღეს მხოლოდ წარსულით ცხოვრობს, საკუთარი წარსულით. კიდევ ერთხელ დააკვირდით "როიტერის" ფოტოს — მის ახლოს არავინ აღმოჩნდა, ვინც ეტყოდა, რომ ჰალსტუხი ქამრის ბალთას უნდა უფარავდეს. ოდნავ წააგავს კიდეც ინოკენტი სმოკტუნოვსკის მიერ განსახიერებულ პლიუშკინს. სიღარიბესა და ჭუჭყში ჩამჯდარა მისი კარ-მიდამო. ყმები კი ნაწილობრივ შიმშილობენ, ნაწილობრივ ქურდობენ. თვითონ კი გაუთავებელი ლირიული გადახვევებით გართულა და საკუთარ წარსულზე მოსაწყენი მოთხრობებით გულს უწყალებს მსმენელს.

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ კიშინიოვის შეხვედრა სიტყვიერ დონეზე დასრულდა და პრობლემაც სიტყვიერ სივრცეში "გადაიჭრა", კალმის უბრალო მოსმით: ახლა უკვე "ერთობლივი პატრულირების" მაგიერ "შეთანხმებული კონტროლი" უნდა ვთქვათ და თავიც ქუდში გვექნება, ოღონდ არა მონომახის ქუდში.

ამ ყველაფერს საბოლოო წერტილი უკვე ქართული გამოთქმით უნდა დავუსვათ. სწორედ ასე მოიქცა ეკა კვესიტაძე 12 ოქტომბრის ნომერში: "მე ვარ და ჩემი ნაბადი. პრეზიდენტისთვის რეალობა კანცელარიის მე-11 სართულის სივრცით შემოიფარგლება".

## სათაურები!.. სათაურები!.. იაფად!..

ჩვენი რეალობა უფრო ფართო უნდა იყოს. არავინ უნდა დარჩეს მის მიღმა. ამიტომ უნდა მივიზიდოთ და დავტვირთოთ ჩვენი მარშრუტკის გულმოკლული მგზავრის ალალი, ცნობისმოყვარე, მაგრამ მაინც ზარმაცი და ვარჯიშს მიუჩვეველი გონება. ამ გონების მისაზიდად კი, ფოტოებს გარდა, ერთადერთი საშუალება სათაურებია.

სათაური იმწამსვე უნდა იპყრობდეს მკითხველის თვალსა და გულისყურს. თითოეული სიტყვა შეძლებისდაგვარად მოკლე უნდა იყოს, აზრი კი — სხარტი და ალესილი. სათაური, რომელსაც დასრულებული წინადადების სახე აქვს, არ აღიქმება: "შევარდნაძის მიმართვა გასული საუკუნიდან ისმოდა". კი ბატონო, მაგრამ რა მდორედ და დიდხანს მიედინება ეს თხრობითი წინადადება. გადაატრიალეთ გაზეთის ეს 12 ოქტომბრის ნომერი და დაიწყეთ მაია ჭალაგანიძის რეპორტაჟის კითხვა: "დაჩრდილა... არა, კინაღამ დაჩრდილა პარლამენტში პრეზიდენტის პრეისტორიული გამოსვლა დიდმა სპორტულმა მოვლენებმა". *პრეზიდენტის პრეისტორიული...* როგორ თამაშობს ბგერები, როგორ ცვლის მეორე სიტყვის დასაწყისი პირველი სიტყვის მნიშვნელობას: გამოდის, რომ სიტყვა "პრეზიდენტი" თითქოს წინ მჯდომს კი არა, წინათ, ოდესღაც მჯდომს ნიშნავს. გავიხსენოთ ამერიკის პრეზიდენტის, დუაიტ ეიზენჰაუერის სარეკლამო სლოგანი: I like Ike – აი ლაიქ აიქ (მე მომწონს აიკი – დუაიტის კნინობითი ფორმა). როგორ სწრაფად და მკვიდრად ჯდებოდა ეს გამოთქმა ამომრჩეველთა ტვინში!

ამ სათაურს კი რა ვუყოთ? — "ოპოზიციამ პრეზიდენტის მოხსენება გამოწვევად მიიღო". ჯერ ხომ ორჯერ მოუხდება ჩვენს გულმოკლულ მგზავრს მისი გადაკითხვა — გამოწვევად თუ გამომწვევად? ნუთუ უფრო მოხდენილის მოგონება შეუძლებელი იყო?

ან კიდევ "აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტებს დნეპრისპირეთის გეგმით მოაგვარებენ". ეს უფრო ქვესათაურია, ვიდრე სათაური.

ასევე მოუხერხებელია 11 ოქტომბრის პირველი გვერდის ყველაზე მსხვილი წარწერა: "ანტიტერორისტული ოპერაცია დაუფინანსებლობისა და ერთიანი მიდგომის არარსებობის ფონზე". არადა რამდენი შესაძლებლობაა! — "ტერორიზმის წინააღმდეგ უფულოდ და უგუნურად", ან უფრო რბილად, მაგრამ გასაგებად მაინც უნდა ჟღერდეს სათაური, რომელსაც ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების პორთოსის, ათოსისა და არამისის ფოტო უმაგრებს ძირს.

ყოველ შემთხვევაში, ვისაც ამ საკითხზე უფრო კარგი გაკვეთილის მიღება სურს, კიდევ ერთხელ ნახოს ფილმი "სათამაშო" პიერ რიშარის მონაწილეობით.

## ქართული ეკონომიკის იტერაციები

ეს სიტყვა არაა შთაგონებული საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ბოლოდროინდელი ფათერაკებით: იტერაცია მათემატიკური ტერმინია და საბოლოო შედეგთან მცირე მიახლოებას ნიშნავს. საბოლოო მიზანი მოვლენის არსში გარკვევაა. ყბადაღებული (ესეც ნამდვილად ყბადაღებული) კომპანია "იტერას" ეპოპეა გაზეთში სწორედ იტერაციული გზით აისახა: 7-დან 9 ოქტომბრამდე შემდეგი იტერაციები შესრულდა — 1. უშუალო წყაროდან მიღებული ინფორმაცია (გიორგი ისაკაძის ინტერვიუ); 2. ეკონომიკურ და პოლიტიკურ პლანში მოვლენათა მიმდინარეობის ასახვა და ვარაუდები მომავალი ზამთრისადმი; 3. წინა დღეს გაშუქებული მოვლენების ანალიზი.

ეპოპეის საბოლოო აზრი ასეთია: "იტერამ" მიიღო "აზოტი", ერთობლივი საწარმო არ შეიქმნება, "თბილგაზი" სახელმწიფო ორგანიზაციად რჩება, ზამთარში გაზს პერიოდულად გაგვითიშავენ ისევე, როგორც წინათ. ამ ყოველივეს ეპოპეის "ლოგიკური" დასასრული ეწოდება. თუმცა მე ვერ ვიტყვი, საკუთრივ რომელი ლოგიკის მიხედვით განხორციელდა სწორედ ასეთი ვარიანტი.

საზოგადოდ, უნდა ვთქვა, რომ ეკონომიკის ნაწილი ჩვენი გაზეთის ყველაზე ძლიერი მხარეა: გადმოცემა მაღალპროფესიული, ანალიზი ღრმა და ამომწურავი. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება ერთი პრობლემა: როგორ უნდა ჩავრთოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შემეცნებაში ჩვენი ახალი მეგობარი, მარშრუტკის გულმოკლული მგზავრი? ვერ ვიტყვი, რომ ოდნავი შემსუბუქება, ან პოპულარული ტონი იყოს საჭირო — ამისთვის ნამდვილად დამენანებოდა ჩემი კოლეგების უნარი და შრომა. მაგრამ ეკონომიკური "ბლოკის" სტაბილურობა და მუდმივი მაღალი დონე უეჭველ კონტრასტშია, მაგალითად, ბოლო გვერდთან.

აჰა, აქამდეც მოვედით — მრავალჭირნახულ B-ბლოკთან შეჩერდა ჩვენი მარშრუტკა. აქ შესაქმის დღიდან არაფერი შეცვლილა. მხოლოდ "მესვეტეთა" რაოდენობას შეემატა აკა მორჩილაძე. 12 ოქტომბერს გოგი გვახარიამაც გაგვახარა ლაშა ბაქრაძისადმი გაგზავნილი წერილით. ყველაზე სასიამოვნო კი მაინც ის იყო, რომ ნინო ცინცაძემ გადაწყვიტა ჩვენი B-ბლოკელების შემოქმედებით უნართა "დიიდი გამყინვარების" გალღობა და შემოგვთავაზა ერთ-ერთი შესაძლო პასუხი მარადიულ კითხვაზე "რა ვაკეთოთ?". ისე კი იქნებ პერსონალური სვეტები საერთოდ გაუქმდეს, მათ მაგიერ კი დამკვიდრდეს მუდმივი რუბრიკები, რომლებშიც თემატიკის ან სტილის მიხედვით გაანალაგებენ ავტორთა მიერ შემთხვევით მოწოდებულ მასალებს. ხომ შეიძლება რომელიმე "მესვეტე" კვლავ ერთი ან ორი თვით გაქრეს გაზეთის ფურცლებიდან, რა საჭიროა ყოველ ჯერზე ვრწმუნდებოდეთ, რომ ვერა და ვერ დამკვიდრდა რეგულარული პერსონალური სვეტების ტრადიცია.

გარდა ამისა, მადი სერებრიაკოვა კვლავინდებურად გვაკვირვებს თავისი ორიგინალური თვალსაზრისებით — იხ. 8 ოქტომბრის ნომერი. ჩემთვის (სამწუხაროდ, ჩემზე ბევრად უფრო გამოცდილი და ავტორიტეტული მუსიკოსებისთვისაც, რომელთაგან ზოგი ჩვენი ავტორის პედაგოგიცაა) გაუგებარი დარჩა, რატომ გახდა ასეთი ენერგიითა და შემართებით შესრულებული ვერდის "რეკვიემი" ქ-ნი სერებრიაკოვას უკვე მოყირჭებული ქილიკის საგანი და რა არ მოეწონა მას სოლისტთა ანსამბლებში? გავიხსენოთ, რომ სოლისტები იყვნენ მაყვალა ქასრაშვილი, თეა დემურიშვილი, ლაშა ნიქაბაძე და პაატა ბურჭულაძე. ამ ფონზე 7 ოქტომბერს მუსიკალურ ცენტრში შესრულებული მოცარტის "რეკვიემის" შეფასება, რომელიც იმავე სტატიაშია მოცემული, საოცრად ლმობიერად გამოიყურება. ძნელია ამ კონტრასტის ახსნა მუსიკალური ე. ი. ამ შემთხვევაში ობიექტური მიზეზებით. უბრალოდ, ყოველთვის ცდუნებაა, იყო მკაცრი დიდების მიმართ და მფარველობა გაუწიო მცირეთ.

## შეხვედრა წარსულთან

გასულ პარასკევს ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა, მერაბ ღალანიძემ მითხრა, რომ აღშფოთებით სავსე ღია წერილის დაწერას აპირებს, რადგანაც "24 საათში" პანტელეიმონ გიორგაძის სტატია. ლაპარაკია 10 ოქტომბერს დაბეჭდილ ხელმოუწერელ მასალაზე "ვიყოთ ისეთები, როგორიც იყო ჩე!". ძლივს დავარწმუნე, რომ პანტელეიმონ გიორგაძე ამდენად ვერ ფლობს მშობლიურ ენას, მაგრამ დამშვიდება კი ვერ შევძელი.

ეს მასალა მეც წავიკითხე და განსაკუთრებით გამართო იმ ცნობამ, რომ ჩე გევარა თურმე "მხეცურად მოკლეს". ჩემი სკოლის დერეფანში დაკიდებული გმირი პიონერების ბიოგრაფიები გამახსენდა და ერთი გვარი ამომიტივტივდა გონებაში — მარატ კაზეი — ალბათ, ყველაზე უცნაური იყო და ამიტომაც დამამახსოვრდა. მე სულაც არა ვარ ცინიკური ურჩხული, უბრალოდ გიგი თევზაძის მიერ 1997 წელს "რეზონანსში" გამოქვეყნებულ წერილს ვეთანხმები — "ჩე გევარა და ტროცკი კედელთან". როცა ადამიანების კედელთან დამყენებელი თვითონ იღებს შუბლში ტყვიას, ამაში სულაც არაა რაღაც უზენაესი მისტიური სამართალი: უბრალოდ, იტალიური ანდაზისა არ იყოს, ვინც ძაღლებთან წევს, რწყილიანი დგება. ჩე გევარასა და მისი ჯალათების დაპირისპირებაზე უფრო მეტი გულუბრყვილობა კი ჩემთვის წარმოუდგენელია — ისინიც ხომ ზუსტად ასეთივე პროფესიული დაავადებით დაიხოცნენ, როგორც მათ მიერ გასაღებული კომანდანტე.

ესეცაა: ვის ახარბებენ რევოლუციონერის "ამაღლებულ ზნეობას" (ღმერთო ჩემო!)? ქართველობას? მიმოიხედეთ ირგვლივ, მეგობრებო: ჩვენი საზოგადოება სავსეა შვილებით, რომლებიც მამობანას თამაშობენ, ე. ი. საკუთარი მამების კანს ირგებენ და უკეთესი არაფერი წარმოუდგენიათ ცხოვრებაში. იქნებ სტატიის უცნობი ავტორი, რომელიც, ალბათ, მრავალჯერ წაწყდომია დიდი მამების პაწაწინა მოსიარულე ასლებს, ნართაულად ადარებს მათ იმ 135 კუბელ მოსწავლეს, რომლებიც პიონერთა რიგებში მიიღეს "თავისუფლების კუნძულზე"?

## Очевидное невероятное

გადავხედე დაწერილს და ერთი ძველი ანეგდოტი მომაგონდა: სკოლა, სადაც მოსწავლეები აკადემიური მოსწრების მიხედვით იყვნენ განლაგებულნი — ხუთოსნები, სამოსნები,ოროსნები და ბოლოს ვოვოჩკა.

დღეს ვოვოჩკას როლში ისანი-სამგორის რაიონის პროკურორი, ვაჟა აბაკელია უნდა გამოვიდეს. თამარ კაციტაძის 10 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილია ამ ფიზიკური პირის სიტყვები, რომლებითაც იგი ხსნის მკვლელობათა გაზრდილ მდგომარეობას: "მსოფლიო პრაქტიკაში დამტკიცებულია, რომ ძალადობის ფაქტები განსაკუთრებით მატულობს საუკუნის ბოლოს და დასაწყისში, რადგან ამ დროს ატმოსფეროში ძალიან დიდი რაოდენობით გროვდება უარყოფითი მუხტი, რაც ხალხში დაგროვილი აგრესიის გამოვლინებას იწვევს".

როგორც ადამიანი, რომელიც რვა წლის განმავლობაში პროფესიონალი ფიზიკოსი იყო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ატმოსფეროში დაგროვილი უარყოფითი ან დადებითი მუხტი სხვა შესაძლო ფაქტორების მონაწილეობის შემთხვევაში იწვევს ჭექა-ქუხილს, სფეროსებურ ელვას, წმიდა ელმის ცეცხლს, ჩრდილოეთის ციალს და სხვა მსგავს მოვლენებს, მაგრამ კრიმინოგენურ სიტუაციასთან არანაირ ექსპერიმენტულად დამტკიცებულ კავშირს არ ავლენს!

იქნებ ბატონი პროკურორი სხვა რამ მუხტს გულისხმობს?

რას იზამ, — არსებობს იურიდიული ცნებები, მაგალითად, სახელმწიფო. არსებობს მეტაიურიდიული ცნებები, მაგალითად, სამშობლო. საბჭოთა კანონებმა ეს უკანასკნელი იურიდიულ სფეროში შეიყვანა (გავიხსენოთ 1951 წლის "დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში" შეყვანილი ასეთი "ცნება" — **ЧСИР, член семьи изменника Родины)**. ნუთუ დღეს საქართველოს კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში ახალი ტიპის — მეტამეცნიერული ცნებების შემოთრევას უნდა ველოდოთ?

ან თუნდაც ასეთი სიტუაცია წარმოვიდგინოთ: კონკრეტული სასამართლო პროცესის დროს რომელიმე ადვოკატმა საუკუნის დასაწყისში ამ რაღაც მუხტის დაგროვება დაცვის არგუმენტად რომ გამოიყენოს, როგორ შეხვდება ამას თვით ბატონი პროკურორი ვაჟა აბაკელია?

ვის "აბოლებს" ბატონი პროკურორი? ან იქნებ მართლაც სჯერა, რასაც ამბობს? მაშინ რატომაა ამდენ ხანს ამ ადგილზე? აღარ უშლიან?

ეჰ, ჩვენი მარშრუტკის გულმოკლულმა მგზავრმა იკითხოს, თორემ ბატონ პროკურორს რა უჭირს. მისთვის გაზაფხული თავისით მოვიდა და, როგორც ეტყობა, იმდენად გააბრუა, რომ ნეტარ გლოსოლალიაში ჩააგდო.

ჩვენ კი დავსხდეთ და დაველოდოთ. რას მოვიგებთ? არც არაფერს. აი, 10 ოქტომბრის ნომერში ვხედავთ, როგორ მსჯელობს ორი "ლატინოსი", სილოსი და ირიბარენი ჩვენს ბედზე. სათაური ზედმეტად ოპტიმისტურია: "თბილისი აღარ ჩაბნელდება". ეს ნაწილაკი "აღარ" რაღაცის დაძლევას გულისხმობს, რაღაცის სამუდამოდ და გადაჭრით გადაწყვეტას. სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა, და თბილისი მხოლოდ ამჯერად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში *არ ჩაბნელდება*. ამაში კი ჩვენი ქართული წვლილი, როგორც ახლა ამბობენ, მინიმალურია.



## ლადო ბურდულის სვეტი

# ქართული შოუ ბიზნესი

### ნაწილი პირველი



არა, არ იფიქროთ, რომ მე თავიდანვე ამ პრობლემებზე ვმუშაობდი. არა, უბრალოდ იდგა 1986 წელი, როცა, როგორც ყველა ჩემმა ნორმალურმა, ან განვითარებულმა თუ დღეს უკვე ემიგრაციაში მყოფმა თანატოლმა, მეც მოვინდომე გამეკეთებინა რაღაც და რამე შემეცვალა უკეთესობისკენ. მაგალითად, უბრალოდ დამეკრა როკ-ენ-როლი და ეს კინოც სწორედ აქედან დაიწყო...

არ არსებობს, ნებისმიერ დარგში ვინმეს მოქმედებანი ნაბიჯის წინ გადადგმა, რომ საუკეთესო ვარიანტში არ დაჯახებოდა და არ მოეტეხა იმ კედელზე, რომელიც ორ ნაწილად ყოფდა და დღესაც ყოფს ქართულ საზოგადოებას: ნათელი და ბნელი, პროგრესული და რეგრესული, შემქმნელი და დამანგრეველი. და რატომღაც ეს უარყოფითი მეორე მუდამ ლიდერის და მმართველის სახით მოვლინებია ქართულ საზოგადოებას. და როგორც სამწუხაროა, რომ დღეს დომინირებს პატრიოტიზმის და ტრადიციების დამცველი გმირის ეს იმიჯი, რომელმაც უკვე გარკვეული სტერეოტიპიც და იდეოლოგიაც კი შექმნა [illegible]

საქართველოში ალბათ 4 მილიონი მოსახლეა, ვისთვისაც ქართული საურთიერთო ენა არის და რომელზედაც შენდება და ვერ აშენდა ქართული სახელმწიფო, დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა და ა.შ. მათ შორის ქართული შოუ-ბიზნესიც, რომელსაც უფრო მეტი შემქმნელი და ვარსკვლავი ჰყავს, ვიდრე მომხმარებელი.

თავისთავად "შოუ-ბიზნესში" თვითონ სიტყვები მეტყველებენ, რომ თანხების გარეშე წარმოუდგენელია რამეზე საუბარი.

კარგი, მაშინ ვისი ფულით იქმნება ქართული შოუ ბიზნესი პრინციპით "ვინც იხდის ის უკვეთავს"? ცხადია, იხდის ის, ვისაც აქვს თანხები. ვის აქვს დღეს საქრთველოში ფული? შეგახსენოთ?! კორუპციას, ანუ სახელმწიფო მოხელეებს, ძალოვან სტრუქტურებს, ვაჭრებს და კრიმინალურ სამყაროს. ვისაც ქეიფი და დროსტარება მუსიკის გარეშე, ამ ბოლო ხანებში კი - არჩევნებიც, წარმოუდგენლად მიაჩნია.

საშუალო ფენა კი, რომელიც ცივილიზებულ სამყაროში ასეთი მყარი და მდიდარია, რომელიც განაპირობებს, არის შემკვეთი, პოტენციური გადამხდელი და მომხმარებელი არამარტო შოუ-ბიზნენსის... სწორედ ეს ფენა არ არსებობს დღეს საქართველოში, ან თუ არსებობს, მაინც არ არის გასათვალისწინებელი ძალა იმიტომ, რომ უფულოა და არ, ან ვერ ერთვება საერთო სიხარულში და დროსტარებაში და აქედან გამომდინარე მისი მოთხოვნები და სურვილები უგულებელყოფილია ქართული შოუ-ბიზნესის და მასმედიის მშენებლობაში. ტელე და რადიო მაუწყებლობა, რომელიც ამხელა დროს უთმობს და პოპულარიზაცია-რეკლამას უწევს ყველაფერს ზემოთ ჩამოთვლილს და ურომლისოდაც წარმოუდგენელია ქართული შოუ-ბიზნესის და არა მარტო მისი არსებობა, არ ითვალისწინებს ამ ფენას.

აი ის ძირითადი ბირთვი, რომლის გემოვნებაზეც აშენდა და შენდება ეს უსახური და გაურკვეველ ქართული შოუ-ბიზნესი, რომელიც არც რუსულია და არც თურქული. ის უსახურად არის გაკვეტებული სადღაც შუაში და მისი გამოყენების არეალი თბილისს ვერ შორდება, ხოლო მოხმარების ვადა დროში საოცრად შეზღუდული აქვს, რაც ასე თვალნათლივ დაგვანახა ბათუმის "სუბტროპიკების" ფესტივალმა.

მშიერ კაცს რომ აჭამო ბლომანდე, რა თქმა უნდა, ხალისი მას ხომ მხოლოდ კარაქიანი ფუნთუშა თუ გაახარებს. სწორედ ამ კარაქიანი ფუნთუშის მომხმარებლის კონცეფციაზე შენდება ამდენი რეტროსპექტივა და ყველა ის მომღერალი, რომლებიც ქართულ შოუ-ბიზნესად მონათლეს.

რა თქმა უნდა, ასეთ საზოგადოებაში ალტერნატიულ, ექსპერიმენტულ, არაკომერციულ შემოქმედებაზე მოთხოვნა ჯერ კიდევ არ დგას დღის წესრიგში.

ხოლო რაც შეეხება ქართულ შოუ ბიზნესს, მაგალითად:

რატომ არ აშენდა ფოთში ლოს-ანჯელესი და აშენდა ფოთი? ან თბილისში, რატომ აშენდა თბილისი და არა ნიუ-იორკი?

ეს არ არის რთული მისახვედრი, იმიტომ რომ ფოთელებს უნდოდათ აეშენებინათ ფოთი და მათი რეალური მოთხოვნები და ამბიცია მეტს არ იტევდა. ლოს-ანჯელესელებს კი მოთხოვნა ლოს ანჯელესზე ჰქონდათ და ამიტომაც იქ აშენდა ლოს-ანჯელესი და არა ფოთი, ხოლო თბილისელებმა ლოგიკურად აშენეს თბილისი და ა.შ.

ასევეა ქართული შოუ-ბიზნესიც. ის ააშენეს ქართველებმა, რასაც ნამდვილად ვერ დავაბრალებთ ვერც კრემლის ინსპირირებულ აგენტებს და ვერც მასონებს.

რატომ არის ქართული გასართობი პროგრამები უფრო სატირელი, ვიდრე გასართობი? და ქმნიან მას, ისევე, როგორც დღევანდელი საქართველოს სხვა ნებისმიერ დარგში ყველაფერს, "არაპროფესიონალები".

ყველაზე საკირველი ჩემთვის მაინც მუდამ ბედს შეგუებული, მდუმარე საზოგადოებაა, სადაც ყველას ყველაფერი ადვილად გასდის და არავინ არავის არაფერზე პასუხს არ სთხოვს და ასეთი ერთსულოვნებით და მეგობრული თანაგრძნობის ღიმილით დღითიდღე ქვეყანა ფსკერისკენ მიექანება.

რატომ არ ესმით დასავლეთში ქართული პოლიტიკის და საზოგადოების წარმომადგენლების? ჩემის აზრით იმიტომ, რომ ჩვენი პრეზიდენტი, პარლამენტი და საერთოდ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ არის გაზრდილი როკ-ენ-როლზე და ეს უკვე ნიშნავს, რომ ბინ ლადენთან, სადამ ჰუსეინთან და აზიური ქვეყნების სხვა ლიდერების მენტალიტეტთან უფრო ახლოს ხარ, ვიდრე როკ-ენ-როლის კულტურაზე გაზრდილ დასავლეთთან!

1. და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ქართული პოლიტიკის და საზოგადოების წარმომადგენლებს "მაკასინებში" ვერ ეტევათ ფეხი.

2. პერანგის ბოლო ორი ღილი ვერ ეკვრებათ კისერზე.

3. ქამარი ან შეხსნილი აქვთ, ან ბოლოზე დამაგრებული.

4. ისეთ დროს იცინიან ან ტირიან, რომ გაუგებრობაში აგდებენ ნებისმიერ დასავლეთელს. და ა.შ.

**თუ ამერიკის ბოლო პრეზიდენტების თაობები გაზრდილები არიან ელვის პრესლიზე, ჯიმი ჰენდრიქსზე, ლიტლ რიჩარდზე და ა.შ.; ევროპელი პრეზიდენტები - "ბითლსზე", "როლინგსტოუნსზე", დევიდ ბოვიზე და სხვა; რუსეთის კი - გრებენშიკოვზე და ა.შ., მათ მსოფლმხედველობასა და საქმესთან დამოკიდებულებაში ხომ არის უფრო მეტი საერთო ერთმანეთთან და განსხვავება არა როკ-ენ-როლზე გაზრდილი მუსულმანური ქვეყნების ლიდერებთან, რაც უკვე ასე მკაფიო დაპირისპირებაში გადაიზარდა?**

(გაგრძელება იქნება)

## კალენდარი

### 14 ოქტომბერი

მეორე ჯეიმს ბონდი - როჯერ მური ყველაზე სტაჟიანი აგენტის სახელით არის ცნობილი. მურმა შვიდ ფილმში მიიღო მონაწილეობა. 1953 წელს, როდესაც მსახიობი ინგლისიდან ამერიკაში ჩავიდა, ამას ვერც კი იფიქრებდა. პირველი წარმატება სატელევიზიო სერიალით, "წმინდანით" მოიპოვა. 1972 წელს შონ კონერმა უარი თქვა ხელმეორედ შეესრულებინა "აგენტ-007"-ის როლი და თავისი უარი ამ სიტყვებით ახსნა: ჩემი ბონდი ამოიწურაო. ეს როლი როჯერ მურს შესთავაზეს, რომელიც დიდი სიხარულით დათანხმდა. პირველი ფილმი იყო "იცხოვრე და მოკვდი" (Live and Let Die). ბონდის როლი მურმა წარმატებით შეასრულა. კინოკრიტიკოსების შეფასებით, მური თავისი კინოგმირის იან ფლემინგისეულ კონცეფციასთან ბევრად უფრო ახლოს იდგა, ვიდრე კონერის გმირი. ამას მოჰყვა ფილმები: "ადამიანი ოქროს თოფით", "აგენტი, რომელსაც ვუყვარდი", "მუნრეიკერი", "მხოლოდ შენი თვალებისთვის", "რვაფეხა". 1985 წელს "მკვლელობის უფლებაში" მური უკანასკნელად მოგვევლინა ბონდის როლში. ერთი წლის მერე ის ტიმოთი დალტონმა შეცვალა.

ექს-აგენტმა, ჯეიმს ბონდის სერიალის გარდა, უამრავ ფილმში მიიღო მონაწილეობა. წელს მური კიდევ ერთ ფილმში მოგვევლინა, ფილმის სახელწოდებაა "მოგზაურობა ხომალდით".

ჰოლივუდის ვარსკვლავი **როჯერ მური** 1927 წლის 14 ოქტომბერს დაიბადა.

# ლადო ათანელი - კაპუჩილისა და ბრუზონის შემდეგ

### "ევროპაში წარმატებისთვის რომ მიმეღწია, სხვებზე ათჯერ, ოცჯერ უკეთესი უნდა ვყოფილიყავი"

*ქართველი ბარიტონის ლადო ათანელის საოპერო დებიუტი 1989 წელს თბილისის ოპერის სცენაზე შედგა. თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული მომღერალი მალე ევროპაში გაემგზავრა და ფრანცისკო ვინიასის (ბარსელონა), "I celesti"-ს და ბელვედერის (ვენა) კონკურსებში გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს უდიდესი სცენების დაპყრობას შეუდგა. ლა სკალაში მისი დებიუტი "მაკბეტით" შედგა, დოიჩე ოპერას, ვენის, ჰამბურგის სახელმწიფო ოპერების, კოვენტ გარდენის, პარიზის ნაციონალური და ლოს ანჯელესის საოპერო თეატრების ვარსკვლავი თბილისს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტენორთან, პლასიდო დომინგოსთან ერთად, გამართული სპექტაკლების შემდეგ დაუბრუნდა. ვაჟკაცური ხმის ტემბრის, ელეგანტურ ფრაზირების, ნიუანსირების მაღალი კულტურის წყალობით, დასავლური პრესა მას "ძველი ვოკალური სკოლის ჭეშმარიტ კავალერს" ("ბერლინერ ცაიტუნგ") და "უდიდეს ვერდისეულ ბარიტონს" უწოდებს, "რომელსაც ასე ველოდით კაპუჩილის და ბრუზონის შემდეგ" ("ფიგარო"). ლადო ათანელი თბილისში იშვიათად ჩნდება. ამჟამად მისი ვიზიტი საქართველოში ვერდის "მაკბეტის" პირველ (საკონცერტო) შესრულებას უკავშირდება. გუშინწინ, სიმფონიური მუსიკის ცენტრში, "შემოდგომის თბილისის" ფარგლებში ლადო ათანელი, ირმა ბერძენიშვილთან ერთად, რამდენიმე წლის განშორების შემდეგ წარსდგა ქართველი მსმენელის წინაშე. კონცერტს კოლოსალური წარმატება ხვდა წილად. ამასთან დაკავშირებით ისევ გერმანელი ჟურნალისტის შეფასება გვახსენდება, რომელმაც "დოიჩე ოპერას" სცენაზე ლადო ათანელის გამოსვლით აღფრთოვანებული მაყურებლის ემოციები ლა სკალაში კარუზოსა და კალასის მიერ მოხდენილ ფურორებს შეადარა. ლადო ათანელი და მისი კონცერტმეისტერი მეუღლე, მანანა ჩიქოვანი გუშინ გაზეთ "24 საათის" სტუმრები იყვნენ.*



ლადო ათანელი და მანანა ჩიქოვანი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში



ლადო ათანელი - მაკბეტი

მადი სერებრიაკოვა

**- როგორ შეაფასებდით გუშინდელ კონცერტს. მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრებითა და ვარსკვლავი პარტნიორებით განებივრებულს, როგორ მოგეწონათ ჩვენი ორკესტრი?**

**ლადო ათანელი:**

აღფრთოვანებული ვარ იმ პოტენციით, რომელიც თეატრის გუნდმა სიმფონიურმა ორკესტრმა და ვატო კახიძემ გამოავლინეს. არ ვაჭარბებ, ამ ურთულესი ოპერის სამი რეპეტიციით მომზადება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, მაგრამ ყოველი რეპეტიციის შემდეგ ისეთი თვალსაჩინო პროგრესი იგრძნობოდა, რამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ირმა ბერძენიშვილის საოცრად ლამაზმა, ბუნებრივმა ხმის ტემბრმა. მისი ხმის უდიდესი პოტენციალი კიდევ უფრო მეტად დახვეწას საჭიროებს.ვურჩევდი ყველა შეძლებულ პირს, ხელი შეუწყონ ამ მომღერალს, დასავლეთის კონკურსებზე მოხვდეს.

**- კონკურსები ასეთი მნიშვნელოვანია?**

**ლ.ა:** რა თქმა უნდა. კონკურსი შემოქმედებით ასპარეზზე გასვლის საუკეთესო გზაა - დიდი თეატრების დირიჟორების, რეჟისორების მენეჯერების, იმპრესარიოების ყურადღება რომ მიიპყრო.

**- თქვენი პირველი წარმატებაც კონკურსებს უკავშირდება?**

**ლ.ა:** ვენაში, ბელვედერის კონკურსში 2500 მომღერალი მონაწილეობდა მთელი მსოფლიოდან. იქ მიღებული პირველი პრემია, მაყურებლის სიმპათიის პრიზი და კიდევ 6 სხვა მცირე პრიზი ჩემი კარიერისთვის გადამწყვეტი იყო.

**- თანაც ისეთი პატარა ქვეყნიდან წასული მომღერლისთვის, როგორც საქართველოა...**

**ლ.ა:** საქართველოდან ჩასული მომღერალი სხვების ფონზე რომ შეამჩნიონ, ოცი თავით უნდე სჯობდეს დანარჩენებს. ევროპაში წარმატების მოსაპოვებლად,იყო მხოლოდ კარგი მომღერალი, ძალიან ცოტაა

**- ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საოპერო კულტურაშიც კლანური პოლიტიკა ბატონობს?**

**ლ.ა:** სამწუხაროდ, ასეა.საქართველოს არ იცნობენ. ამერიკელი, იტალიელი მომღერალი, რატომღაც, უფრო ფასობს. ძნელი გასაგებია, რა ხდება ჟიურიში, ალბათ, პოლიტიკური ინტერესები აქაც დიდ როლს თამაშობს. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, პატარა, გაჭირვებული ქვეყნიდან ჩასული მომღერლებსთვის პრიზების მიცემას ხშირად ერიდებიან.

**- ხშირად გიწევდათ ასეთ დამოკიდებულებასთან გამკლავება?**

მანანა ჩიქოვანი:

ჩვენ თავიდანვე ვიცოდით და მზად ვიყავით იმისთვის, რომ ლადო თავის ევროპელ კოლეგებზე ათჯერ, ოცჯერ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, მათსავით რომ დაეფასებინათ.

**- მიუხედავად ამისა, თქვენს უცხოურ ინტერვიუებში ყველგან ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ ქართველი ბარიტონი ხართ...**

**ლ.ა:** ლოს ანჯელესში გამართული ვერდის "ნაბუქოს" შემდეგ "ლოს-ანჟელეს თაიმსმა" აღნიშნა, რომ "საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი ძლიერი, ჯანმრთელი, თაფლივით ბარიტონით, რომელსაც პლანეტაზე ბადალი არ ჰყავს" – ეს შეფასება ჩემთვის ყველაზე საამაყო იყო.

**- ისევ "მაკბეტს" რომ დავუბრუნდეთ... 1997 წელს სკალაში თქვენი დებიუტი სწორედ ამ პარტიით შედგა, როგორ მოგეწონათ "ოპერის მექა"?**

**ლ.ა**: საოპერო მუსიკის უდიდესი ტაძარია. მე იქ რიკარდო მუტის მიწვევით მოვხვდი. მუტიმ თავად დამირეკა და ნაბუქოზე მუშაობა შემომთავაზა. მისმა წინადადებამ თავიდან ძალიან დამაბნია - არ მოველოდი. თავი ჯერ ძალიან ახალგაზრდად მიმაჩნდა. კიდევ უფრო ავღელდი,როდესაც გავიგე, რომ რენატო ბრუზონის - ჩემი ეტალონისა და იდეალის გვერდით მომიწევდა მუშაობა.

**მ.ჩ**: თითქმის ვაიძულე, რომ მოსმენაზე წასულიყო, უარის თქმასაც კი აპირებდა. მოსმენის შემდეგ მუტის სიტყვები ასეთი იყო - "grazie, prima!", შემდეგ მოვიდა თეატრის დირექტორი და გვითხრა, რომ ლადო მაკბეტის პარტიაზე აიყვანეს. პირველი სპექტაკლი რენატომ იმღერა, შემდეგი სამი - ლადომ. იგი პირველი ქართველი მომღერალი გახდა, ვინც ლა სკალაში მთავარი პარტია (title role) იმღერა.

**ამის შემდეგ როგორ განვითარდა თქვენი ლა სკალასთან ურთიერთობა?**

**ლ.ა:** მოგეხსენებათ, გერმანულენოვან ქვეყნებში სხვანაირი ტემპია. საოპერო სეზონი რამოდენიმე წლით ადრე იგეგმება, ლა სკალაში კი მომავალ პროგრამას მხოლოდ 6 თვით ადრე ადგენენ. ამიტომ სკალასთან ურთიერთობაში ბევრ პრობლემას წავაწყდი. სამჯერ მომიწია მათთვის უარის თქმა, იმის გამო რომ უკვე სხვა თეატრთან მქონდა კონტრაქტი. კონტრაქტზე უარის თქმა კი იქ ძალიან ცუდ ტონად ითვლება. ამის შესახებ მაშინვე იგებს მთელი მსოფლიო და ეს ყველაზე ცუდი "რეკომენდაციაა" სამომავლოდ. სკალაში კი, მგონი, ეწყინათ კიდეც, ბოლოს მითხრეს – ძალიან უცნაურად იქცევითო. "ნაბუქოსა" და იაპონიაში გასტროლებზე ვთქვი უარი. რას ვიზამთ, მე უკვე 2006 წელიც დაგეგმილი მაქვს, უკვე დადებულ კონტრაქტებზე უარს ვერ ვიტყვი, იმის მოლოდინში, თუ როდის დამიძახებს ლა სკალა.

**- მიუხედავად ამისა, თქვენს მაკბეტს წარმატება ხვდა. როგორ მოახერხეთ, რომ ამ, ერთი შეხედვით, უარყოფით პერსონაჟს ასეთი ადამიანურობა და კეთილშობილება შესძინეთ?**

**მ.ჩ:** რატომღაც ისე მოხდა, რომ ბარიტონის ძირითადი პარტიები სულ უარყოფითი გმირებისთვისაა დაწერილი. გასაკვირია, რომ როდესაც ლადო მღერის, მსმენელი მაინც მის მხარესაა. "ტოსკას" შემდეგ, სადაც მან ვერაგი სკარპია იმღერა, ქუჩაში ქალები გვაჩერებდნენ და ნებართვას მთხოვდნენ, რომ "სკარპიასთვის ეკოცნათ". გაზეთში სტატიაც კი გამოქვეყნდა, სათაურით - "სკარპიას ქუჩაში ჰკოცნიან".

**ლ.ა:** სხვაგან აღნიშნავდნენ, რომ მართალია, ათანელის ხმაში არის რაღაც დემონური, მაგრამ მის ლოყებზე ღრმულებს რომ ვიყურებთ, მაინც ეშმაკის მხარეს ვართო... (იცინის)

სერიოზულად კი, მაკბეტის გააზრებისას ჩემთვის მთავარია ის ხასიათია, რომელსაც მუსიკა მკარნახობს. ზუსტად მივყვები ყოველ სიტყვას, რეპლიკას. ნელ-ნელა იშლება სახე. მაკბეტი თავიდან მამაცი მებრძოლია, შემდეგ ძალაუფლების სიყვარულს ემორჩილება, ბოლოს კი, სინანულით შეპყრობილი, სულიერად შერყეულს ემსგავსება და საკუთარი მეუღლის სამართავი ხდება. თუმცა, მეორეს მხრივ, მაკბეტი და მისი ცოლი ხომ ახალგაზრდა წყვილია, რომელიც ყველა საშუალებით, ტრაგიკულადაც კი, იბრძვის საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. ამ პარტიაზე ყველაზე დიდხანს, 3 თვეს, ვმუშაობდი თუნდაც იმიტომ, რომ "მაკბეტი" ჩვენთვის უცნობი იყო.თანაც, ბევრი რამ უნდა შემეგრძნო და გამეთავისებინა – მაკბეტის დებიუტი ლა სკალას სცენაზე უნდა შემდგარიყო.

**- სხვა პარტიებიდან რომელია თქვენთვის ახლობელი?**

**ლ.ა**: მაკბეტი, სკარპია, იაგო, ტონიო, რიგოლეტო, ნაბუქო, რენატო – გამოდის, რომ ყველა პარტია მიყვარს... მაგრამ მაკბეტი მაინც განსაკუთრებულია. სკარპია მიყვარდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მასზე უარი ვთქვა. ძალიან დრამატული პარტიაა, ვიდრე ახალგაზრდა ვარ, სჯობს ისეთ პარტიებზე ვიმუშაო, სადაც ვოკალი, "ბელ კანტოა" გადამწყვეტი. სკარპია კი დრამატულ თამაშს უფრო მოითხოვს, ვიდრე სიმღერას.

**- მგონი, მაკბეტის თბილისში შესრულებაც თქვენი ინიციატივა იყო...**

**ლ.ა:** მანანამ სთხოვა ბატონ ჯანსუღ კახიძეს, რომ ეს სპექტაკლი დადგმულიყო. ჩვენ გამოვაგზავნეთ პარტიტურებიც. სამწუხაროდ, დეკემბერში, თბილისში პრემიერას ვერ ვიმღერებ, ჩემი გეგმები ამის საშუალებას არ მაძლევს, მაგრამ ამ პარტიის საკონცერტო შესრულება საქართველოში მაინც პირველია.

**- გუშინწინდელ შესრულებას მთლად კონცერტს ვერც დავარქმევდი. ფაქტობრივად, ეს მაინც თეატრალიზებული წარმოდგენა იყო - თავისივე მიზანსცენებით. "დოიჩე ოპერაში" გამართული კონცერტის შემდეგ ერთ გაზეთში აღნიშნავდნენ, რომ თქვენ საოპერო და საკონცერტო დარბაზებს შორის არსებული ზღვარი გადალახეთ და ხმასთან ერთად, სხეულიც აამეტყველეთ. ალბათ, მაშინაც ასეთივე "საკონცერტო დრამა" გამართეთ. ხშირად მიმართავთ ამ ექსპერიმენტს?**

**ლ.ა:** საქართველოში ასეთ წარმოდგენას თავისი მიზეზი ჰქონდა. "მაკბეტი" მაინც ახალია ქართველი მსმენელისთვის და მისი პირველი მოსმენა გაშეშებული, სტატიკური კონცერტის სახით, ვფიქრობდი, რომ საკადრის ეფექტს ვერ მოახდენდა. მერე სცენა მკვლელთან, არია, ხანჯლის მოლანდება, მოჩვენებები... მინდოდა, რომ ეს მაყურებელსაც დაენახა და შეეგრძნო.

**- ევროპაში ხშირად გიწევთ ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობა. რას იტყოდით ქართულ ვოკალურ სკოლაზე, როგორ აფასებენ მას დასავლეთში? ჩვენი თვალსაწიერიდან იქ საკმაოდ ბევრი ქართველი მომღერალი მოღვაწეობს**.

**ლ.ა:** სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენი თვალსაწიერიდან ჩანს ასე - სინამდვილეში სერიოზული მასშტაბით იქ ძალიან ცოტა ქართველი ჩანს. პაატას ყველა იცნობს. ჩვენ ორჯერ მოგვიწია სპექტაკლზე ერთად მუშაობა( "ბედის ძალა" ჰამბურგის სახელმწიფო თეატრში და "აიდა" "დოიჩე ოპერაში"). იანო ალიბეგაშვილსაც იცნობენ. ჩვენი თანამშრომლობა ჯერ კიდევ თბილისში დაიწყო, "ბალ-მასკარადში" შედგა ჩვენი საოპერო დებიუტი (თანაკურსელები ვიყავით კონსერვატორიაშიც). ასეთი ემოციური მომენტი არასოდეს მქონია, მხოლოდ გუშინდელ კონცერტს თუ შევადარებდი. მაშინ ჯანომ აღნიშნა, რომ ახალი ძალის წყალობით, თბილისის ოპერას 15 წელი არაფერი გაუჭირედებაო. შემდეგ იანოს ვენაში შევხვდი 2000 წელს. ბადრი მაისურაძეც უნდა აღვნიშნოთ. მასთან ერთად "დოიჩე ოპერაში", "აიდაში" ვიმღერე

**- რამდენად განსაზღვრა თქვენი სასიმღერო კულტურა ქართულმა სკოლამ?**

**ლ.ა:** თბილისში ჯემალ ლორთქიფანიძესთან ვსწავლობდი. ბოლო კურსზე ნოდარ ანდღულაძესთან გავდიოდი კონსულტაციას. ევროპაში რომ ჩავედი, ჩემი სასიმღერო მანერა ყველას მოსწონდა. ძალია ცოტა ხანს ვიმეცადინე იქ ზალცბურგის მოცარტეუმის პედაგოგ - ჰანა ლუდვიგთან. თუმცა, იგი მხოლოდ ინტერპრეტაციაში მეხმარებოდა და სტილს მისწორებდა. სხვა მხრივ კი გადამწყვეტი ქართული სკოლა და რაც მთავარია, სასცენო გამოცდილება და ჩანაწერები იყო. ჩავწერდი, მერე ვისმენდი, საშინლად არ მომწონდა, ვასწორებდი, მერე სხვა რამ აღარ მომწონდა და ასე... მომღერალმა თვითონ უნდა აკონტროლოს საკუთარი თავი.

**- თქვენ "ვერდის ბარიტონს" გიწოდებენ. ვოკალურ მასალას გულისხმობენ თუ ინტერპრეტაციის თავისებურებებს?**

**ლ.ა:** პირველ რიგში, ხმის შეფერილობას. ვერდის ხმა უნდა იყოს ძლიერი, მოქნილი, ლამაზი და დახვეწილ ბგერით უნდა მღეროდეს. პუჩინი, შეიძლება, არც ისე ლამაზმა ხმამაც იმღეროს, მაგრამ ვერდის განსაკუთრებული ტემბრი სჭირდება. ასე რომ, ჩემთვის "ვერდის ხმა" დიდი კომპლიმენტია. სამწუხაროდ, საქართველოში არ განასხვავებენ ვერდის, მოცარტის, თუ სხვა ხმებს და ყველაფრის მაღალ დონეზე სიმღერას მოითხოვენ.

**- ახლო მომავალში მეტროპოლიტენ ოპერაშიც იგეგმება თქვენი დებიუტი.**

**ლ.ა:** 2003 წელს ვიმღერებ ჟერმონს, და შემდეგ ნაბუქოს, ჯეიმს ლივაინის დირიჟორობით. ჩემი პარტნიორები იქნებიან სემუელ რემი და პაატა ბურჭულაძე.

**- ამერიკაში თქვენ სექტემბერშიც გქონდათ გამოსვლები, ეს პლაჩიდო დომინგოს სახელს უკავშირდება?**

**ლ.ა:** ვიმღერე რამდენიმე სპექტაკლი ლოს-ანჯელესის თეატრში, რომლის სამხატვრო დირექტორიც არის ბატონი დომინგო. მიუნხენში ერთად ჩავწერეთ პონკიელის "ჯოკონდა", მარტში ალბომი გამოვა. ჩვენი თანამშრომლობა კიდევ გაგრძელდება - დაგეგმილია სპექტაკლები ვენაში, კოვენტ გარდენში და ვაშინგტონში.

**- ამბობენ, რომ დომინგო დიდი სიმპათიებით განიმსჭვალა თქვენს მიმართ.**

**ლ.ა:** დომინგოცა და მისი მეუღლეც საოცრად უშუალო, გასაოცრად თავმდაბალი და თბილი ადამიანები არიან. თბილისში ჩამოსვლა შევთავაზე, უარი არ უთქვამს.

"რატომაც არა! თუ ერთად ვიმღერებთ დუეტებსო". ჩაწერის დროს ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, ყელის გამაგრილებელი "ბონ-ბონებით" მამარაგებდა, რჩევებს მაძლევდა. ასევე, შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს რენატო ბრუზონისთან, რობერტო ალანიასთან, ჯაკომინისთან, ლუჩია ალობერტისთან, მარია გულეგინასთან, რობერტო სკანდუცისთან.

**მ.ჩ:** მარჩელო ალვარესი papi-ს ეძახის, რადგან მასთან ერთად ყოველთვის მამის როლში უწევს თამაში ("რიგოლეტო", "ტრავიატა"). ერთხელ ხუმრობით ისიც სთხოვა, თმაზე ცოტა თეთრი საღებავი წაისვი, ჩემზე უფროსს რომ დაემსგავსოო.

**- თქვენს ოჯახს რაც შეეხება – როგორც ვიცი, ქ-ნი მანანა კონცერტმეისტერობას გიწევთ.**

**ლ.ა:** არა მარტო - მანანა ყველაფერში ერევა: გრიმის და კოსტიუმის შერჩევაშიც. ჩემთვისაც და ირმასთვისაც გუშინდელი კონცერტის კოსტიუმი მანანამ შეარჩია. მე წითელი ჟილეტი ჩამაცვა და ირმასაც წითელი კაბა შეურჩია – როგორც სისხლის და მთელი ამ ტრაგიკული ისტორიის სიმბოლო.

**- თქვენი ვაჟიც მუსიკოსია?**

**ლ.ა:** ჯერ-ჯერობით, საგუნდო-სადირიჟოროზე სწავლობს. ისე ამბობენ, კარგი ხმა აქვს – მამას სჯობიაო. ძალიან კარგი, ხომ იცით "ის ურჩევნია მამულსა..." ჩემზე უკეთესი ბარიტონი თუ გამოჩნდება, სიამოვნებით შევეგებები.



ლადო ათანელი პლაჩიდო დომინგოსთან ერთად

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ოზურგეთული ამარკორდი

ნოდარ მალაზონია

### დომენტი მონტიორი


ნოდარ მალაზონიას ნახატი
ჩემი ეზო

ოო... ბატონებო, მჯერა, ახლა კი უკლებლივ ყველა დამეთანხმებით იმაში, რომ სამყაროს საოცრებათა შორის ერთ-ერთი, თვითგადარჩენის ინსტინქტია და დუნიაზედ ამ იმუნიტეტის ფენომენის ისეთი მრავალფეროვნებათა ფეიერვერკია მოგონილი და შექმნილი, რამდენიც თუნდაც უპრიმიტიულესი, ერთუჯრედიანი არსება შექმნა უფალმა; მაგრამ ვფიქრობ, კაცთა შორის დომენტი მონტიორის იმუნიტეტური კუ-კუ, გარკვეული ყურადღების ღირსია ალბათ.

მიდიხართ დღისით მზისით ან მთვარიანი ღამით, საკუთარი პრობლემებით თავდამძიმებული, ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ არის, მხოლოდ საკუთარი ნაბიჯების შხარა-შხური თუ გესმით და... უცებ! - ვაიმე დედა! - გულგახეთქილს ამოგხდებათ თქვენდა უნებლიეთ, რადგან ერთი გაელვებით თქვენ თვალწინ ორმეტრიანი "დემონი" (თუ ეშმაკი) აისალტება. მას ორთავე ხელი ჩაშვებული და თეძოებზედ მიწყობილი აქვს; ეს თავზარდამცემი "გამოცხადება" თქვენ ცხვირწინ, "კულისებიდან" ერთნახევარი ბრუნვით ისკუპებს და ნახტომი ისეთი არტისტიზმით სრულდება, მსგავსი რამ ალბათ ნებისმიერ ბალერონსაც შეშურდება. შემდეგ "დემონი" დახტომისთანავე ჯერ გაწურული სარეცხივით დაიგრიხება, წამიერად გაირინდება, შემდეგ "ამუნიას" სიფათზე ტუჩებთან საჩვენებელ თითს მიიდებს და ჩურჩულითა და კამათით გთხოვთ - სუუ... - და იმავდროს უკვე უკუ ბრუნვით, "სარეცხის" გრეხილს ხსნის და იმავე ბრუნზედ ასხლეტვით, ისევე მოულოდნელად გაუჩინარდება, როგორი მოულოდნელობითაც გაჩნდა თქვენს წინაშე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ვირტუოზული პასაჟის შემდეგ, რომლის ავტორი, რეჟისორი და შემსრულებელიც მონტიორი დომენტია, შორიდან ასევე კრძალვით მოგაძახებთ - ბოდიში ბატონო... - და თვალსაწიერიდან ქრება.

ამის შემდეგ თქვენ ისევ სრულიად მარტო რჩებით და ახლა უკვე მხოლოდ თქვენი გულის ბაგა-ბუგილა გესმით.

დომენტი მონტიორი (ასე მოიხსენებდა ყველა მას) სატელეფონო ფოსტაში მუშაობდა. მე იგი ბევრჯერ შემხვედრია, თავისი კაკუჭა ჭანგებით მხარზედ გადაკიდებული, ან კიდევ სატელეფონო ბოძზედ თავისივე ჭანგებზედ შემდგარი და ქამრით გამობმული, თავდახრილს ყურსა და მხარს შუა ყურმილი რომ ჰქონდა "გაჭედილი" და ზრდილი მონოტონური ხმით ერთსა და იმავეს რომ იმეორებდა - ფოსტა, ფოსტა, გოგუცა (გნებავთ მინადორა), გადამრთე მეშვიდეზე (თუ მეცხრეზე...).

დიმიტრი მონტიორი ერთი აყლაყუდა კაცი იყო, მზეზე გარუჯული, მელოტი თავითა და ბანჯგვლიანი წარბებით, მაგრამ საკმარისი იყო ამ უწყინარ, უენო და მოკრძალებულ ადამიანს ალკოჰოლის რაღაც დოზა მიეღო, რომ მას თავისი შლეგური კუკუ-დამალობანას ხუშტური გასჩენოდა.

ამისათვის კი იგი საგულდაგულოდ ირჩევდა შესაფერის საფარს, თუნდაც: ხეს, ბუჩქს, სახლის ზღურბლს და კიდევ რა ვიცი რას და რასაკვირველია, ასევე შესაბამისად თავისივე მსხვერპლსაც.

ასეთი საგანგებო შენიღბვა მას განსაკუთრებული ეფექტის მოსახდენად სჭირდებოდა და ამავე პრინციპს განეკუთვნებოდა ისიც, რომ მის მიერ შერჩეული პიროვნება (არ ჰქონდა ამას მნიშვნელობა, ბავშვი იყო იგი, ქალი თუ კაცი), რაც შეიძლებოდა ახლოს მიეშვა მასთან. ყველაფერი ეს კი კეთდებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ამ შიზოიდურ პა-დე-დეს გამაოგნებელი, გნებავთ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მაქსიმალურად წარმატებული და ეფექტური ყოფილიყო.

არავინ იცის, კმაყოფილდებოდა თუ არა იგი ერთი ასეთი ატრაქციონით, თუ ამ უჩვეულო და საოცარი ანცობით ატროვებული, დომენტი მონტიორი, იმავ დღეს, ამჯერად უკვე სხვა "სცენაზეც" კიდევ ერთსაც გაითამაშებდა, თავის კუკუს.

მე არც ის მსმენია, მის მსხვერპლს (თუ პუბლიკას?) შემდგომში მისთვის ზნეობრივი მორალი წაეკითხოს, ან დამუქრებოდეს, თავისი "უმსგავსო საქციელისთვის", ასე რომ, თქვენი არ ვიცი ბატონებო, მაგრამ მე დღესაც მენატრება დომენტი მონტიორის კუ-კუ, რადგან გარწმუნებთ, ასეთი სპექტაკლის (თუ პა-დე-დეს) ნახვა ნამდვილად ღირდა ერთ გულის გახეთქად.

### გოგიე

გოგის, როგორც ეტყობოდა, განგებამ თავში რაღაც ჭანჭიკი დააკლო, ან კიდევ რაღაც-რაღაცაზედ ისე არ (თუ ვერ) მიაერთა, როგორც საჭირო იყო და მიატოვა ამქვეყნად ერთი უბოროტო და უწყინარი კაცი სხვის საპატრონოდ და სარჩენად (მე აღარაფერს ვამბობ ზოგიერთ იმ უბირ ადამიანებზე, რომლებმაც მეტსახელად ლეკვი შეარქვეს).

რაც შეეხება "ლეკვის" ეტიმოლოგიას, მე მისი წარმოშობის არც არაფერი მსმენია და არც არასოდეს დავინტერესებულვარ, რადგან ჩემი ყურის მეზობელ გოგიასთან ძმაკაცობაში (იგი ჩემზე ოცი თუ ოცდახუთი წლის უფროსი იყო) ხელი არასდროს შეუშლია და რაც მთავარია, მისთვის ასე არასდროს მიმიმართავს, რადგან, მიუხედავად მისი გონებაჩლუნგობისა, ვიცოდი, რომ ეს შეურაცხმყოფელი მეტსახელი მუდამ გულს ტკენდა.

გოგიას მოსყიდვა თუ გინდოდათ, თუთუნი უნდა მიგეცათ მისთვის. საჩუქარს მორჩილად გამოგართმევდათ და მუდამ წვერგაუპარსავი და მეჩხერკბილება, თავისთვის ჩაიცინებდა და ერთგვარი კმაყოფილებით იტყოდა:

- იშ...

არადა, ერთი კია, თვითონ გოგიე ყველას ჩათლახად მოგვიხსენიებდა და არ ჰქონდა ამას მნიშვნელობა, შინაური იყო იგი თუ გარეული, მტრად შერაცხული თუ მოყვასი.

მოკლედ, ჩვენ ყველანი მისთვის ჩათლახები ვიყავით.

- სადაა იი... ჩათლახი. - მოიკითხავდა რომელიმეს გოგიე.

იი... - ეს უკვე მეორე ჩათლახი იყო და ამას თვითონვე უნდა მიმხვდარიყავი.

- ბაზარში წავიდა გოგია.

- მოშიე ჩათლახი ავადაა. - ახლა თავისიანის ამბავი შემატყობინა...

გოგიას ვერც ვერაფერზე მოიხმარდით და ვერც ვერაფერს დაასაქმებდით, მაგრამ გააჩნდა ერთი უნიკალური თვისება მრავალთაგან განსხვავებით: მას შეეძლო თქვენი ნებისმიერი სტრესული მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან მისი მოყვასი ქვეცნობიერი აურა, რომლითაც განგებამ, სანაცვლოდ საღი გონებისა, უხვად დააჯილდოვა, განსაკუთრებით მასთან "გაბაასებაში" ვლინდებოდა.

- გოგია, დაპატიჟებული ხარ! (წამოვიწყებდი მე წინასწარ მოფიქრებული სცენარით)

- რეიზა!.. - უკვირს გოგიას და თავის თუთუნისგან გაყვითლებულ მეჩხერ კბილებს აჩენს.

- რეიზა და იმიზა. დაპატიჟებული ხარ შე კაცო და გაფრთხილებ წინასწარ.

- ვისთან...

- ჩემთან.

- როის...

- დღეს არა, ხვალ არა, ზეგ არა, მაზეგ არა, და ეე... იმის მეორე დღეს, გაიგე?

- კი, - მპასუხობს გოგიე და ისევ იღრიჭება.

- მაშინ მიდი აბა და გაიმეორე... აბა ჰე, რას მიყურებ, დღეს არა... მიდი.

- დღეს... - იმეორებს გოგიე და თვალებში შემომყურებს.

- მერე?!

- გუშინ არა...

- არა გოგია. დღეს არა, ხვალ არა... აბა.

- ხვალ არა... და იმის გუშინ. - ეს კი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ორივეს სიცილისლაგან ქანცი არ გაგვეცლება. ეს კი თუნდაც იმითაცაა სასიკეთო, რომ ჩვენ, ჩვენ-ჩვენ წილ გაუსაძლის ცხოვრებას დრო და დრო მაინც გვავიწყებს.

როცა გოგიე მოკვდა, მის სატირალში აუარება ხალხი მოვიდა. ჭირისუფლებმა და ახლობლებმა ღირსეული ქელეხი გადაუხადეს, გულიანადაც დაიტირეს და სასაფლაომდეც "დუხავოი" ორკესტრის მიაცილეს.

### პატკულიე ბებიე

მოდით ბარემ აქვე სხვა მეზობლებიც მოვიგონოთ. მუდამ შავებში შემოსილი, ბებიე პატკულიე, ხშირად დამინახავს ჩემი სახლის აივნიდან, პაპიროსით ხელში რომ აივლიდა და ჩაივლიდა მძიმე-მძიმედ.

პატკულიემ ბუასილის მკურნალობით გაითქვა სახელი და ამიტომ მისი სახლის ჭიშკართან მუდამ ცხარე სანელებლებით და წიწაკით უკანალგამობდღვნილი ბუასილიანი გურულების რიგი იდგა.

როცა პატკულიე ბებიე გარდაიცვალა, მე ჩემი ყურით გავიგონე ტირილში - საცოდავი პატკულიე ბუასილმა მოკლაო.

## გაქცეული პატარძალი


მაიკა ჭყოთელაშვილის ნახატი

შორენა ლებანიძე

*სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ("უფროსკლასელთა და სტუდენტთა გენდერული ორიენტაციები ძალადობის სფეროში", თბილისი, 2000-2001 წწ.) ცხადყო, რომ თბილისელი უფროსკლასელებისა და სტუდენტების უმრავლესობა ქალის გატაცებას, ცოლად მოყვანის მიზნით, ადამიანის უფლებების დარღვევად არ მიიჩნევს და გატაცებულს, "ქალწულებრივი მდგომარეობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც", მოძალადესთან ოჯახის შექმნას ურჩევს.*

*გამოდის, რომ "ჯინსების თაობა" მენტალურად არაფრით განსხვავდება ჩიხტიკოპიანი მანდილოსნებისა და ულვაშებდაწკეპილი ჩოხა-ახალუხოსნების თაობისაგან. ტელეეკრანების მეშვეობით შემოჭრილმა დასავლურმა კულტურამ ქართულ საზოგადოებრივ აზრს დრომოჭმული ჩვეულებებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება ვერ შეაცვლევინა. უზნეობის სარჩული არ ეძებნება ფაქტებს, რომელთა მიღმა ათეულობით გოგონას გაცამტვერებული იმედები, დანგრეული ცხოვრება, იქნებ წართმეული სიცოცხლეც იმალება. მხედველობაში გვაქვს რამდენიმე წლის წინათ ქსანში გატაცებული ქალიშვილისა და მისი შეყვარებულის მკვლელობის გახმაურებული, ქართული სინამდვილისათვის ტრადიციული ფინალით დასრულებული ამბავი: მკვლელი (ერთ-ერთი მოძალადე), რომელმაც მსხვერპლს მის გამოსახსნელად მისულ შეყვარებულთან შეხვედრა არ დაანება, მიმალვაშია, გამტაცებელი 6 თვე იხდიდა სასჯელს, შემდგომი 6 თვე მიმაგრებაში იყო, ახლა თავისუფალია.*

*არის თუ არა ქალის გატაცება, ცოლად მოყვანის მიზნით, ადამიანის უფლებების დარღვევა? - ფსიქოლოგთა სამკაციანი ჯგუფის (ნატა გაბინაშვილი, თიკო ბასილაშვილი, სოფო ჩაჩანიძე, ხელმძღვანელი - ლალი სურმანიძე) მიერ დასმული პრობლემისადმი განსხვავებული დამოკიდებულების წარმოსაჩენად გთავაზობთ ძალადობის არცთუ ტიპურ ისტორიას, არცთუ ტიპური ფინალით, რომელსაც happy end, ალბათ, მაინც ვერ დაერქმევა (რედაქცია შეგნებულად თავს იკავებს მთხრობელის ვინაობის გამხელისაგან - შ.ლ.).*

* * *

"დაბინდდა. მძღოლმა, რომელიც სოფლის უსწორმასწორო გზებზე თავაწყვეტით მიმაქანებდა, გეზი ტყიანი ფერდობისაკენ აიღო. ძლიერი რყევისას გვერდით მჯდომს რომ არ მივხლოდი, ხელმოსაჭიდს დავუწყე ძებნა, მაგრამ მანქანის ოთხივე კარი ჩამკეტი ღილაკებისა და მინის ასაწევ-დასაწევი სახელურებისაგან გაძარცვული აღმოჩნდა. თითქოს ცხრაკლიტულში გამომაწყვდიეს. საგანგებოდ ფანჯრებდაგმანული და ლითონის კარკასად ქცეული სალონიდან გაღწევა წარმოუდგენელი მეჩვენა. იძულებული გავხდი, უნომრო 06-დან გადახტომის იდეა თავიდან ამომეგდო.

სამწუხაროდ, განგაშით მოცული გონების მოკრება, საგნებსა და მოვლენებზე კონცენტრირება ვერ მოვახერხე. გარშემომყოფთა სახეები, სიმწვანეში სოკოებივით ჩაკარგული და ერთმანეთს ელვისებური სისწრაფით ადევნებული სახლები უფორმო მასად გადაიქცა. ღია საქარე მინიდან შემოჭრილი ჰაერის შხუილი, ნაწილობრივ მუქარისა და ნაწილობრივ საალერსო ინტონაციების შემცველი ფრაზები გაურკვეველი ბგერების ნაკადად ჩამესმა. მხოლოდ მგზავრობის დასასრულს, როდესაც გარემომცველი სამყარო გიჟური სრბოლიდან კვლავ სტატიკურ მდგომარეობას დაუბრუნდა, დახშულ გუგუნად აღქმული ხმები დაიწმინდა და ჩაკეტილი სივრცის შეგრძნებაც გაქრა, მანქანიდან გადასულმა, ქაოსური ფიქრების დალაგება ვცადე.

გონს მოსვლის საუკეთესო მეთოდი აუტოტრენინგი აღმოჩნდა. საკუთარ თავს ჩავაგონე, რაკი მგლების ხროვაში მოვხვდი, ოთხ ჯანმაგარ, დაგეშილ მუტრუკთან ჯიქურ ფონს გასვლა გამორიცხულია და მშველელის გამოჩენამდე მორჩილი კრავის როლს ვითამაშებ მეთქი. მშველელად, ვინ იცის, იქნებ დამხვდურთაგან რომელიმე, ვთქვათ, დიასახლისი მომვლენოდა, ჭიშკარს მიმწყდარი 06-ის დანახვაზე წინსაფრის ფერთხვითა და თავშლის სწორებით რომ გამოგვეგება და შინ შეპატიჟებისთანავე ვახშმის თადარიგს შეუდგა. ოჯახის უფროსის იმედი ნაკლებად უნდა მქონოდა, რადგან, თანმხლები ჯეელების მსგავსად, წარბებქვემოდან კუშტად, უნდოდ შემომყურებდა, ალბათ, მოჩვენებითი სიმშვიდით შენიღბული შინაგანი მღელვარების შემჩნევა სურდა.

შინაგან მღელვარებას ფერმკრთალ სახესა და ჩამწყდარ ხმაზე მეტად ანგარიშმიუცემელი ნერვული მოძრაობა ავლენდა: ბუხრისპირა ჯორკოზე ჩამუხლული, იდაყვებზე თითებშემოჭდობილი, წინ და უკან ვქანაობდი. თითქოს ვერ გადამეწყვიტა, წამოვმხტარიყავი, სანახევროდ გაწყობილი მაგიდა ამომეტრიალებინა, ჭურჭლის ვიტრინა ჩამემსხვრია, კარი წიხლისკვრით გამეღო და გავქცეულიყავი, თუ მასპინძლობა მიმეღო და პატარძლობა შემეშნოვებინა. ანუ ერთმანეთს ებრძოდა ინსტინქტი და საღი განსჯა, დაუფარავი პროტესტი და კეთილგონიერება.

დიდი ძალდატანების ფასად, მეორე ვარჩიე. არ გავნძრეულვარ. კრინტი არ დამიძრავს. ვცდილობდი, დამემტკიცებინა, რომ თავწაცლილ წიწილასავით გატაცებული, უმისამართო ქროლვისას წივილ-კივილისა და ხელ-ფეხის ქნევისაგან ილაჯგაწყვეტილი გოგო მოულოდნელად ბედს შეგუებულ, ჭკუადამჯდარ ქალად გადაიქცა, რომლისთვისაც ოჯახის ღირსება და სახელის სიწმინდე პირად ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე მაღლა დგას. შესაბამისად, მზად არის, აიტანოს არჩევანის უფლების წართმევა, ნების უგულებელყოფა, უსიყვარულობა და სიცოცხლის ბოლომდე ქედწახრილმა ზიდოს ცოლქმრული თანაცხოვრების მძიმე ჭაპანი.

არ ვიცი, რამდენად იოლად მივაღწიე საწადელს, მაგრამ ფაქტია, სტუმარ-მასპინძლის სახეებიდან ეჭვისა და დაძაბულობის ჩრდილი გაიფანტა. წელში ამაყად გამართულ და გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულ "სიძეს" ღიმილი მოეფინა, ენად გაიკრიფა და დაითაფლა. ოქროს კოშკებს შემპირდა, თითქოს ფუფუნება შეურაცხყოფის, დამცირების საზღაური ყოფილიყო, თითქოს მარადიული სიამტკბილობის ფონზე სულ რაღაც ორსაათიანი გაწამაწია და ნერვების წყვეტა სახსენებლადაც არ ღირდა. გავიდოდა დრო და ათასგვარი საზრუნავით დატვირთული ყოფა დღევანდელ განცდებს ბავშვურ სისულელედ მომაჩვენებდა. ვიცხოვრებდი, ოჯახურ კრიზისებსა და მეუღლის ჭირვეულობას მოვითმენდი, გამოვიფიტებოდი უამრავი სხვა ქალის მსგავსად, რომელთაც საკუთარი ბედი თავადვე შექმნეს და არ შემაწუხებდა უკმარისობის გრძნობა. არ ვიფიქრებდი, რომ დავმარცხდი, რადგან გამონაკლისი არ ვარ. რადგან სწორედ ასე თხოვდებოდნენ ყველა დროისა და თაობის ქართველი ქალები. რადგან არსებობს პრინციპი: რაინდობა, ფლირტი, რომანტიკა წყლის ნაყვაა. მოგწონს, გიყვარს, გინდა? - ნუ დაელოდები საპასუხო რეაქციას და ნუ გაიხანგრძლივებ სურვილის ასრულებას. შეარჩიე ხელსაყრელი მომენტი. გაიამხანაგე შენი ჭკუის სქელშუბლა და მკლავმაგარი ბიჭები. დაუდარაჯდი ქუჩის კუთხეში ან ბნელ სადარბაზოსთან, სტაცე ხელი და გააქანე, საითაც გაგიხარდება. ამბის განვითარებას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარია ფინალი, რომელიც, პრინციპში, არ იცვლება: გოგო შენთან რჩება. განატაცების იარლიყმიკრულისა და განაჩენგამოტანილისთვის უკან დასახევი გზა მოჭრილია.

მე ფინალის შეცვლა გადავწყვიტე. არა იმიტომ, რომ სტერეოტიპების რღვევა და საზოგადოებრივი აზრის გამოწვევა მსიამოვნებს, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი სურვილისა და მონაწილეობის გარეშე, სხვის მიერ თავსმოხვეული თუნდაც უზრუნველი ყოფა ბედნიერებას არ მომანიჭებს. არ არსებობს ბედნიერება ძალადობის სანაცვლოდ. არ არსებობს ეგოიზმზე დაფუძნებული სიყვარული. სიყვარული არ არის "მინდა". იგი ორი ადამიანის სულიერი ჰარმონიაა.

და რაკი ჰარმონიის მიღწევის ხანგრძლივ პროცესს "გზის მოკლეზე მოჭრა" ამჯობინეს, რაკი მოტაცება სიყვარულის ახსნაზე უფრო იოლად გასაბედი აღმოჩნდა, უნდა წავიდე. მაგრამ როგორ? სადიასახლისო საქმეებში ჩაძირული გამრჯე დედა-შვილი, რომლის ცნობიერების არე სამზარეულოს კედლებს არ სცილდება, ოჯახის უფროსის ნებადაურთველად ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. ოჯახის უფროსი "სიძეს" მხარზე ხელს უთათუნებს და სადღეგრძელოებს ჭედავს.

იძულებული ვარ, თანამგრძნობს ამ კედლებს მიღმა დავუწყო ძებნა. გარეთ უკუნია და გაუვალი ტყე, რომელიც სოფლის განაპირას მდგარ სახლს ერთი მხრიდან ესაზღვრება. მეორე მხარეს ფერდობია, ქვემოთ - მოუასფალტებელი გზა, გზის გადაღმა - კანტი-კუნტი სამოსახლო. ძალიანაც რომ მოვინდომო, ხმას ვერ მივაწვდენ. რომ გავიქცე, სიბნელეში დავიკარგები. უსუსურობის, მდგომარეობიდან გამოუვალობის შეგრძნებისაგან ნერვული კანკალი მიპყრობს, ხელ-ფეხი მიშეშდება, ვკვნესი და ვამბობ, რომ ბრმანაწლავის შეტევა დამეწყო, რომ გამაყუჩებელი არ მიშველის და ოპერაცია დამჭირდება.

ჯერ უნდობლად შემომყურებენ. მერე ექიმი მოჰყავთ. ექიმი ქალია. გულდასმით მსინჯავს და, დარწმუნებული, რომ ბრმანაწლავის შეტევა გამტაცებელთაგან თავის დასაძვრენად მოვიგონე, სინამდვილეში კი მოძრაობის უნარი ნერვიულობამ დამაკარგვინა, საავადმყოფოში გადაყვანაზე უარს მეუბნება. მისთვის პროფესიული კეთილსინდისიერება ყველა ადამიანურ გრძნობაზე უფრო ფასეულია, თუმცა მკურნალის პრესტიჟი კონფიდენციალობის დაცვას, საიდუმლოს შენახვას არ ავალდებულებს: "მშიფრავს", სიცრუეში მამხელს და "დედაშვილურად" მირჩევს ბედთან შეგუებას.

რჩევას არ ვითვალისწინებ და ძალზე თამამ ნაბიჯს ვდგამ: საქორწინო სარეცელგაშლილ, ჩაბნელებულ ოთახში ფანჯარას ვამსხვრევ. შუშის ნატეხით სისხლძარღვებს ვისერავ. მარწუხებადქცეული თითებიდან პირბასრი მინის გამოგლეჯის საშუალებას არავის ვაძლევ. მარცხენა მკლავი იდაყვის მოსახრელიდან მაჯამდე ჭრილობებით იფარება. სისხლი წვეთავს ტანსაცმელზე, იატაკზე. დიასახლისს, რომელიც ბამბასა და სპირტს მოარბენინებს, ახლოს არ ვიკარებ. ჯანდაბას, შემეჭრას ინფექცია, იქნებ მაშინ მაინც მაღირსონ საავადმყოფოში გადაყვანა. არ მივყავართ. მერე რა, რომ მხრის თავისაკენ უკვე დაიძრა ორგანიზმის მოწამვლის მანიშნებელი ორი წვრილი, წითელი ზოლი, რომ ჭრილობები საშინლად მეწვის და მიფეთქავს, ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს ვერ ვიკავებ და მთელი არსებით პროტესტს, სასოწარკვეთილებას გამოვხატავ. რაც მთავარია, ისევ აქ ვარ, ამ საშინელ კედლებს შორის, მგლის ხროვით გარემოცული და ვგრძნობ, როგორ მზვერავენ, ყოველ ნაბიჯს მიკონტროლებენ, მიღრენენ, წამიც და იქნებ გამგლიჯონ კიდეც. არ დავანებებ, წავალ. დღეს თუ არა, ხვალ. ხვალ თუ არა, ზეგ. გათენებისთანავე მშობელი თუ არ მომაკითხავს, მომდევნო ღამეს ტყეში გავათევ. მხეცებზე მეტად ადამიანების მეშინია.

თენდება. მამაჩემი მოდის. ელვისებური სისწრაფით ვიხდი სახელდახელოდ მორგებულ მაისურს, რომელიც სისხლიან გულისპირსა და დასერილ მკლავს მიფარავს. ხელს ვტაცებ წითლად დალაქავებულ შარვალს, რომელიც დიასახლისის ქვედაკაბით შემიცვალეს და თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ მანქანისაკენ, საიდანაც ეს-ეს არის გადმოაბიჯა მამაჩემმა... რამდენიმე წუთის შემდეგ მის კალთაში ვსლუკუნებ... ორიოდე საათის მერე სახლში ვარ, დედასთან... ერთი კვირის თავზე ბედნიერების, შვების განცდა, ეიფორია ქრება... თვეების შემდეგ აღმოვაჩენ, რომ მომხდარის განსჯა-შეფასებამ გამომფიტა, სილაღე და უდარდელობა დამაკარგვინა. დავიხარჯე. ძველებურად აღარ მიხარია, ძველებურად ვეღარ ვიცინი. გატაცების დეტალები, ერთი დღე-ღამის ქრონიკა კინოკადრივით მიტრიალებს თვალწინ. მინდა, მაგრამ ამ ტრიალს ვერ ვაჩერებ. თუნდაც რამდენიმე, ყველაზე მტკივნეულ მოგონებას ვერ ვშლი გონებიდან. პირვანდელი სიცხადით ვხედავ ექიმის გულგრილ სახეს, მესმის დიასახლისის ხმა: "ჭკვიანი გოგო მეგონე", ოჯახის უფროსის შეგონება: "კარგი ბიჭია, მეტი რა გინდა?". ვგრძნობ მკლავის წვას, ცრემლების მლაშე გემოს და ვფიქრობ, მართალია, უვნებლად წამოვედი, თითითაც არავინ შემხებია, მაგრამ მაინც ვერ ავცდი ტკივილისა და დარდის ტვირთს. მას, ალბათ, ვერასოდეს მოვიშორებ ისევე, როგორც მარცხენა მკლავზე ამობურცულ, მარადიულ დამღად ქცეულ ნაიარევს".

## ძალადობის მცირე სტატისტიკა

ქალებს ცოლად შერთვის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებში იშვიათად იტაცებენ. მოტაცებულ ქალებს, ძირითადად, პროსტიტუციის ბიზნესისთვის იყენებენ. ე.წ. სექსუალური მონების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სიტყვა "ტრეფიკინგის" მნიშვნელობა დღეს მსოფლიო საზოგადოების თითქმის ყველა წევრმა იცის. ფაქტები და სტატისტიკა მართლაც შემზარავია:

■ ყოველწლიურად, ყიდიან და პროსტიტუციის ბიზნესში იძულებით რთავენ დაახლოებით 4 მილიონ ქალს. ასევე ყოველ წელს, "ტრეფიკინგის" 50 ათასამდე მსხვერპლი მანდილოსანი აშშ-ში ხვდება. არანაკლებ მძიმე სიტუაციაა **დასავლეთ ევროპაშიც**, სადაც განვითარებადი ქვეყნებიდან ყოველწლიურად ჩაჰყავთ 500 ათასი ქალი და მონებად ჰყიდიან. თუმცა, ბევრს ჰგონია, რომ ევროპული ტრეფიკინგი ახალი ფენომენია. არადა, ჯერ კიდევ 1996 წელს დაფიქსირებული იყო 155 ასეთი შემთხვევა. გაყიდულ ქალთაგან 44 ცენტრალური ევროპიდან იყო (ძირითადად, ჩეხეთიდან და პოლონეთიდან), 64 მათგანი – აღმოსავლეთ ევროპიდან და დსთ-დან (ძირითადად, რუსეთი და უკრაინიდან), 47 კი – სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან: მაროკო, ტაილანდი, დომინიკანური რესპუბლიკა. მათ შორის იყვნენ 15-18 წლის მოზარდებიც...

დღესაც, ევროკავშირის ქვეყნებში ნაყიდი, გატაცებული, მოტყუებული ქალები აფრიკიდან, სამხრეთ ამერიკიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ჩაჰყავთ. ევროპაში ტრეფიკინგის ბიზნესის გავრცობა რამდენიმე ცხელი კერის წარმოქმნამაც გამოიწვია. სამხედრო ბაზებში ხომ მეძავებზე მოთხოვნა "დღის წესრიგიდა" არასდროს იხსნება და ამიტომაც ტრეფკინგი სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს.

■ **ავსტრალიის** ფედერალურმა პოლიციამ 1999 წელს პროსტიტუციის ბიზნესის მოგება გამოთვალა. ციფრი შთამბეჭდავი აღმოჩნდა – 30 მილიონი ავსტრალიური დოლარი. კანბერაში, ვიქტორიასა და ქუინსლენდში უმეტესწილად ტაილანდელი ქალები ჩაჰყავთ. თუმცა, ავსტრალიაში, ტრეფიკინგის მსხვერპლი რუსი ქალბატონებიც ხვდებიან. მათ, ძირითადად, ბორდელებში ანაწილებენ.

■ **პაკისტანიც** კრიმინალების სამოთხეა. უკვე ათი წელია, იქ ყოველთვიურად 200-400 ბანგლადეშელი ქალი ჩადის. თუმცა, არა მარტო ქალი. ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხშირად მცირეწლოვანი გოგონები ხდებიან. მაგალითად, ბანგლადეშის ქალაქ დჰაკაში ყოველი 5 ათასი მეძავიდან 2 ათასი ბავშვია. მსგავსი სიტუაციაა ჩინეთშიც. მცირეწლოვანი მეძავები იქ ქვეყნის ყველა კუთხეში არიან.

■ **იაპონია** კი აზიური სექსუალური ინდუსტრიის ყველაზე დიდი ბაზარია. იქ სექსუალურ მონებად, იძულებით "მოღვაწეობენ" იაპონელი, ტაილანდელი, ფილიპინელი და აღმოსავლეთ ევროპელი ქალები. აღსანიშნავია, რომ აზიაში ე.წ. სექსუალური ტურისტების ყველაზე დიდი რაოდენობა იაპონელ მამაკაცებზე მოდის. ამიტომაც, გასაკვირი არცაა, რომ იაპონიის სექსუალური ინდუსტრია შიდა ნაციონალური პროდუქტის ერთ პროცენტს შეადგენს და ის ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის ტოლია. მაგალითად, ტოკიოს ერთ-ერთი "სექს-ზონა" 0.34 კვ.კმ. ფართობზეა გადაჭიმული და 3.500 "ღირშესანიშნაობისგან" შედგება: სხვადასხვაგვარი სტრიპტიზ-ბარები, პორნომაღაზიები, სატელეფონო სექსის კლუბები და ა.შ. ამ ყოველივეს ტრეფიკინგის წყალობით, "სექს-ზონაში" იძულებით მოხვედრილი ქალებიც ქმნიან.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქალი ცივილურ მსოფლიოში ტრეფიკინგის გარეშეც იჩაგრება. ძალადობა ოჯახში, სექსუალური შეურაცხყოფა, გატაცება, მკვლელობა... ითვლება, რომ ამ მხრივ ყველაზე დალაგებული სიტუაცია შტატებშია. თუმცა, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სიტუაცია იქაც მწვავეა.

■ **აშშ**-ს იუსტიციის ბიუროს ცნობით, ყოველწლიურად ამერიკელი ქალები 4.5 მილიონი კრიმინალური შემთხვევის (მათ შორისაა გაუპატიურების ხუთასი ათასი შემთხვევა) მსხვერპლნი ხდებიან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოჯახური ძალადობა. როგორც აშშ-ს იუსტიციის ბიურო ასკვნის, ამერიკელი ქალების ფიზიკური დაშავების ყველაზე გავრცელებული მიზეზი სწორედ ოჯახური ძალადობაა. ეს ფაქტორი ავტო-ავარიებს, თავდასხმებს და გაუპატიურებებსაც უსწრებს. იუსტიციის ბიუროს მონაცემებით ოჯახური ძალადობის მსხვერპლია ყოველწლიურად მილიონი ამერიკელი ქალი. აშშ-ს ფსიქოლოგიური ასოციაციის გამოთვლით კი მათი რიცხვი ყოველწლიურად ოთხ მილიონს აღწევს. საინტერესოა გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნაც: ამერიკაში ყოველ 15 წამში პარტნიორი ან ქმარი თითო ქალს სცემს. ქალებზე ძალადობა პრობლემაა კანადაშიც. თუმცა, ბოლო, 2002 წლის მონაცემებით ირკვევა, რომ იქ ოჯახური ძალადობის რიცხვი 1974 წლის შემდეგ 62 პროცენტით არის შემცირებული.

# ლუკრეცია ბორჯიას სახელის რეაბილიტაციას მთელი წელი ეძღვნება



ლუკრეციას პორტრეტი არაერთ მხატვარს აქვს შექმნილი, თუმცა ტიციანის "მიწიერი და ზეციერი სიყვარული" (ბორჯეზეს გალერეა) ყველაზე უფრო გამოხატავს მის წინააღმდეგობრივ ბუნებას

ნინო ჟანიშვილი

ბორჯიების (წარმოშობით კასტილიიდან) გვარის ისტორია ნაირ-ნაირ შეთქმულებებთან, მკვლელობებთან და ინცესტთან არის დაკავშირებული. ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ კარდინალები, პაპები: კალიკსტ III (ალფონს ბორჯია) და ალექსანდრე VI (როდრიგო ბორჯია) - ლუკრეცია ბორჯიას მამა. XV-XVI საუკუნეებში პაპის ტიარა ბორჯიათა წარმომადგენლებმა ინტრიგების, ხელსაყრელი ქორწინებების და მკვლელობების წყალობით შეინარჩუნეს.

რაც შეეხება ღვთაებრივი სილამაზის მქონე ლუკრეცია ბორჯიას, მისი სახელი საუკუნეების განმავლობაში გარყვნილების და ვერაგობის სინონიმებად იქცა.

თანამედროვეთა ჭორების და ზოგიერთი ისტორიკოსის მონათხრობის მიხედვით, ლუკრეცია (1480-1519) როდრიგო ბორჯიას უკანონო შვილი იყო. როდრიგო ბორჯია შემდგომში რომის პაპი, ალექსანდრე VI გახდა. 9-10 წლის ასაკში ლუკრეციამ სრულად აითვისა დედისაგან (ვანოცა კატანაი) ახალგაზრდა მდიდარი მამაკაცების დატყვევების ხელოვნება. ლუკრეციას რჩეულები ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ. შემდეგ გაირკვა, რომ მათ იმ ქვეყნად ლუკრეციაზე უზომოდ შეყვარებული, მისივე ძმა ჩეზარე ისტუმრებდა. ამ უკანასკნელმა ბოლოს აიძულა კიდეც საკუთარი და, მისი საყვარელი გამხდარიყო. ამ ურთიერთობის შედეგად ბავშვიც გაჩნდა, რომელიც მაშინვე გაასხვისეს. ეს ამბავი ალექსანდრე VI-მაც გაიგო, და მამამ ჩეზარე, ჭკუაზე მოსაყვანად, სხვა ქალაქში, უნივერსიტეტში სასწავლებლად გაუშვა. მოწყენილმა ლუკრეციამ კი მამის ცდუნება დაიწყო. რომის პაპი წინ ვერ აღუდგა მის მშვენიერებას და შვილი მათაც შეეძინათ. ხალხისათვის თვალის ასახვევად პაპმა ლუკრეცია სამჯერ გაათხოვა. პირველი ქმარი (ჯოვანი სფორცა) ლუკრეციამ თავად მოწამლა, მეორე (ჰერცოგი ალფონსო II) კი რომში დაბრუნებულმა "სტუდენტმა" ჩეზარემ, ეჭვიანობის შეტევის დროს ხანჯლით განგმირა. "მხიარული ოჯახობა" წლების მანძილზე თავის ჭკუაზე მართავდა რომს და ვატიკანს, ანდგურებდა ხაზინას და აწყობდა ორგიებს ცხოველების მონაწილეობით.

რამდენიმე დღის წინ რომის "პალაცო როსპოლიში" გრანდიოზული გამოფენა გაიხსნა. 54 მუზეუმიდან წარმოდგენილი 234 ექსპონატი მთლიანად ბორჯიების გვარს ეძღვნება. ექსპოზიციის მიზანია ლუკრეცია ბორჯიას სახელის რეაბილიტაცია მოახდინოს, რომელსაც თანამედროვეებმა და ისტორიკოსებმაც არ დააკლეს ხმაურიანი და ბინძური ტიტულები - "სისხლიანი კურტიზანელი ქალი", "შავი ქვრივი"... როგორც ისტორიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა განაცხადეს გამოფენის გახსნაზე, ლუკრეცია ბორჯიას არავინ მოუწამლავს, და შესაძლოა, მას არც თავის მამასთან პაპ ალექსანდრე VI-თან ჰქონოდა სექსუალური კავშირი.

"გამოფენის მიზანია, დაადგინოს სინამდვილე", - ხაზგასმით აღნიშნა მისმა ორგანიზატორმა ლეარკო ანდალომ. ეს უკანასკნელი, ბორჯიების საგვარეულოს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია მსოფლიოში. "ბორჯიები დამახინჯებული წარმოდგენების, და ბოროტი ხმების მსხვერპლი გახდნენ", განაცხადა ანდალომ, "ლუკრეციას არცერთი ადამიანი არ მოუწამლავს. ის თვითონ გახდა ისტორიკოსთა კალმის მსხვერპლი".

"ლუკრეცია ნიჭიერი საზოგადო მოღვაწე იყო", - აღნიშნა ანდალომ. ის მამის არყოფნის დროს, ვატიკანსაც კი მართავდა." გამოფენის კურატორმა, კლარა ალფანომ კი დაუმატა: "მიუხედავად ჩამოყალიბებული წარმოდგენებისა, ლუკრეციას არავინ მოუწამლავს, თუმცა ეს იმ დროს ძალიან პოპულარული იყო. ის მხოლოდ შუბით კლავდა".

ერთ-ერთი ვერსიით, ლუკრეცია თავისი ყოფილი ქმრის ჯოვანი სფორცას მსხვერპლი გახდა. ლუკრეცია ქმარს მალევე გაშორდა, რადგან მეუღლე იმპოტენტი აღმოჩნდა. სავსებით შესაძლებელია, რომ სფორცამ საკუთარი რეპუტაციის დასაცავად გაავრცელა ხმები ინცესტის შესახებ.

ბავშვობიდანვე საეჭვო შარავანდით მოსილი ლუკრეცია შემდგომში მამის და ძმის პოლიტიკური ინტრიგების იარაღად იქცა. მამა და შვილი მისი განუმეორებელი სილამაზით ვაჭრობდნენ და ლუკრეციას ყოველი გათხოვებით ახალ პოლიტიკურ ალიანსს ქმნიდნენ.

ლუკრეცია მესამედ, 22 წლის ასაკში, ალფონსო დ`ესტეს მიათხოვეს. მან ფერარაში 1502 წლის 2 თებერვალს შედგა ფეხი, უკვე საკუთარი მამის "შვილად, ცოლად და რძლად" მონათლულმა. მისი მეუღლე ალფონსო დ`ესტე 1505 წელს გახდა ფერარას ჰერცოგი. მასთან ერთად ფერარაში ლუკრეციამ 17 წელიწადს იცხოვრა და იქვე გარდაიცვალა. ლუკრეციამ ჰერცოგის სასახლის კარზე თავისი დროის უდიდესი ადამიანები შემოიკრიბა, რომელთა შორის იყვნენ პოეტები ლუდოვიკო არიოსტო, პიეტრო ბემბო და ტიციანი.

ფერარას მცხოვრებლები დიდ ხანს ცდილობდნენ სახელგანთქმული თანამემამულის სახელის რეაბილიტაციას. "იმედი გვაქვს, ლუკრეციასგან შხამს ამოვიღებთ", - ზუსტად ასე თქვა ფერარის მერმა გაეტანო სატირიელემ რომში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ლუკრეციასადმი მიძღვნილ მთვარ საიტზე კი სატირიელე წერს, რომ ლუკრეცია რომში გარყვნილებაში იზრდებოდა, ფერარაში კი ის მშვიდად და უცოდველად ცხოვრობდა ოჯახის წევრებისა და უდიდეს ხელოვანთა გარემოცვაში.

ფერარაში ლუკრეციასადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები 2002 წლის 2 თებერვალს დაიწყო. აქ ჩატარდა ლექციები ლიტერატურაზე, პოეზიაზე და რენესანსის ხანის ფერარას თეატრზე, რამდენჯერმე დაიდგა გაეტანო დონიცეტის ოპერა "ლუკრეცია ბორჯია". იშვიათი ჯიშის ხილის გამოფენაც კი მოაწყვეს. ხილი იმ ციხე-სიმაგრის ბაღიდან მოიტანეს, სადაც ლუკრეცია ცხოვრობდა. ამ პროგრამაში, რომელიც 2003 წლამდე გაგრძელდება, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და ექსპერტები არიან ჩართულები, რათა ნათელი მოჰფინონ ამოუცნობი ლუკრეცია ბორჯიას ცხოვრებას.

# მამა მია

თამარ მურვანიძე

ნიგერიელმა დედებმა, რომლებსაც შვილები პოლიომელიტის საწინააღმდეგო აცრაზე ჰყავდათ მიყვანილი იმუნიზაციის ეროვნულ დღეს, აღმოაჩინეს, რომ ღონისძიების საპატიო სტუმარი იყო ამერიკელი კინოვარსკვლავი მია ფეროუ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს, რომ მიას სულ ცოტა 14 შვილი ჰყავდა, რომელთაგან 10 აყვანილი იყო. ეს ათი ბავშვი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან არის და ზოგი მათგანი ავადმყოფია: მისი კორეელი ბიჭუნა ცერებრალური დამბლით არის დაავადებული, ინდოელი - პოლიომელიტით, ვიეტნამელი გოგონა, რომელიც ორი წლის წინ გარდაიცვალა, ბრმა იყო.

მია ფეროუ სიამოვნებით წაიჭორავებდა, მაგრამ ვაქცინაციებია გასაკეთებელი, ვილაცეებს ხელი უნდა ჩამოართვას, სიტყვები წარმოთქვას. ის ერთი კვირითაა ჩამოსული, როგორც UNICEF სპეციალური წარმომადგენელი პოლიომელიტის განხრით. გასულ წელს, მსოფლიოში პოლიომელიტის შემთხვევათა მეოთხედი ნიგერიაზე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავების ქველმოქმედება ახალი არ არის, მიას ამისთვის პირადი მიზეზიც აქვს. ის ცხრა წლის ასაკში პოლიომელიტით დაავადდა.

მანამდე ბევრლი ჰილსში გატარებული ბავშვობა "ზღაპრული" იყო. ის ჰოლივუდის სამეფო ოჯახში დაიბადა: დედამისი პიონერი კინომსახიობი იყო (მან შეასრულა ჯეინის როლი 30-ანი წლების "ტარზანში"), ხოლო მამა, კარგად ცნობილი მწერალი და რეჟისორი ჯონ ფეროუ, ჯონ ვეინთან მუშაობდა მის სახელგანთქმულ ვესტერნებზე. მია ბედნიერი ოჯახის შვიდიდან მესამე შვილი იყო. მისი მეცხრე დაბადების დღე უზრუნველი ბავშვობის დასრულების მაუწყებელი გამოდგა. როცა თამაშის დროს ამხანაგმა ბურთი ფეხებში მოარტყა, მია მოცელილივით დაეცა. დამფრთხალმა მშობლებმა ბავშვი ლოგინში ჩააწვინეს, მაგრამ მეორე დილას, მისივე სიტყვებით: "მე არ შემეძლო ფეხზე დგომა. მთელი ოჯახი ლოცულობდა, რომ არ მოვმკვდარიყავი. მოგვიანებით საავადმყოფოში გადამიყვანეს. აღარ მეგონა, რომ ოდესმე სახლში დავბრუნდებოდი". მიას პოლიომელიტი აღმოაჩნდა.



მია ფეროუ ნიგერიაში

კოლაფსიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში მია მშობლებს საავადმყოფოში მხოლოდ სქელი მინის მიღმა ხედავდა. ასე ეშინოდათ 50-ან წლებში გადამდები დაავადებების. "როცა ოჯახს დავუბრუნდი, იქ ყველაფერი შეეცვალათ - ბინა გადაღებილი იყო, ავეჯი - განახლებული, თვით ბალახიც კი ახალი დაეთესათ; ძაღლიც კი გაეჩუქებინათ".

კაცს ეგონებოდა, ამ ოჯახში ვილაც მოკვდაო: არავინ შეგებებია მას. "ყველას ეშინოდა ჩემი; თვით დედაჩემსაც. მან ჩემი და-ძმა სხვა სახლში გადაიყვანა. თავს კეთროვანივით ვგრძნობდი. სკოლაში მხოლოდ ნახევარი დღით დავდიოდი. სხვა ბავშვები არ მეთამაშებოდნენ". მსოფლიოში ბევრი მაგალითია იმისა, თუ რა სიმაღლეებს მიაღწიეს ადამიანებმა, რომლებმაც ადრეულ ბავშვობაში საზოგადოებიდან გარიყვის სიმწარე გამოცადეს. მიას შემდგომი ცხოვრება, რომელიც ყოველთვის საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა და ჟურნალ-გაზეთების ჭორების სამიზნეს წარმოადგენდა, მომხიბლავ, მაგრამ რთულ მამაკაცებთან ქორწინებებით, ალბათ ნაწილობრივ განპირობებული იყო კალიფორნიული ბავშვობით. 21 წლისა მამამისის მეგობარზე, 51 წლის ფრენკ სინატრაზე გათხოვდა. მოგვიანებით ის გაჰყვა ანდრე პრევინს, რომლისგანაც 3 შვილი შეეძინა და კიდევ 3 გოგონა იშვილა. მაგრამ ყველაზე ცნობილი მაინც მისი 12 წლიანი ურთიერთობაა ვუდი ალენთან. ამ ქორწინებას სიმწარეც ახლდა: დღეს ვუდი ალენის ცოლია კორეელი სუნ-ია, რომელიც მიამ იშვილა პრევინთან ცხოვრების დროს.

"მე ჭორების საგანი ვიყავი არაფრისთვის და ყველაფრისთვის. მე და ჩემმა ოჯახმა თითქოს გამოვნახეთ თავდაცვის გზები, მაგრამ ჩემზე მაინც უბოდიშოდ წერდნენ. რამდენიმე წლის წინათ შვილებისა და შვილიშვილებისთვის წიგნი დავწერე, რომელშიც ბევრი ჭორი გავაქარწყლე. ეს ჩემი ბოთლით გადაგდებული წერილია".

"მე აღარ მყავს 14 შვილი", ამბობს მია. "სუნს აღარ ვთვლით ჩვენი ოჯახის წევრად", ხმაში სევდა ეტყობა. "მე ვცადე მასთან კონტაქტის დამყარება, მაგრამ ის არცერთ ჩვენგანს არ ეხმიანება. ჩვენთვის ეს ძალიან მტკივნეული იყო. ორი წლის წინათ ტაი გულის უკმარისობით გარდაიცვალა; ასე რომ ახლა მხოლოდ 12 შვილი მყავს". მას შემდეგ რაც პირველად შეეძინა ტყუპები პრევენისგან 32 წლის წინათ, ის სულ ბავშვების გარემოცვაშია.

მისი 7 შვილი ჯერ ისევ მასთან ერთად ცხოვრობს კონექტიკუტის ფერმაში. მას ყველას წაყვანა უნდოდა ნიგერიაში, მაგრამ მიხვდა, რომ ეს პრაქტიკული არ იყო, ამიტომ იქ მხოლოდ 13 წლის შეიმუსი წაიყვანა. შეიმუსის მამა ვუდი ალენია.

რამდენიმე წლის წინათ ის დედამისთან, ნაომი კემპბელთან და რამდენიმე სუპერმოდელთან ერთად სამხრეთ აფრიკაში იყო ნელსონ მანდელას საბავშვო ქველმოქმედების მხარდასაჭერად.

ლოყებღაჟღაჟა, ტრადიციულ ნიგერიულ კაბაში, სანდლებში და "ნაიკის" წინდებში გამოწყობილი მია და მისი ქერათმიანი ვაჟი, რომელიც შანსს არ უშვებს აფრიკელი ბავშვები რომ არ ჩაიკრას გულში, ერთობ ეგზოტიკური და გულისამაჩუყებელი წყვილია. შეიმუსი ძალიან ნიჭიერია. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ტინეიჯერია, უკვე ორი წელია უნივერსიტეტში გენეტიკას ეუფლება. მისი მომხიბვლელობა და გამჭრიახი გონება მომენტალურად ინადირებს აფრიკელი დედების გულს. "საათნახევარი კოლეჯში მისასვლელად მჭირდება და ამდენივე უკან დასაბრუნებლად", ეუბნება შეიმუსი აფრიკელ ბავშვებს. "უკაცრავად", აწყვეტინებს დედამისი, "ეს მე მიმყავს ჩემი შვილი კოლეჯში და მომყავს სახლში! მე მია ვარ, შეიმუს ფეროუს დედა!" "მამა მია!", გაჰკივიან აღტაცებული ბავშვები.

## სუსტი სქესის ლიდერები

თეა დვალი



კაცობრიობის ისტორია მამაკაცების ბატონობის მატიანეა. თუმცა, დრო იცვლება. ქალები, ვისთვისაც ყველაფერზე მთავარი გემრიელი კერძების მომზადება, გაქათქათებული ტანსაცმელი და მაძღარი ქმარი არ არის, მიდიან ბიზნესში და იკავებენ მნიშვნელოვან თანამდებობებს ხელისუფლებაში... მაგრამ მანამდე გზაა, რომელიც მათთვის უფრო რთული გასავლელია, ვიდრე მამაკაცებისთვის.

ასეთი მიზანდასახული ქალბატონებისთვის პირველ ბარიერად იქცევა საზოგადოებაში გაბატონებული აზრი, რომ კარიერა – ეს მამაკაცის საქმეა; რომ, წარმატებული საქმიანი ქალი პირად ცხოვრებაში უიღბლოა და ა.შ. ცხადია, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მცირე დაბრკოლებებია დიდი ბიზნესის ისედაც შფოთიან გზაზე. თუმცა, ისიც მართალია, თუკი ქალი მაინც ამ გზას აირჩევს, მზად უნდა იყოს უამრავი რამ დათმოს და იცოდეს, რომ კარიერაზე არანაკლები ძალისხმევა, პირადი ცხოვრების მოწესრიგებას სჭირდება.

მეცნიერების აზრით ქალები ზოგადად, ორ ტიპად იყოფიან: "ტოტალურებად" და "დამთმობებად". პირველ კატეგორიას მიაკუთვნებენ ქალებს, რომლებიც ოჯახშიც ისეთივე მკაცრები და კატეგორიულები არიან, როგორც სამსახურში. "დამთმობები" კი ახერხებენ "მამაკაცური" ხასიათი მხოლოდ სამსახურში გამოამჟღავნონ, ოჯახში კი შეუძლიათ უამრავ კომპრომისზე წავიდნენ.

ექსპერტების აზრით, ჩვენს გარშემო უფრო მეტად სწორედ პირველი კატეგორიის წარმომადგენლები სჭარბობენ. ეს ის ქალბატონები არიან, რომლებიც სამსახურის გამო უარს არ ამბობენ პირადი ცხოვრების მოწყობაზე და ჰყოფნით ძალა, ორივეზე თანაბრად იზრუნონ. თუმცა, როგორც ამბობენ, მათი ინტიმური ცხოვრება გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. გამოკვლევები ადასტურებს, მათ სხვა ქალბატონებთან შედარებით მეტი სექსუალური აქტიურობა ახასიათებთ. სხვა საქმეა, რომ ამ ქალბატონებს თურმე ნაკლები სითბო და სიყვარული არგუნათ განგებამ. ფილადელფიელი მკვლევარის აზრით, "ტოტალური" ტიპის, სამსახურში დაწინაურებულ ქალბატონებს ქმრები ოთხჯერ მეტად ღალატობენ, ვიდრე იმ ქალბატონებს, ვისაც კარიერა საერთოდ არ აინტერესებთ. "მოღალატე" ქმრის ცოლებს ცოტა დრო აქვთ ამ პრობლემაზე სადარდებლად და თანაც, თუკი მათი მივლინებებიც 3-დან 7 დღემდე გრძელდება, ამ შემთხვევაში თავადაც ახერხებენ დროებით ვინმე შეუნაცვლონ საკუთარ მეუღლეებს. ოჯახში "ტოტალური" ტიპის ქალის მბრძანებლური ტონი, უკომპრომისობა ახლობლებს საგონებელში აგდებს, ალბათ ამიტომაცაა, რომ ხშირად მათი ოჯახები დიდხანს ვერ ძლებს; მათი ხელმეორედ შექმნა კი, "ძლიერი" ქალბატონებისთვის თითქმის, შეუძლებელია.

ფსიქოლოგებმა იციან, წარმატებულ ადამიანებს როგორ აწუხებთ სიცარიელისა და ამაოების შეგრძნება, რაც დაახლოებით ასე იშიფრება: "მე მივაღწიე ყველაფერს, რაც მინდოდა. რატომღა გავაგრძელო სიცოცხლე?" და სადღესასწაულო მომენტი უცაბედად სასოწარკვეთილების დასაწყისად იქცევა. კარიერისა და პირადი ცხოვრების შეთავსების პრობლემა კარგად ნაცნობი და მტკივნეული თემაა უამრავი, მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობზე მოკალათებული ქალბატონებისთვის. მართლაც, თუნდაც ჩვენს ირგვლივ რამდენი მდიდარი, ბინით, მანქანითა თუ სამსახურით უზრუნველყოფილი დამოუკიდებელი ქალბატონია, რომელთაც მარტოობა ტანჯავთ. ექსპერტები ამის ძირითად მიზეზად პირადისა და სამსახურეობრივი საქმეების დაბალანსების არცოდნას ასახელებენ. პირადი ცხოვრების აწყობაში ქალბატონებს რამდენიმე პრობლემა უშლით ხელს და ერთ-ერთი პირველთაგანია დროის უკმარისობა.

ბიზნესში წარმატებული ქალბატონები რატომღაც ფიქრობენ, რომ თუკი ბარში "მოხსნეს" მამაკაცი ან უბრალოდ, გაიცნეს ვინმე ახალი მათგანი, ამით თავისი წვლილი შეიტანეს საკუთარი პირადი ცხოვრების მოწყობაში. შემდეგ ისინი ელიან როდის გამოანათებს სიყვარული ისე, რომ არც კი გაიღებენ ენერგიას მის გამოსაწვევად. ან კიდევ, უფრო კომიკურია მათი "რომანტიული" შეხვედრები, როდესაც მამაკაცებს უხდებათ მათი საქმიანი მიღწევების შესახებ მოისმინონ ამ ქალბატონების ათასგვარი, უსასრულოდ გრძელი ამბები. ხშირად, მამაკაცებს ისედაც თრგუნავთ მათი პარტნიორების მაღალი სტატუსი თუ სამსახურებრივი უპირატესობა; ქალების ზედმეტი აქტიურობა კი, ყველაფერს უკუღმა ატრიალებს. "ძლიერ" ქალბატონებს ხშირად ავიწყდებათ, რომ მამაკაცსაც უნდა მისცენ თვითრეალიზაციის საშუალება.

მამაკაცის შერჩევისას ბევრი ქალბატონი ცდება, როდესაც მასზე ძლიერს ანიჭებს უპირატესობას და ეს თვისება მთავარი განმსაზღვრელია მათთვის. ასეთი ნაბიჯით იგი იმის მიუხედავად, რომ არ სურს ვინმეს ზეგავლენის ქვეშ მოექცეს, მაინც ეძებს მას, ვისაც ნებით დაემორჩილება.

ძლიერმა ქალებმა სხვებთან შედარებით უკეთესად იციან, ქორწინების მნიშვნელობა და აბსოლუტურად გათვიცნობიერებულად თხოვდებიან. ხოლო, გათხოვებამდე პერიოდს თვითშემეცნებისა და განვითარებისთვის იყენებენ. ზოგიერთი ქალი გაუთხოვრობას გაცნობიერებულად არჩევს. არ გვინდა ამაზე დავა, კარგია ასეთი გადაწყვეტილება თუ ცუდი. უბრალოდ, ფაქტია და ვერსად გავექცევით, რომ ეს გარემოება მათ ბიზნესზე უარყოფითად არ მოქმედებს.

ქალთა დამოუკიდებლობა მათ თავისუფალ სექსუალურ ურთიერთობებშიც გამოიხატება. როგორც წესი, სექსუალური კავშირებისას ქალები ეძებენ ემოციურ სიახლოვეს, ერთობლივ ეროტიულ განცდებს და არა მხოლოდ ერთჯერად ფიზიკურ დაკმაყოფილებას. ამის გათვალისწინებით, გასაგები ხდება, რომ სექსუალური კავშირი მამაკაცებთან, რომლებიც ფსიქოლოგიურად უცხოები არიან, საკუთარი გრძნობების უარყოფისა და განადგურების ტოლფასია. ამას კი, ძლიერი ქალბატონები კარგად ხვდებიან და იშვიათად დგამენ მცდარ ნაბიჯს.

ლიდერი ქალისთვის სახლი ის ნებისმიერი ადგილია, სადაც თავს თავისუფლად გრძნობს, მნიშვნელობა არ აქვს სად იქნება ეს – საკუთარი ოთახი, კომუნალური ბინა თუ საკუთარი იახტა.. მისთვის მთავარი უსაფრთხოებაა.

ბუნებით ლიდერი ქალბატონები ოჯახებს მხოლოდ იმიტომ არ ქმნიან, რომ თავი სოციალურად მეტად დაცულებად იგრძნონ და საამისოდ არ უდგენენ საკუთარ თავს ვადებს. მათთვის ოჯახი არ ნიშნავს მხოლოდ ქმარსა და შვილს. ამ ქალბატონებისთვის ოჯახის წევრები უბრალოდ, ძალიან ახლობელი ადამიანები არიან; ისინი, ვინც მათ პრეტენზიებს არ უყენებენ. საერთოდ, ბოლო დროს ოჯახის ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც ალბათ, მსოფლიოში მიმდინარე სოციალური გადატრიალების ლოგიკური შედეგია. სულ უფრო ხშირად გვხვდებიან წყვილები, რომლებიც არ ცხოვრობენ ერთად მუდმივად, სტაბილურად, მაგრამ ერთმანეთს ოჯახის წევრებად მიიჩნევენ. კათოლიკური ეკლესიაც კი უკვე ჯვარს წერს ერთი და იგივე სქესის ადამიანებს; გამოთქმამ "ბებერი ქალწული", დრო მოჭამა, დაკარგა თავისი აზრი და მნიშვნელობა; აღარც არავიზე ამბობენ უკანონოდ შობილი, ნაბიჭვარიაო.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ლეონიძის (კიროვის) ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში", III სართულზე. 99-80-71

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ლოჯიით ფალიაშვილისა და კეკელიძის კუთხეში 5/5 სართულზე.. ფასი 40 000 ტელ: 893 311772

იყიდება 3-ოთახიანი ბიმა მოშენებით 1(8) მეტრო წერეთელთან ს.ფ. 105 კვ.მ, სარდაფით, ბ/აირით, ტელ: 34-63-17.

იყიდება ბახტრიონის ქუჩის დასაწყისში 3(9) არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 120კვ.მ. ზალა 28, საძინებლები 14-14კვ.მ., ლოჯია - 32კვ.მ. საწყისი ფასი 28 000$. ტელ: 37-59-80, 8(77) 42 13 24.

იყიდება ჩეხური 3-ოთახიანი კუთხის ბინა ტელეფონით, ბ/აირით, სართულზე მოზრდილი საკუჭნაოთი, 8(9), ძველი რემონტით დიდუბეში, პანთეონის მოპირდაპირე მხარეს. ს/ფასი 20 000 $. 35 25 87 (საღამოს 7 სთ-ის შემდეგ. იკითხეთ ჯაბა)

იყიდება ან ქირავდება კერძო სახლი დოლიძის ქუჩაზე დიდი ხეხილიანი ეზოთი. 33 22 54

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, დუპლექსის ტიპის, მაღალჭერიანი, კოოპერატიული ბინა. 4 სართულიანი სახლის 3-$ სართული. მე-სართულის დაშენების ნებართვით. 3 აივნით, 2 სველი ცერტილით, საგარაჟე ადგილით. საწყისი ფასი 23 000$.

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა დიდი ლოჯიით მაღალ ბელეტაჟზე ვაკეში, წყნეთის ქუჩა № 1. 23 12 22

იყიდება 3ოთახიანი სუფთა ბინა გლდანში, ეკლესიასთან. 30 22 36

იყიდება 5-ოთახიანი ბინა ვარკეთილში. ფასი 5 500. 8(77) 74 29 35, 79 26 47 მაკა

სასწრაფოდ იყიდება კაპიტალურად გარემონტებული 3-ოთახიანი, გადაკეთებული 4-იანად დ/მასივში. 53 01 05, 8(99) 23 20 29

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი დიდ დიღომში. პეტრიწის ქუჩა № 13. V სართული. 8 500-ად. 53 48 92

იყიდება 2-ოთახიანი სარემონტო ბინა დიღომში. 8(8). 9000-ად. 95 33 48

იყიდება 2-სართულიანი სახლი მეტრო ავლაბართან. ს/ფასი 23 000. 95 33 48

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა. ნუცუბიძის პლატო, V მკრ. 12 000-ად. 31 44 52

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, 8(9). მეტროსთან ახლოს. 16 000-ად. 52 73 72

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა. ს/ფართი 60 კვ.მ. 3(5). სამგორის რაიონში. 76 87 02

იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული კუთხის ბინა საბჭოს ქუჩაზე. 1(2). გამოდგება საოფისედ. 95 75 11

იყიდება 3-ოთახიანი მაღალჭერიანი (5 მ.) ბინა კოლმეურნეობის მოედანზე, პირიმზესთან. 93 10 22

იყიდება 2-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ნუცუბიძის პლატოზე, IV მკრ. 6000-ად. 32 05 48

სასწრაფოდ და იაფად იყიდება 3-ოთახიანი ბინა დიდი დიღმის IV მკრ. 10(10). 53 28 75

იყიდება საკუთარი სახლი მაღალ ბელეტაჟზე, 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, 50 კვ.მ. სარდაფით, მესხური პურის საცხობით და მაღაზიით. შეიძლება განვადებაც. მუხრანის ქ. № 25. 61 86 93 ნინო

იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა აივნით, ტელეფონით, სარდაფით. 37 17 83

იყიდება 3-ოთახიანი (მე-4 კაბინეტი) ბინა მუხიანის IV მკრ-ში, მე-3 სართულზე, ტელეფონით, ჩაშენებული კარადებით. სველი წერტილები კაფელშია. 63 63 27

### მიწის ნაკვეთები

იყიდება სააგარაკე ნაკვეთი მსხმოიარე ხეხილით, სასმელი წყალი და დენი შეყვანილია. გლდანში. 57 15 77

სასწარაფოდ იყიდება 1600 კვ.მ. ნაკვეთი დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს უკან, მშენებარე უბანში, ფასი 1 კვ/მ – 8. 52-98-04.

სასწრაფოდ იყიდება 1200კვ.მ. ნაკვეთი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ. მშენებარე უბანში, საწყისი ფასი 8500. 30-90-16.

იყიდება 40 კვ.მ.+15 კვ.მ. კომერციული ფართი ვერაზე, რომელიც მუშაობდა მაღაზიად. ს/ფასი 36 000. 8(99) 51 58 54

იყიდება 650 კვ.მ. ნაკვეთი მუხათწყაროში გაზეთ "სოფლის ცხოვრების" აგარაკებზე. ტყეში. გაჭრილი არის ჭა. ფასი შეთანხმებით. 22 25 76

### კომერციული ფართი

ქირავდება საოფისედ 50 კვ.მ. 2 ოთახი 300 $-ად. რევაზ ლაღიძის № 3. ოპერის უკან. 93 30 80, 99 62 36

იყიდება რესტორანი რუსთაველზე თავისი აღჭურვილობით. 79 90 48

ქირავდება ფართი საოფისედ ან სხვა საქმიანობისთვის ძველ უნივერმაღთან. 95 37 43 გია ან დათო

## ბინები

### ქირა

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება რუსთაველზე 2(4) სართულზე 240 კვ.მ. ბინა. გაქირავება შეიძლება ორ ნაწილადაც. არის ორი დამოუკიდებელი შესასვლელი. 98 67 11 (მაია, თამაზი)

ქირავდება 1 ოთახი საერთო პირობებით 1 ან 2 სტუდენტ გოგონაზე 100 ლარად. 52 47 75

ქირავდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, შროშის ქუჩაზე. 2-ადგილიანი ავტოფარეხით. 93 23 82

ქირავდება 2-სართულიანი სახლის II სართულზე 3,5-ოთახიანი ბინა ფილარმონიასთან, გარემონტებული. 8(99) 97 64 48

ქირავდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა ავეჯით მეტრო ავლაბართან. ფასი 100. 93 17 02

ქირავდება 1 ან 2 გოგონაზე ორი ოთახი ცალკე შესასვლელით, სამზარეულოთი, ავეჯით, ტელეფონით. 37 73 98

## მანქანები

იყიდება ავტომანქანა "ბუტკა-მოსკვიჩი". ფასი შეთანხმებით. 92 15 71

იყიდება იაპონური ავტომობილი ტოიოტა-კარონა, 5-სიჩქარიანი, ახალი ტექ.დათვალიერებით. 1982 წლის. ფასი 300 $. 74 22 70

იყიდება ოპელ-ვექტრა 1990 წლის. გიდრავლიკით, ლუკით, ABC ცენტრ. გასაღებით. 2600 $. 33 54 51 მიშა

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში (იხ. ფოტო). ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "BMW-530" 1990 წლის გამოშვება. 3000 $-ად. 8(77) 44 89 28

## სწავლება

15 ოქტომბრიდან ტელეფონით მიღებული განცხადების (12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება 1 ლარით

98-86-43, 53-76-43

ვამეცადინებ მოსწავლეებს სკოლის საგნებსა და მუსიკაში. შემიძლია სკოლიდან გამოყვანაც. 32 65 69 ნანა.

მოვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიაში ან ვამეცადინებ მეხუთე კლასამდე ბავშვებს ყველა საგანში ბინაზე მისვლით. ტ: 893 35 75 44

ვამზადებ I-დან VIII კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში, მათ შორის ინგლისურში. 52 31 81.

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $. ტელ: 68 36 49

ნებისმიერი ასაკის მსურველთა მომზადება გერმანულ, ესპანურ, რუსულ ენებში. ინდივიდუალურად, უახლესი ლიტერატურით. ქართულ და რუსულ ენებზე. 39 50 31, 8(93) 30 93 20

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურში. 77 23 49

ვამზადებ ქართულ ლიტერატურასა და ფრანგულში. 33 12 05

მოვამზადებ ინგლისურში კვირაში 3-ჯერ. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს გერმანულში ბინაზე მისვლით.
75 65 14

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურსა და ფრანგულში. 69 25 75

მოვამზადებ გერმანულში. 96 76 46

მოვამზადებ ბავშვებს ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ბინაზე მისვლით. 75 65 14 ნათია

მოვამზადებ ბავშვებს ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ბინაზე მისვლით. 75 65 14 ნათია

ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში. 23 01 84

მოვამზადებ აბიტურიენტებს ინგლისურში. 30 63 26

მოვამზადებ I-დან VIII კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში. ფასი 50 ლარი. 61 84 93

ვამზადებ ბავშვებს ფორტეპიანოში ბინაზე მისვლით. 53 24 60

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

ვამზადებ მათემატიკასა და ფიზიკაში ქართულ და რუსულ ენებზე. 31 47 88

## სხვადასხვა

იყიდება კომპიუტერი "SONY-1" დისკებით.
78 18 31, 8(99) 17 87 79

იყიდება კეთილმოწყობილი ავტოფარეხი.
კანდელაკის № 10. 38 04 59

ვამზადებ იტალიურ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან უცხოელებთან.
79 65 33

იყიდება ჰოლანდიური ყვავილი "მონსტერა" (დაჭრილი ფოთლებით).
39 78 68

იყიდება ჭალი საუკეთესო ხარისხის ჩეხური ბროლის 5 სართულიანი "ყურძნის მტევნები". ფასი 450 ლარი. ტელ: 30-26-25

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში.
22 82 26, 8(99) 51 28 44

იყიდება სტომატოლოგიური კაბინეტი. მთლიანი კომპლექტი. 22 59 55

იყიდება პიანინო "მენზელი". 22 59 55

მოვუვლი ბავშვს, მოხუცს, ან დავეხმარები ოჯახში. 75 10 16

იყიდება გერმანული "გორკა". ფასი შეთანხმებით. 22 66 52

იყიდება სამეცნიერო ლიტერატურა ფიზიკასა და მათემატიკაში. 95 75 11, 96 30 15

იყიდება მაცივარი "ზილმასკვა". 53 06 68

ვიმუშავებ მშენებლობაზე ან ავტოგასამართ სადგურზე. 32 05 48

იყიდება დიდი ბიბლიოთეკა ოჯახიდან. 22 59 55

იყიდება "ერიქსონ-688" დამტენით და რადიო ყურსასმენით. ფასი 50 ლარი. 8(99) 53 26 05

ვიძლევი სრულყოფილ ცოდნას მათემატიკაში მაღალი ნიშნის გარანტიით. 30 29 97

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.
ტელ: 333560
8(77) 739129

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

ვისესხებ. 92 09 63

შეშა ბინაზე მიტანით. 61 52 55

იყიდება "T 10" 2 თვის, 70 ლარად. 8(93) 35 77 56


## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:** ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:** მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.






## საზღვევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

### ჯორჯიან რისარჩი

[illegible]

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94


## აფიშა

### თეატრები

**რუსთაველის თეატრი**
სამუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 ფასი; 1-10 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 19 სთ; ფასი 3 ლარი

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმადოვარი
დას: 14:00; 22:00 სთ, ფასი: 5-7 ლარი
"ცეცხლის ძალა", რეჟ. რობ ბაუმენი
დას: 16:00; 18:00; 20:00 სთ, ფასი 5-7 ლარი

**„რუსთაველი„**
"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"განსხვავებული აზრი" რეჟ. სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში ტომ კრუზი
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სამი იქსი", რეჟ. რობ კოენი
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი





# ბორჯღალის სხივი ავსტრალიას მისწვდა







პაატა თოთაძე

**საქართველო – რუსეთი**
**17:13 (14:13)**

*საქართველო:* შველიძე, გიორგაძე, ცაბაძე (რატიანიძე 63), დიდებულიძე, ნადირაძე, მჭედლიშვილი (ჩხაიძე 65), ლაბაძე, ზედგენიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, კაცაძე, ალანია, ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი (ელიზბარაშვილი 77-79), ხამაშურიძე

1 ლელო – ცაბაძე

4 საჯარიმო – ურჯუკაშვილი

*რუსეთი:* შუკაილოვი (ხროკინი 12-20, 63), რომაკი (ნიკოლაიჩუკი 77), ჰენდრიკსი (ტრავკინი 74), ფედჩენკო, ს. სერგეევი, ფოლსხენკი, გრაჩოვი, ზიკოვი (აზარენკო 78), მოტორინი, რაჩკოვი (ზაკარლიუკი 41), კუზინი, კარაბეინიკოვი, ა. სერგეევი, სიმონოვი, დიმჩენკო

1 ლელო – რაჩკოვი

1 გარდასახვა – სიმონოვი

1 არეკნი – რაჩკოვი

1 საჯარიმო - სიმონოვი

*მსაჯი:* ალენ როლანი (ირლანდია)

სასტვენმა, რომელიც გუშინ საღამოს, დაახლოებით ხუთის ნახევარზე, გაისმა ეროვნულ სტადიონზე, საქართველო ცოტათი სხვანაირი გახადა, უფრო მეტად შეშლილი, უფრო მეტად ხალისიანი, უფრო მეტად ბედნიერი. სიხარულისგან შეშლილობამ და ბედნიერებამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანა ამ ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავად.

სასტვენის ხმამდე ათეულობით სხვა სასტვენი გვახსოვს, მაგრამ ამ ბოლოს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა - მან საქართველოს მორაგბეთა ნაკრების საათნახევრიანი ბრძოლის დასასრული და მსოფლიო თასზე გასვლა გვაუწყა.

"ათი წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველო მსოფლიო თასზე იასპარეზებდა. დღეს ეს რეალობაა და ამას მთელი სულით და გულით გილოცავთ", - ნამატჩევს აღნიშნა შეხვედრის კომისარმა. დიახ, ეს რეალობაა. იმ საათნახევრიანი ომის რეალობა, რომელიც ბორჯღალოსნებმა გადაიხადეს ეროვნულ სტადიონზე.

როგორც უმეტესობა მატჩებში ანგარიში ამჯერადაც მეტოქემ წაიყვანა. ბოლო ხანებში ქართველთა მიერ ნათამაშები პირველი ტაიმების გავლენით, ბევრს ახლაც შიში იპყრობდა - პირველი ნახევარი ისე არ წავაგოთ, მეორეში ანგარიშში სხვაობის აღმოფხვრა ვერ შევძლოთო. ასე არ მოხდა. პირველივე ოც წუთის შემდეგ გამოვლინდა, რომ ლოგიკურად ეს აღარ მოხდებოდა. მატჩის შემდეგ ბევრი ბჭობდა, კლასით და თამაშით დაჯაბნეს ქართველებმა მეტოქე თუ უფრო ჟინით, ქართველობით. ალბათ, ორივე ერთდროულად, რადგან რუსეთის ნაკრები არც ისეთი ჯაბანი იყო, ჟინის გარეშე დაგვემარცხებინა და არც კლასი აკლდა, მხოლოდ ჟინით და მონდომებით რომ დაგვეჯაბნა. თავად განსაჯეთ, მასპინძლებმა ათჯერ დაკარგეს ბურთი, რუსებმა კი თხუთმეტჯერ.

წინა, მარტის მატჩისგან განსხვავებით, ბორჯღალოსნებმა დერეფანში ჩინებულად ითამაშეს. მეორე ტაიმის დასაწყისში იყო მხოლოდ საკუთარი აუტი რომ წააგეს, თორემ სხვა დროს არათუ თავისი დაუთმეს, მეტოქისა მოიგეს ორჯერ თუ სამჯერ. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო ნათქვამია, მაგრამ ჩვენს გუნდს ერთი-ორჯერ მაგრი შეცდომაც მოუვიდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ირაკლი აბუსერიძის თამაში. ჩვენმა შერკინების ნახევარმცველმა, გუშინ ჩინებულად ითამაშა. სიმონოვს ის ჯარიმები რომ გაეტანა, რაღა გვეშველებოდაო - არ ცხრებოდნენ გულშემატკივრები. მთავარია, რომ ვერ გაიტანა, დანარჩენი კი მომავალში განსასჯელად დავტოვოთ. შეიძლებოდა, მოვლენები მართლაც ცუდად განვითარებულიყო. გუშინდელმა მატჩმა ცხადყო, რომ გუნდს დაცვაც ეხერხება და შეტევაც - ქართველებმა რამდენიმე მრავალფაზიანი შეტევა მოაწყეს, თუმცა შეტევაში უკეთესადაც შეიძლებოდა თამაში, ჯიმშელაძის რამდენიმე დასანანი შეცდომა რომ არა. პალიკო მატჩის ბოლოსაც შეცდა, ბურთი აუტში რომ გადააგდო. მორაგბეს ეგონა, მატჩის დრო ამოიწურა და ასე იმიტომ მოიქცა, მაგრამ ცოტა შორს რომ დაერტყა უკეთესი იქნებოდა, რადგან მსაჯმა კიდევ გააგრძელა თამაში და რუსები ბოლო შეტევაში ჩვენი ჩათვლის მოედანს საკმაოდ მიუახლოვდნენ. ერთი სიტყვით, ქართველებმა მეტოქე დაჯაბნეს და ღირსეულად გაიმარჯვეს.

"დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ გამარჯვებამდე მიგვიყვანა", - ემოციებს ვერ ფარავდა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე - "ჩვენ ამ დღისთვის ბევრი ვიღვაწეთ და შრომა დაგვიფასდა. დაუფასდა გულშემატკივარს, რომელიც ასე მხურვალედ ქომაგობდა საყვარელ გუნდს, დაუფასდა მთელ საქართველოს".

"ჩვენ ვიცოდით, რომ შეგვეძლო გამარჯვება და მივაღწიეთ კიდეც საწადელს. საამისოდ დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიხდა, მაგრამ მთავარია ისაა, რომ მოვიგეთ. უზომოდ ბედნიერი ვარ. მე დამარცხების გემოც ვიცი და გამარჯვებისაც. დამერწმუნეთ, უდიდესი განცდაა, როცა მეტოქეს ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ამარცხებ. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ გამარჯვებაში დაგვეხმარა. ახლა დიდი სურვილი მაქვს, ქუჩაში გამოსული ხალხი ვნახო და მათთან ერთად ვიზეიმო", - განაცხადა კლოდ სორელმა მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ალექსანდრ პერვუხინი იხტიბარს არ იტეხდა: "საქართველოს ნაკრებმა დღეს დამსახურებულად გაიმარჯვა. ვეცდებით, ცოტა ხანში ჩვენც შემოგიერთდეთ. ვიმედოვნებ, რეპეშაჟში ყველას დავამარცხებთ და ავსტრალიაშიც ერთად წავიდეთ".

"ძალიან რთული მატჩი იყო, ძალიან რთული. რუსეთის ნაკრები ტაქტიკურად კარგად გამართული გუნდია, თანაც რუსი მორაგბეები ათლეტურები არიან, გამძლეობაც ჩინებული აქვთ. კონტაქტში მათი შეჩერება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ეს როგორღაც მოვახერხეთ. მთავარია, რომ მოვიგეთ და მსოფლიო თასზე გავედით", - აღნიშნა ილო ზედგენიძემ.





Formula 1

# ფერარელთა ფორმულა ჰეგემონიაა

*უცნაური და უჩვეულო უკვე აღარაფერია იმაში, რომ "ფერარის" გერმანელ პილოტს, მიხაელ შუმახერს გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ვხედავთ. როგორც მოსალოდნელი იყო, მეფორმულეთა ბოლო და დასკვნითი დიდი პრიზის 17-ე ეტაპი შუმახერმა მოიგო.*
*გუშინ იაპონიის "სუძუკას" ტრასა ფორმულა 1-ის საჯინიბოთა კვამლის საბურველში გაეხვია. ფორმულა 1-ის ტრასებს შორის დღესდღეობით მესამე უგრძეს ტრასაზე და თან ერთადერთზე, რომელსაც "რვიანის" სქემა აქვს, რბოლა "ფერარის" ტრიუმფით დასრულდა.*

ბიბა ბურასაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ მიხაელ შუმახერს სახელი და დიდება არ აკლია და ერთგვარი რეკორდების ავტორიცაა, იაპონიის დიდ პრიზზე საოცნებო მეთერთმეტე გამარჯვებით მან ნატვრა აისრულა. ფერარელთა ბრწყინვალე სეზონი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ჰეთ-თრიკით და "სუძუკას" ტრასაზე მეხუთე გამარჯვებით დაასრულა.

რთული საპილოტაჟო ტრასა გერმანელმა პილოტმა იოლად "მოათვინიერა". იგი თანმიმდევრულად და ოსტატურად შორდებოდა თანაგუნდელ რუბენს ბარიკელოს. შუმახერმა, იაპონიაში წარმატებით, ინდიანაპოლისური შეცდომის ნაწილობრივ რეაბილიტირება მოახერხა. პილოტებმა სტარტი ყოველგვარი გართულებების გარეშე აიღეს. პოულის მფლობელი შუმახერი თავიდანვე კარგად ჩაერთო რბოლაში. რუბენს ბარიკელომ და "მაკლარენის" შოტლანდიელმა პილოტმა დევიდ კულჰარდმაც შეინარჩუნეს საწყისი პოზიციები. დიდი ჩემპიონის ძმამ "უილიამსის" პილოტმა რალფ შუმახერმა კი კულჰარდის თანაგუნდელი ფინელი კიმი რაიკონენის გადასწრება შეძლო.

მეორე უილიამსელი კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია კი მეექვსე დაგილზევე დარჩა. ეს რაც შეეხება დასაწყისს. მერე და მერე კი შუმახერი სიჩქარეს უმატებდა და ამით საკუთარ თანაგუნდელს დაწევის საშუალებას არ აძლევდა. საკმაოდ მშვიდად მიმდინარე რბოლა მეოთხე წრეზე "ზაუბერის" ბრაზილიელი ფელიპე მასას გზიდან აცდენამ დაარღვია. სამხრეთამერიკელმა მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და მის მიერ გათავისუფლებული ტრასა სასწრაფოდ სხვა ბოლიდებმა დაიკავეს. მეექვსე წრეზე კი "ბარის" ფრანგ მესაჭეს, ოლივიე პანისსაც შეხვდა უსიამოვნებები. ჯერ იყო და მრბოლელი ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, შემდეგ ბოქსებთან მისვლაც მოუხდა ორჯერ. ტრასაზე დაბრუნებული პანისი კი მეტოქეებთან უკვე ხუთ წრეს აგებდა. მოულოდნელი იყო მეშვიდე წრეზე დევიდ კულჰარდის მიერ სიჩქარის დაგდება. ყოველივე, ალბათ, წინა დღეებში ასპარეზობის შედეგია. კულჰარდს ტექნიკური პრობლემები შეექმნა. შოტლანდიელის ტემპის დაგდებამ რალფ შუმახერს სამეულში მოხვედრის შანსი გაუჩინა, მაგრამ...

რამდენიმე წრის შემდეგ ტრასიდან გადავარდა "მინარდის" პილოტი ალექს იონგი. "რენოს" იტალიელმა პილოტმა იარნო ტრულიმ კი პიტსტოპებს დაუდო სათავე. 21-ე წრეზე ბოქსში რბოლის ლიდერმა, მიხაელ შუმახერმაც შეიარა. ერთი წრის შემდეგ მას თანაგუნდელიც მიჰყვა. "მაკლარენისა" და "უილიამსის" მექანიკოსებს ბოქსებში საკმაო გარჯა მოუწიათ, ხოლო, "ჯორდანის" საჯინიბომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ, რაც შეიძლება სწრაფად გაემართათ ადგილობრივთა კერპის, ტაკუმო სატოს ბოლიდი. 28-ე წრეზე უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა ჯორდანისვე იტალიელმა მრბოლელმა ჯანკარლო ფიზიკელამ, ხოლო მასთან მოპაექრე კანადელი ჟაკ ვილნევი ("ბარი"-"ჰონდა") იძულებული გახდა, ასპარეზობა შეეწყვიტა და ბოქსებში შესულიყო. ათი წრის შემდეგ ტრასიდან იტალიელმაც გადაუხვია. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ შინაურ კედლებში "ჰონდა" მანქანის გარეშე დარჩა. ტრასიდან მალევე გადავარდნილი იაგუარელი ესპანელი პედრო დე ლა როსას შემდეგ რბოლას თერთმეტი მანქანაღა შემორჩა. თითქოს, სურათი აღარ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ფინიშამდე 5 წრით ადრე რალფ შუმახერს ძრავამ უმტყუნა.

"ფერარის" გერმანელმა პილოტმა ფინიშის ხაზი პირველმა, ყოველგვარი რისკის და ბარიკელოსთან ადრინდელი ტრიუკის გარეშე გადაკვეთა. მიუხედავად ამისა, ყველაზე გახარებულები მასპინძლები ჩანდნენ. ტაკუმო სატოს მეხუთე ადგილმა, ასევე ორმა ქულამ "ჯორდანის" საჯინიბო კონსტრუქტორთა თასზე "იაგუართან" და "ბართან", ისინი, მთლიანობაში, ცხრა ქულით დააწინაურა.

"უმჯობესია, ნელა ასპარეზობისთვის მაკრიტიკონ, ვიდრე ჰეგემონიისთვის. ვფიქრობ, დღევანდელი დღე მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რისთვისაც უნდა მიგვეღწია, ამასთან, იაპონელი გულშემატკივრებიც ორმაგად გახარებულები არიან. პირველ რიგში იმით, რომ "ფერარიმ" დიდი პრიზი მოიგო, მეორე ის, რომ სატომ შინაურ კედლებში პირველი ქულა მიითვალა", - ასპარეზობის შემდეგ განაცხადა შუმახერმა.




*მიხაელ შუმახერი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია*

მართლაც, ფერარელებმა სრული ტრიუმფით განვლეს მთელი სეზონი - ჭადრაკისებური ფინიშის ხაზთან. მეორეც ხომ ფერარელი აღმოჩნდა. ბრაზილიელის მეორეობამ "ფერარის" გუნდური პირველობა უფრო განამტკიცა. ამათგან განსხვავებით, მოკრძალებულია სხვათა შედეგები. როგორც იქნა, კვარცხლბეკზე შედგომის პატივი ხვდა კიმი რაიკონენსაც. მონტოიამ კი ფინიშის ხაზი მეოთხემ გადაკვეთა. "რენოსთან" თანამშრომლობა ერთი ქულით დაასრულა ჯენსონ ბატონმა.

"სუძუკას" ბოლო ეტაპი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ დიდ პრიზზე იაპონური საბურავების მწარმოებელმა კომპანიამ "ბრიჯსტოუნმა" საიუბილეო მე-100 ეტაპი იზეიმა. საკუთარი კარიერის განმავლობაში საიუბილეო მე-100 რბოლა ჩაატარა "ბე ემ ვე-უილიამსის" პილოტმა რალფ შუმახერმაც. 50-ე საიუბილეო რბოლა იდღესასწაულა "ზაუბერის" გერმანელმა მესაჭემ, ნიკ ჰაიდფელდმაც.


C1 თამუნა თოფურია ასაკი-15, 181/86/63/93, თვალის-მწვანე, თმა-წაბლის


C2 გვანცა ჭოლაძე ასაკი-16, 167/78/60/85, თვალის-თაფლის, თმა-წაბლის


C3 ეკა ფარადაშვილი ასაკი-16, 171/80/60/80, თვალის-ყავისფერი, თმა-შავი


C4 თაკო კავკასიძე ასაკი-15, 170/86/63/92, თვალის-თაფლის, თმა-წაბლის


C5 ვერონიკა გოგიაშვილი ასაკი-16, 175/85/63/90, თვალის-ცისფერი, თმა-ღია წაბლის


C6 ქეთი ფირცხალავა ასაკი-15, 168/88/63/93, თვალის-ყავისფერი, თმა-წაბლის

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. [illegible]

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

## TV პროგრამა 14 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

14.10 07.00 მუსიკა
07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00 კურიერი
18.20 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.15 სასამართლო დარბაზი
19.50 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "მაკენას ოქრო" მთ.როლებში გრეგორი პეკი, ომარ შარიფი
02.20 კურიერი.
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

09.00 მოამბე
09.15 სატ. დოკ. ფილმი "ჰამლეტ გონაშვილი"
10.00 სვეტიცხოვლობა (რეპორტაჟი სვეტიცხოვლის ტაძრიდან)
14.15 დოკ. ფილმი "მცხეთა"
15.00, 20.00 მოამბე
15.15 მხ. ფილმი "უსასრულობა"
16.20 "საქართველო და გარესამყარო"
16.50 "რამპა"
17.00 50-50 17.35 კონცერტი
18.25 ბასტი-ბუბუ
18.45 "მრავალჟამიერ"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი "რვაფეხა"
22.05 ტრადიციული მრავალხმიანობის 1-ლი საერთაშორისო სიმპოზიუმი (გალა კონცერტი)
23.30 სერიალი "ძილის წინ"
23.50 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
12.00 "მო" განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
13.45 "ცენტრი" გამეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "უკეთესი არ არსებობს"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ნიუ-იორკის ისტორიები".
02.00 "ღამურა" მხ.ფ. "სიკვდილი ნილოსზე"
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.25 სვეტიცხოვლობა
21.40 მიზანი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ვატელი"

### ევრიკა

10.00 მსოფლიო სპორტი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
12.30 მხ. ფილმი "ვალმონტი"
14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 მუსიკალური პაუზა
22.45 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "მისია ქაშმირში"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ბიჭები სამოთხიდან"
10.20 მხ.ფ. "ღმერთი დიდია, მე პატარა"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "სიყვარულის ფურცელი"
22.15 მხ.ფ. "კეიტი და ლეო"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი "პირადი მცველი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ეშმაკის საკუთრება"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "აფრიკიდან"
23.30 მუსიკა

### მეცხრე არხი

09.00 მუსიკა
09.10 დოკ. ფილმი "ივსენ ლორანი"
10.00, 15.00 "დილა"
11.45 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 1"
13.20 დოკ. სერიალი "პალიტრა - ნოე ჟორდანია"

14.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
14.45 მაცაცერა
16.45 დოკ. სერიალი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ალექსი" 21-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ვალეტა ციხე სიმაგრე მალტაზე"
21.30 დოკ. ფილმი "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა"
22.00 მუსიკა
22.15 მხ.ფ. "გაქი და ჯადოსნური რუქა"
00.20 მხ.ფ. "გლადიატორი 2000"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "გიორგი სააკაძე"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ჩემი ოჯახის განძი"
113.45 დრამა "მისისიპი ცეცხლში"
16.15, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.25 მულტფილმი "ჯადოსნური მოგზაურობა"
17.40 მელოდრამა "კანარის პრინცესა"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 კომედია "თუნუქის თასი"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანუგლ ენაზე
23.20 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი "რიჩარდ მესამე"
03.30 სათავგადასავლო ფილმი "მარკო პოლო"

### VII არხი

09.20 "აჩიკუდა"
09.55 "სახლიდან გაუსვლელად"
10.25 მელოდია
11.00 ანიმაცია
11.15 "სახლიდან გაუსვლელად"
11.45 "ობიექტივი"
12.40 "ბრძოლა წესების გარეშე"
12.55 "სახლიდან გაუსვლელად"
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
13.55 ჰოროსკოპი
14.00 სპორტი
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.25 "ლა-ლა-ლა"
21.25 "ბრძოლა წესების გარეშე"
21.55 "სახლიდან გაუსვლელად"
22.30 "კინოკლუბი " - "ბაბილონი-5".
23.55 პრესის მიმოხილვა
00.05 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
00.20 მელოდია
01.10 "სახლიდან გაუსვლელად"
01.40 "ბიორითმი"
02.05 პრესის მიმოხილვა

### OPT

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "Что? Где? Когда?"
12.20 "Непутевые заметки"
12.40 Сериал "Твинисы"
13.15 Боевик "ГОДЗИЛЛА"
15.45 Ералаш
16.15 Худ.фильм "ФАНТАСТИЧЕСКОЕ ПУТЕШЕСТВИЕ"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Шутка за шуткой"
20.00 Жди меня
21.00 "Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Детектив "ДРОНГО"
23.45 Худ.фильм "ВРЕМЯ ЛЮБИТЬ"
00.35 "Фабрика звезд"
01.00 "Другое время"
01.40 "На футболе"
02.10 Русский экстрим

### PTP

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 х.ф."ТАКЕР.ЧЕЛОВЕК И ЕГО МЕЧТА"
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ. 12.20 ВЕСТИ-СПОРТ.
12.25 Ток-шоу "Цена успеха".
13.20 В "Городке"
13.25 Вести недели
14.30, 18.20, 21,35 ВЕСТИ - МОСКВА.
15.25 "Что хочет женщина".
16.20 х.ф."СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ".
17.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
18.20 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "БРИГАДА".
23.05 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
00.35 "Культурная революция".
01.35 "Синемания".
02.05 "Дорожный патруль".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

## წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]